


ეკონომიკური პროცესი

სამაცნერო-პრაკტიკული ჟურნალი

№9, მაისი, 2011 ცენტ

ISSN 1512-3901

ეკონომიკური პროცესი



ქუთაისის უნივერსიტეტი

UDC 33 სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი
გ - 491

№ 9, 2011 წელი
მიხეი

რეფერინგი: Институт Научной Информации по Общественным Наукам
(Российская Академия Наук) _ www.rim.ionion.ru

n o m e r S i a:

გლობალიზაცია და
ეკონომიკური კრიზისი

ფინანსები და აღრიცხვა

მენეჯმენტი და სექტორული
ეკონომიკა

მართლმადიდებლობა და ეთიკური
პრინციპები ეკონომიკაში

მარკეტინგი

ეკონომიკური პროფილი

სარედაქციო კოლეგი

მთავარი რედაქტორი:

ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, სრული პროფესორი, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი რევაზ კაკულია

პასუხისმგებელი რედაქტორი:

ე.მ.დ სრული პროფესორი ნიკო ჩიხლაძე

სარედაქციო კოლეგის წევრები:

იაკობ მესხია

ე.მ.დ., პროფესორი, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი ავთანდილ სილაგაძე

ე.მ.დ., პროფესორი, საქართველოს

მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორები, პროფესორები:

ევგენი ბარათაშვილი

რევაზ პასარია

გივი გამასახურდა

რევაზ მანველიძე

ელგუჯა მეგვაბიშვილი

გედეგან ხელაია

გიორგი ღავთაძე

აკადემიური დოქტორები,

ასოცირებული პროფესორები:

აკაკი ბაკურაძე

ლელა ბახტაძე

ასა გაბელაშვილი

ნაირა ვირსალაძე

გურამ უფლისაშვილი

ხათუნა შალამბერიძე

გოდერძი შანიძე

სარედაქციო კოლეგის უცხოელი წევრები, პროფესორები:

ტიმო ლინკოლა (ფინეთი)

პეტრ მაშეგოვი (რუსეთი)

მილან მიკულასტივი (ჩეხეთი)

სერგე ლუკინი (ბელორუსი)

მარია ტურიანსკაია (უკრაინა)

დამუშავებელი:

ქუთაისის უნივერსიტეტი

რექტორი პროფ: ლელა ქალბაქიანი

4601, საქართველო, ქუთაისი,

წერეთლის ქუჩა №13

ტელ: +995 431 4 23 73, 5 12 73.

www.unic.edu.ge;

info@unic.edu.ge, chixi@mail.ru

დაკაბადონდა და დაიბეჭდა

შპს „მპმ-პროიგრაცის“ მიერ

ქ. ქუთაისი, წერეთლის 186

ტელ.: 8 431 3 45 54;

მაისი

გლობალური და ეკონომიკური კრიზისი

1. იაშა მესხია, გახაბერ გაბელაშვილი ③

საქართველოს ადგილი მსოფლიო კონკურენტუნარიანობის რეიტინგებში

2. რევაზ კაკულია

ეკონომიკის გლობალიზაცია და საჯარო ფინანსების განვითარების პრობლემები საქართველოში

3. ხათუნა შალამბერიძე

ფინანსური ბაზის ზოგიერთი ასპექტი მსოფლიო გეონომიკური გლობალიზაციის პირობებში

ფინანსები და ალირზვა

4. დეზდემონა მაღლაბელიძე, მავლინა ყიფიანი, ნათელა გაშაკიძე ②5

საწარმოს ფინანსური მდგრადობის შეფასების მაჩვენებლების აზალიზი

5. ლელა ბახტაძე

საბანკო სისტემის სტაბილურობის უზრუნველყოფის ზოგიერთი ოქორიულ-მეთოდოლოგიური საკითხი

6. ელგუჯა ერნჯარია

აუდიტორული საქმიანობა და მისი სრულყოფის საკითხები

7. თინათინ გუბეშაშვილი, ნანა ბენიძე

საბროკერო კომპანიის ფუნქციები და ეკონომიკური საქმიანობა

მენეჯმენტი და სექტორული ეკონომიკა

8. გაუა გურაბანიძე

ადამიანური რესურსების დაგეგმვა და მისი რაოდენობის განსაზღვრის მეთოდები

9. ელისო გველესიანი

თემატური ტურიზმის განვითარების პრობლემები და პერსპექტივები საქართველოში

10. ნაირა გირსალაძე

საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების ზოგიერთი ასპექტები

მართლმადიდებლობრივი და ეთიკური პრინციპები ეკონომიკური

11. აკაკი ბაკურაძე

აგადობის ეკონომიკური შედეგების შემცირების საკითხისათვის

12. იაგორ ბალანჩიგაძე

ეთიკა ბიზნესში

მარკეტინგი

13. ნანა ლუსუტაშვილი

რეკლამა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებები

14. გოდერძი შანიძე

საქონლის გაყიდვის სტრატეგია

01 მაისი

ე.მ.დ., თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის
სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი

გახაპარ ბაბელაშვილი

ე.ა.დ., ქუთაისის უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

საქართველოს ადგილი მსოფლიო კონკურენციარიანობის რეიტინგები

თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკაში მიმდინარეობს ღრმა თვისებრივი ცვლილებები, რომელიც დაკავშირებულია გლობალიზაციასთან, ასიმეტრიულ რეგიონულ განვითარებასთან, ერთპოლარული და მრავალპოლარული სამყაროს შესახებ კონკურენციებს შორის ბრძოლის გაღრმავებასთან, ქვეყნებს, რეგიონებსა და ფირმებს შორის საბაზრო კონკურენციის გაძლიერებასთან. ამ პირობებში, როდესაც ბაზარი აღიარებულია საზოგადოებრივი განვითარების მთავარ მამოძრავებელ მექანიზმად, სახელმწიფოს ეკონომიკური სიძლიერე დამოკიდებული მის გლობალურ კონკურენციარიანობაზე, მის უნარზე მიაღწიოს უპირატესობებს ეკონომიკურ საქმიანობაში და გაიკაფოს გზა მსოფლიო ბაზარზე. თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში აგტონომიურ, ჩაკეტილ რეჟიმში ბიზნეს-საქმიანობა პრაქტიკულად შეუძლებელია, რის გამოც სახელმწიფოები ცდილობენ ეკონომიკური საზღვრების გახსნას, სავაჭრო-ეკონომიკური კავშირების გაღრმავებას, ბიზნესის კეთების ლიბერალიზაციას, რასაც საბოლოო ჯამში თან სდევს ბრძოლა საერთაშორისო ბაზარზე უპირატესობების მოპოვებისაკენ, სადაც მოგებული რჩება ის, ვინც უფრო კონკურენციარიანი და წარმატებულია.

კონკურენციარიანობის თეორიაში განასხვავებენ: ქვეყნის კონკურენციარიანობას, რეგიონის კონკურენციარიანობას, საწარმოს (ფირმის) კონკურენციარიანობას და საქონლის (პროდუქციის) და მომსახურების კონკურენციარიანობას. მათ შორის არსებობს მჭიდრო კავშირები, რადგან ქვეყნისა და დარგის ან რეგიონის კონკურენციარიანობა დამოკიდებულია კონკრექტული საქონლის მწარმოებელთა უნარზე გამოუშვან კონკურენციარიანი საქონელი. მეორე მხრივ, კონკურენციარიანი საქონლის წარმოება შეიძლება განხორციელდეს პირობებში, რომელიც შექმნილია საქონლის მწარმოებლებისათვის დარგში და ქვეყნაში მთლიანად.

სინთეზური მაჩვენებელი, რომელიც აერთიანებს საქონლის, საწარმოს, დარგის და რეგიონის კონკურენციარიანობას და ახასიათებს ქვეყნის მდგომარეობას მსოფლიო ბაზარზე, წარმოადგენს ქვეყნის გლობალური კონკურენციარიანობა, რომელსაც ხშირად ქვეყნის ეროვნულ კონკურენციარიანობასაც უწოდებენ. ზოგადად, ქვეყნის კონკურენციარიანობა არის ქვეყნის

განვითარების სამსახურის მიერ გამოყენებული სამუშაოს შედეგის მიხედვით.

უნარი თავისუფალი კონკურენციის პირობებში აწარმოოს საქონელი და მომსახურება, რომელიც დააკმაყოფილებს მსოფლიო ბაზრის მოთხოვნებს და რომელთა რეალიზაცია ზრდის ქვეყნისა და მისი ცალკეული მოქალაქის კეთილდღეობას.

ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ცნება შემოაქვს თავის თეორიაში ცნობილ ამერიკელ მეცნიერს მაიკლ პორტერს.¹ მისი აზრით, სწორედ ეროვნული კონკურენტუნარიანობა განსაზღვრავს წარმატებას ან წარუმატებლობას წარმოების კონკრეტულ დარგში და იმ ადგილს, რომელსაც ქვეყანა იყავებს მსოფლიო მეურნეობის სისტემაში..

სრულიად საპირისპირო მიღომას შეიცავს ნობელის პრემიის ლაურეატის პოლ კრუგმანის შეხედულებები ქვეყნის კონკურენტუნარიანობაზე.² მისი პოზიცია ქვეყნის კონკურენტუნარიანობაზე ეფუძნება დ. რიკარდოს კლასიკურ თეორიას (უპირველეს ყოვლისა, შედარებითი უპირატესობის თეორიას). ამ კონცეფციის თანახმად, ქვეყნის კონკურენტუნარიანობა დაიყვანება გამოყენებული ფაქტორების შედარებით მწარმოებლურობაზე, რაც გამოიხატება სავაჭრო ბალანსის მდგომარეობაში, შედარებით ფასებში, სავალუტო კურსში და საბოლოო ჯამში აისახება ქვეყნის კეთილდღეობაზე.

კონკურენტუნარიანობის ზოგადი განმარტება, რომელიც აღიარებულია ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების საერთაშორისო ორგანიზაციის (Organization for Economic Cooperation and Development – OCED) მიერ, გულისხმობს ერის, რეგიონების, დარგებისა და კომპანიების უნარს შექმნას შემოსავლებისა და ხელფასების შედარებით მაღალი დონე საერთაშორისო კონკურენციისათვის დიალის (გახსნილობის) პირობებში. ცნობილი ამერიკელი მეცნიერების დ. დოლარის და ე. ვულფის აზრით კონკურენტუნარიანია ის ქვეყანა, რომელიც წარმატებულია საერთაშორისო ვაჭრობაში მაღალი ტექნოლოგიებისა და მწარმოებლურობის ბაზაზე მაღალი შემოსავლებით და ხელფასებით.³ ამავე დროს მკვლევარების აზრით, ქვეყნის კონკურენტუნარიანობა უნდა იქნას განხილული დინამიკაში, მოძრაობაში, რადგან დღევანდელ პირობებში ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური ფაქტორები და პირობები, რომლებიც განაპირობებენ ქვეყნის ეკონომიკურ სიძლიერეს, სწრაფად ცვალებადი და ტურბულენტურია. კონკურენციის დინამიურობის ასპექტზე პირველად ყურადღება გაამახვილა ამერიკელმა მეცნიერმა მ. დანმა, რომლის აზრით, კონკურენტუნარიანობის მნიშვნელოვანი დამახასიათებელი ნიშანია მისი დროში ცვალებადობა. მისი გაგებით, კონკურენტუნარიანობა არის მოქნილობა ანუ ქვეყნის ეკონომიკის უნარი განახორციელოს სტრუქტურული ცვლილებები და უზრუნველყოს მისადმი ადაპტირება.⁴

ჩვენი აზრით, ქვეყნის ეროვნული ეკონომიკური კონკურენტუნარიანობის შეფასებისას ძირითადი აქცენტი უნდა გაკეთდეს შემდეგ 3 მდგრელზე: რესურსები; ტექნოლოგიები; სახელმწიფოს მიერ გატარებული ეკონომიკური პოლიტიკის ეფექტიანობა. რესურსების არსებობა ქვეყნის ეროვნული კონკურენტუნარიანობის მნიშვნელოვანი უპირატესობაა, რამეთუ წარმოების ფაქტორები (ბუნებრივი რესურსები, სამუშაო ძალა, კაპიტალი) და მათი გამოყენების ეფექტიანობის ხარისხი (წარმოების ხარჯები, ფასები და ა.შ.) განსაზღვრავენ ქვეყანაში შე-

1 Портер М.Э. Конкуренция. – М.: Издательство Дом «Вильямс», 2001. – 496 с.

2 პოლ კრუგმანი, საერთაშორისო ეკონომიკა: თეორია და პრაქტიკა, თბ., 2000.

3 Dollar D., Wolff E. The global competitive /Journal of International Economics, 2003, #27(3-4). Oxford university press. P.199-220.

4 Dunn M. The Economic of Modern Manufacturing: Technology, Strategy and Organization, American Economic Review. 1990, #80, p.511-512.

მოსავლებისა და შრომის ანაზღაურების მოცულობას, რითაც საბოლოო ჯამში ფორმირდება მოსახლეობის ცხოვრების დონე და ხარისხი. არანაკლებ მნიშვნელოვანია ტექნოლოგიური უპირატესობა ანუ ისეთი ფაქტორები, როგორიცაა ცოდნის რესურსი, ტექნოლოგიური რესურსი, ინვესტიციური რესურსი და სხვა კრეატიული აქტივები, რითაც ქვეყანას ექნება შესაძლებლობა დაწინაურდეს ტექნოლოგიურად ერთ ან რამდენიმე დარგში და ამით მოიპოვოს ლიდერობა რეგიონში ან მთლიანად მსოფლიოში. და ბოლოს, ეროვნული კონკურენტუნარიანობის ამაღლებაში მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლია იმ ეკონომიკურ ხელსაყრელ გარემოს და ადექტატურ სოციალურ-ეკონომიკურ კლიმატს, რომლის ფორმირება შესაძლებელია ქვეყნის მიერ გატარებული ოპტიმალური სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკით.

თანამედროვე ეტაპზე ეროვნული კონკურენტუნარიანობის მაღალი რეიტინგით ხასიათდებიან მაღალგანვითარებული ქვეყნები, რომლებსაც გააჩნიათ ტექნოლოგიური უპირატესობები, ხოლო დაბალრეიტინგულს წარმოადგენენ სხვა დანარჩენი ქვეყნები. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მდიდარი და დარიბი ქვეყნების კონკურენტუნარიანობის ბუნება განსხვავებულია. თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში ისეთი ბუნებრივი ფაქტორები, როგორიცაა გეოგრაფიული მდებარეობა, მდიდარი ბუნებრივი რესურსების ფლობა ეროვნული კონკურენტუნარიანობის ამაღლებისათვის არ წარმოადგენს მთავარ მამოძრავებელ ძალას. უფრო მეტი უპირატესობები ენიჭება ახალ ტექნოლოგიებს, მწარმოებლურობას, ეკონომიკურ გარემოს. სწორედ ამითაა განპირობებული ის გარემოება, რომ რესურსებით მდიდარი ქვეყნები მნიშვნელოვნად ჩამორჩებიან კონკურენტუნარიანობის რეიტინგში ტექნოლოგიურად განვითარებულ ქვეყნებს.

ქვეყნის კონკურენტუნარიანობის რეიტინგის გაანგარიშება ხდება ორი სპეციალური ინდექსის – გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის და საქმიანი კონკურენტუნარიანობის ინდექსის საფუძველზე.

გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი საერთაშორისო ეკონომიკურ ფორუმს პირველად შესთავაზა კოლუმბიის უნივერსიტეტის პროფესორმა ქსავე-სალი მარტინმა. გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი (Global Competitiveness Index – GCI) – არის ქვეყნის ეკონომიკის მდგრადობისა და მისი საშუალოვადიან პერსპექტივაში განვითარების სითეზური მაჩვენებელი. იგი პირველად გამოქვეყნდა 2004 წელს, თუმცა შემდგომში მოხდა მისი გაანგარიშების მეთოდოლოგიის სრულყოფა. ამ ინდექსის გაანგარიშებაში ძირითადად მონაწილეობს 9 საბაზო, აგრეგირებული ფაქტორი, რომელთა მაჩვენებლების რაოდენობა 200-ს აღემატება. საბაზო ფაქტორებში გაერთიანებულია სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინსტიტუტები, ინფრასტრუქტურა, მაკროეკონომიკა, ჯანმრთელობის დაცვა და დაწყებითი (სასკოლო) განათლება, უმაღლესი და პროფესიონალური განათლება, ბაზრის ელასტიურობა და ეფექტურობა, ტექნოლოგიური განვითარება, ბიზნესის განვითარება და ინოვაციები.

საქმიანი კონკურენტუნარიანობის ინდექსი შემუშავებულია პარვარდის ბიზნესის სკოლის პროფესორის მაიკლ პორტერის მიერ. ეს ინდექსი არის გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის მნიშვნელოვანი დამატება და მიმართულია კონკრეტული კომპანიების საქმიანობაზე მოქმედი ფაქტორების ანალიზზე, მაკროეკონომიკური საქმიანი კლიმატის, ტექნოლოგიური განვითარების დონის და ბიზნესთან დაკავშირებულ სხვა კონკრეტული საკითხების გამოკვლევაზე.

როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, ზემოაღნიშნული ორი ინდექსის გაანგარიშების შედეგები, როგორც წესი, ერთმანეთს ემთხვევა, თუმცა მათ შორის ხშირად ადგილი აქვს მნიშვნელოვან განსხვავებას.

სხვადასხვა ქვეყნების ეკონომიკების კონკურენტუნარიანობის შესწავლაზე მუშაობს დავოსის ეკონომიკური ფორუმი, ლოზანას ინსტიტუტი, ევროპული კომისია და სხვა ინსტუტები. დავოსის ფორუმი იხილავს 134 სახელმწიფოს, თუმცა ზოგიერთი ქვეყანა მასთან თანამშრომლობას თავს არიდებს (ბელარუსი, თურქეთი, უზბეკეთი და სვა). ლოზანას (შვეიცარიის ბიზნეს-სკოლის) რეიტინგში მონაწილეობს 55 ქვეყანა (2009 წლის დამატა ერთი ქვეყანა – ყაზახეთი). აღსანიშნავია, რომ ქვეყნები, რომლებიც სარეიტინგო გამოკვლევებში მონაწილეობენ, შესაბამის საფასურს იხდიან, ვინც არ იხდის მათ კონკურენტუნარიანობას არ იკვლევენ. ამასთან, დავოსის ეკონომიკური ფორუმის სარეტინგო შედეგები და კვლევის მეთოდოლოგია სხვა გამოკვლევებთან შედარებით უფრო გახსნილი, ხელმისაწვდომი, საიმედო და ავტორიტეტულია მსოფლიო საზოგადოებისათვის.

შვეიცარიის ინსტიტუტი კვლევებს ატარებს 1989 წლიდან სხვადასხვა ქვეყნების სამეცნიერო-კვლევით ორგანიზაციებთან ერთად. თითოეული ქვეყნის შეფასება ხდება 300-ზე მეტი კრიტერიუმით, რომლებიც აგრეგირებულია შემდეგ მიმართულებაში: ეკონომიკის მდგრმარეობა; მთავრობის ეფექტურობა; ბიზნესის ეფექტურობა; ინფრასტრუქტურის მდგრმარეობა; ცხოვრების დონე; ეკოლოგიის მდგრმარეობა. უკანასკნელ წლებში პირველ ათეულში კონკურენტუნარიანობის რეიტინგში ერტმანეთს ენაცვლებიან ისეთი ქვეყნები, როგორებიცაა აშშ, შვეიცარია, სინგაპური, ჰონკონგი, ლუქსემბურგი, ნიდერლანდები, შვეცია, კანადა, იაპონია, დანია და ევროპის სხვა მაღალგანვითარებული ქვეყნები. უკანასკნელი 16 წლის განმავლობაში კონკურენტუნარიანობის რეიტინგში ლიდერობს აშშ, შემდეგ მოდის ჰონკონგი და სინგაპური. განვითარებად ქვეყნებს შორის კონკურენტუნარიანობის მხრივ ლიდერობს ჩინეთი, ინდოეთი, ბრაზილია და რუსეთი. აღსანიშნავია, რომ პოსტსაბჭოური ქვეყნებიდან ლოზანას ინსტიტუტი სწავლობს მხოლოდ 4 ქვეყანას (რუსეთი, ესტონეთი, ლიტვა და უკრაინა). ბოლო ხელმისაწვდომი ინფორმაციის თანახმად (2008 წ.) მსოფლიოს 55 ქვეყანას შორის კონკურენტუნარიანობის რეიტინგით ესტონეთი დგას 23-ე ადგილზე, ლიტვა – 36, რუსეთი – 47 და უკრაინა – 54 ადგილზე. 2009 წლს გამოკვლეულ იქნა 57 ქვეყანა, სადაც რუსეთის რეიტინგი დაეცა 2 პოზიციით და დაიკავა 49-ე ადგილი, უკრაინა კვლავაც ბოლოდან მეორე ადგილზეა (56).

საყურადღებოა, რომ ლოზანას ინსტიტუტი კვლევებისას ძირითადად ეყრდნობა საერთაშორისო ორგანიზაციების მასალებს. მათ შორის, გაეროს, ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის, მსოფლიო ბანკის და ა.შ., აგრეთვე 60-მდე პარტნიორი ინსტიტუტის კვლევის შედეგებს. ინსტიტუტი კვლევაში იყენებს ინფორმაციებს, რომლის ორი მესამედი გამოქვეყნებულია სტატისტიკურ კრებულებში, ხოლო ერთი მესამედი მოპოვება ექსპერტული შეფასებით (ანკეტური გამოკითხვის წესით).

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მიერ მომზადებული ანგარიშის „გლობალური კონკურენტუნარიანობის რეიტინგი 2010-2011“, ანალიზიდან ჩანს, რომ გლობალურმა ფინანსურმა კრიზისმა გარკვეული კორექტივები შეიტანა ქვეყნების კონკურენტუნარიანობის რეიტინგში. შეიძლება ითქვას, რომ ფორუმის მიერ მომზადებული ბოლო გამოკვლევა წინა გამოკვლევები-

საგან განსხვავებით უფრო მასშტაბური და კომპლექსური ხასიათისაა. გამოკვლევამ მოიცვა 139 ქვეყნის 13 500 ბიზნეს-სუბიექტის ანკეტური გამოკითხვის შედეგები.

დავოსის ფორუმის ბოლო ანგარიშის მიხედვით გლობალური კონკურენტუნარიანობის რეიტინგს სათავეში ჩაუდგა შვეიცარია, რომელიც წინა წელსაც პირველ ადგილს იკავებდა. შემდგომ მეორე და მესამე ადგილზე შესაბამისად მოდიან შვეიცარია და სინგაპური. აშშ, რომელსაც წინა წელს ეკავა მეორე ადგილი, 2010 წელს გადაინაცვლა მე-4 ადგილზე, რასაც გამოკვლევის ავტორები ხსნიან ამ ქვეყნის ფინანსური ბაზრების შესუსტებით და მაკროეკონომიკური სტაბილურობის შემცირებით. გერმანიამ, რომელიც ითვლება „გვროზონის ლოკომოტივად“, 2010 წელს გლობალურ რეიტინგში გადმოინაცვლა წინა წლის მეშვიდე ადგილიდან მეხუთე ადგილზე. მას მოსდევები: იაპონია (6 ადგილი), ფინეთი (7), ნიდერლანდები (8), დანია (9). ლიდერი ქვეყნების პირველი ათეულის ბოლო ადგილი დაიკავა კანადამ.

მსოფლიოს შედარებით კონკურენტუნარიანი ქვეყნების რეიტინგში უფრო მეტ ადგილს იკავებენ ევროპის სახელმწიფოები. დიდი ბრიტანეთი, რომელიც უკანასკნელ წლებში თმობდა თავის პოზიციებს, 2010 წელს ერთი პოზიციით დაწინაურდა და დაიკავა მე-12 ადგილი. საფრანგეთმაც გაიუმჯობესა მდგომარეობა და დაიკავა მე-15 ადგილი. პრობლემები შეექმნა ესპანეთს. მან ერთ წელიწადში დაკარგა 9 პოზიცია და დაიკავა 42-ე ადგილი. ევროკავშირის ქვეყნებს შორის ყველაზე ცუდად შეფასდა საბერძნეთი, რომელმაც დაკარგა 12 პოზიცია და 83-ე ადგილზე გადაინაცვლა. ევროპის რეგიონში კონკურენტუნარიანობის დაცემის კუთხით ლიდერი გახდა სლოვაკეთი, რომელმაც დაკარგა 13 პოზიცია და დაიკავა მე-60 ადგილი. კონკურენტუნარიანობის განმტკიცების კუთხით ყველაზე საუკეთესო შედეგი აჩვენა ჩერნოგორიამ, რომელმაც 13 პოზიციით გაიუმჯობესა მდგომარეობა და გადაინაცვლა 49-ე ადგილზე.

მსხვილი განვითარებადი ქვეყნებიდან კონკურენტუნარიანობის რეიტინგში ლიდერობს ჩინეთი (27 ადგილი), შემდეგ მოდის ინდოეთი (51) და ბრაზილია (58). რუსეთმა ამ ჯგუფში შემავალ ქვეყნებს შორის დაიკავა უკანასკნელი ადგილი.

აღსანიშნავია, რომ ახლო აღმოსავლეთის და ჩრდილოეთ აფრიკის რიგმა ქვეყანამ გადაინაცვლა რეიტინგის პირველ ათ ულში. ლიდერებს შორისაა: ყატარი (17 ადგილი), საუდის არაბეთი (21), ისრაელი (24), გაერთიანებული არაბეთის ემირატები (25), ტუნისი (32), ქუვეითი (35) და ბაჰრეინი (37). აფრიკის ქვეყნებიდან რეიტინგის ზედა ნახევარში მოხვდენ სამხრეთ აფრიკა (54-ე ადგილი) და მავრითია (55).

კონკურენტუნარიანობის გაუმჯობესების საუკეთესო შედეგები აჩვენეს მონდოლეთმა (+18 პოზიცია), შრი ლანგამ (+17) და ვიეტნამმა (+16). კონკურენტუნარიანობის რეიტინგის შემცირების ლიდერები გახდნენ ნიგერია (-28 პოზიცია), ლესოტო და იორდანია (-21).

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მიერ შემუშავებულ კონკურენტუნარიანობის ბოლო ანგარიშში პირველად მოხვდენ ირანი, რომელმაც დაიკავა 69-ე ადგილი, რუსეთი – 80 ადგილი, ლიბია – 92, ანგოლა – 138, კაბო-ვერდე – 117 და სეაზილენთი – 126 ადგილი.⁵

ერთიანი სსრკ-ს ქვეყნებიდან კონკურენტუნარიანობის რეიტინგში შედარებით ყველაზე საუკეთესო ადგილი დაიკავეს ესტონეთმა (33-ე ადგილი), ლიტვა (47) და აზერბაიჯანმა (57). შემდეგ მოდის ლატვია (70), ყაზახეთი (72), უკრაინა (89), საქართველო (93), მოლდავები (94), სომხეთი (98), ტაჯიკეთი (116), ყირგიზეთი (121). რუსეთი ეკონომიკურმა კრიზისმა მნიშვნელოვნად

⁵ The Global Competitiveness Index 2010-2011 (<http://gtmarket.ru/news/state/2010/09/09/2668>)

დააზარალა. ფორუმის მონაცემებით 2010 წელს კონკურენტუნარიანობის რეიტინგში მან დაკარგა 12 პოზიცია და 51-ე ადგილიდან 63-ე ადგილზე გადაინაცვლა. უფრო მეტიც, რუსეთის ფედერაციის მთელი რიგი მაჩვენებლები, რომლებიც განსაზღვრავენ კონკურენტუნარიანობის რეიტინგს, მნიშვნელოვნად გაუარესდა. მაგ., კორპორაციული მართვის მაჩვენებლით რუსეთმა დაიკავა 119-ე ადგილი, საკუთრების უფლების დაცვის კუთხით 126-ე ადგილი, ფინანსური ბაზის განვითარების მხრივ 125-ე ადგილი, ბანკების მდგრადობის მხრივ 129 ადგილი და ა.შ. აღსანიშნავია, რომ რუსეთის ეკონომიკაში სახელმწიფოს წილი შეადგენს 40-50 %-ს, რაც ერთნახევარჯერ მადალია საშუალო მსოფლიო მაჩვენებლზე. რუსეთში ყოველი მეორე დასაქმებული მუშაობს სახელმწიფო სექტორში. აღნიშნული პრობლემა სერიოზულ პრობლემებს უქმნის ქვეყანას კონკურენტუნარიანობის უპირატესობის მიღწევაში.

რაც შეეხება საქართველოს ადგილს გლობალური კონკურენტუნარიანობის რეიტინგში, იგი სის მეორე ნახევარში იმყოფება და 2010 წლამდე სტაბილურ მდგომარეობას ინარჩუნებდა (90 ადგილი), ხოლო ფორუმის ბოლო ანგარიშის მიხედვით 2010 წელს ქვეყანამ დაომო სამი პოზიცია და დაიკავა 93-ე ადგილი. პოსტკომუნისტურ ქვეყნებს შორის საქართველოს ადგილი გლობალურ რეიტინგში საკმაოდ დაბალია. მას წინ უსწრებს ყოფილ სსრკ-ში შემავალი ყველა ქვეყანა, გარდა სომხეთის, ტაჯიკეთისა და ყირგიზეთისა. ერთი პოზიციით დაბლა დგას მოლდავეთი, ოუმცა მას საქართველოსაგან განსხვავებით გაუმჯობესების ტენდენცია გააჩნია. საქართველოს სასაზღვრო მეზობელი ქვეყნებიდან გლობალური კონკურენტუნარიანობის ყველაზე საუკეთესო რეიტინგი აქვს აზერბაიჯანს, შემდეგ მოდის თურქეთი (61-ე ადგილი), რუსეთი 963), ხოლო საქართველოზე დაბალი კონკურენტუნარიანობით ხასიათდება სომხეთი. საყურადღებოა ის გარემოება, რომ საქართველოსა და საქართველოზე უკეთესი რეიტინგის მქონე მოსაზღვრე ქვეყნებს შორის პოზიციათა სხვაობა ძალიან დიდია (აზერბაიჯანთან – 36 პოზიცია, თურქეთთან – 32, რუსეთთან – 30), ხოლო საქართველოს შემდგომ მდგომ ქვეყანასთან ძალიან მცირეა (სომხეთი მხოლოდ 4 პოზიციითაა ჩამორჩენილი). აღნიშნულ მდგომარეობას თუ შევხედავთ გრძელვადიან პერიოდში იგი საქართველოსათვის არ შეიძლება პოზიტიურად იქნეს მიჩნეული, რამეთუ საქართველოს ყველაზე მაღალი ეკონომიკური კავშირები აქვს თურქეთთან და აზერბაიჯანთან, ხოლო მათი მხრიდან შედარებით მაღალი გლობალური კონკურენტუნარიანობის შენარჩუნება საქართველოს სერიოზულ საფრთხეს შეუქმნის საკუთარი კონკურენტუნარიანობისა ამაღლებაში. რუსეთის ფაქტორი შედარებით უმნიშვნელოა, რადგან ცნობილი მიზეზების გამო ამ ქვეყანასთან ოფიციალური ეკონომიკური ურთიერთობა დროებით შეწყვეტილია. რაც შეეხება სომხეთს, მართალია მისი კონკურენტუნარიანობა მცირედით ჩამორჩება საქართველოს, მაგრამ ამ ქვეყანასთან საგარეო ეკონომიკური კავშირები შედარებით უმნიშვნელოა. გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ უკრაინა, როგორც საქართველოსტან ტერიტორიულად ახლოს მდებარე და მჭიდრო საგარეო ეკონომიკური კავშირის მქონე ქვეყანას, კონკურენტუნარიანობის უფრო მაღალი რეიტინგი გააჩნია, ვიდრე საქართველოს, რაც ასევე გრძელვადიან პერიოდში საქართველოს კონკურენტუნარიანობის გამოწვევის საფუძველს იძლევა. საქართველოს ადგილი პოსტსაბჭოური ქვეყნების გლობალური კონკურენტუნარიანობის რეიტინგი ნაჩვენებია 1-ლ ცხრილში.

ცხრილი 1.

**პოსტსაბჭოური ქვეყნების გლობალური კონკურენტუნარიანობის რეიტინგი
(მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის ანგარიშების მიხედვით)**

ქვეყანა	2007 წელი		2008 წელი		2009 წელი		2010 წელი	
	რეი- ტინგი	შეფა- სება	რეი- ტინგი	შეფა- სება	რეი- ტინგი	შეფა- სება	რეი- ტინგი	შეფა- სება
საქართველო	90	3,83	90	3,86	90	3,81	93	3,86
რუსეთი	58	4,19	51	4,31	63	4,15	63	4,24
ლატვია	45	4,41	54	4,26	68	4,06	70	4,14
ლიტვა	38	4,49	44	4,45	53	4,30	47	4,38
ესტონეთი	27	4,74	32	4,67	35	4,56	33	4,61
აზერბაიჯანი	66	4,07	69	4,10	51	4,30	57	4,29
სომხეთი	93	3,37	97	3,73	97	3,71	98	3,76
ყაზახეთი	61	4.14	66	4,11	67	4,08	72	4,12
უკრაინა	73	3,98	72	4,09	82	3,95	89	3,90
ტაჯიკეთი	117	3,37	116	3,46	122	3,38	116	3,53
ყირგიზეთი	119	3,34	122	3,40	123	3,36	121	3,49
მოლდავეთი	97	3,64	95	3,75	-	-	94	3,86

*-ცხრილი შედგენილია ავტორების მიერ შემდეგი ინტერნეტ-რესურსების საფუძველზე:

<http://rating.rbc.ru/article.shtml?2007/06/22/31530893>; <http://gtmarket.ru/news/state/2010/09/09/2668>;

<http://rating.rbc.ru/article.shtml?2008/10/09/32159490>; <http://statinfo.biz/Data.aspx?act=1957&lang=1>

აღსანიშნავია, რომ საქართველოს გლობალური კონკურენტუნარიანობის რეიტინგით 2005 წელს მიკუთვნებული პქონდა 86-ე ადგილი, 2006 წელს კი 85-ე ადგილი 117 ქვეყანას შორის. საყურადღებოა, რომ ამ ინდექსის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილის – ინოვაციების და ფაქტორების სირთულის მიხედვით საქართველო იკავებს ერთ-ერთ ბოლო ადგილს (119) და მის შემდგომ მოდის ბოლოვია, უგანდა, პარაგვაი, მოზამბიკი, ბურუნდი და ჩადი. ამ-რიგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ დავოსის ეკონომიკური ფორუმის მონაცემებით, დაწყებული 2005 წლიდან, საქართველოს გლობალური კონკურენტუნარიანობის რეიტინგის შემცირების ტენდენცია პქონდა და იგი 6 წლის განმავლობაში დაეცა 8 პოზიციით.

ნიშანდობლივია ისიც, რომ მიუხედავად გლობალური კონკურენტუნარიანობის იერარქიაში საქართველოს დაბალი ადგილისა, მთელი რიგი ლოკალური კონკურენტუნარიანო-

ბის პარამეტრებით მდგომარეობა მეტ-ნაკლებად პოზიტიური მიმართულებისაა. მაგალითად, ფრეიზერის ინსტიტუტის (Fraser Institute) მსოფლიო ეკონომიკური თავისუფლების მოხსენების თანახმად, საქართველო 2010 წელს 2009 წელთან შედარებით 22 პოზიციით დაწინაურდა და 141 ქვეყანას შორის დაიკავა 23-ე ადგილი. ამ რეიტინგში საქართველომ გაუსწრო არა მხოლოდ მეზობელ ქვეყნებს – აზერბაიჯანს (93), სომხეთს (50), რუსეთს (84), არამედ ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებსაც: ბელგიას (43), იტალიას (66), გერმანიას (24) და ა.შ.

უკანასკნელ წლებში საქართველოს რეიტინგი და ინდექსები ბიზნესის სფეროში შემდეგნაირად გამოიყერება: სუვერენული საკრედიტო რეიტინგი – ⁺(2010), „აკეთე ბიზნესის“ კრიტურიუმით – 11 ადგილი (2010), საკუთრების დაცვის ინდექსი – 109(2009), საგადასახადო სისტემის ხელსაყრელობის ინდექსი – 75 (2009), საგადასახადო ტეირობისა და რეფორმების ინდექსი – 52 (2009), ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარების რეიტინგი – 28 (2009), ინვესტიციების შემოდინების ინდექსი – 9 (2007). უნდა აღინიშნოს, რომ ეს მაჩვენებელი შემდგომ გამოკვლევებში მნიშვნელოვნად იქნება გაუარესებული, რადგან როგორც ცნობილია უკანასკნელ წლებში 2007 წელთან შედარებით ინვესტიციების შემოდინება ქვეყნაში მნიშვნელოვნადაა შემცირებული. რაც შეეხება სოციალური ხასიათის ინდექსებს, ამ მხრივ, საქართველოს მაჩვენებლები მნიშვნელოვნად დაბალია. მაგ., ცხოვრების დონის ინდექსი 2009 წლის მონაცემებით შეადგენდა 84, ადამიანური პოტენციალის განვითარების ინდექსი - 96 (2008), საავტომობილო გზების ხარისხის ინდექსი – 66 (2009), ეკოლოგიური უსაფრთხოების ინდექსი – 37 (2009), ბედნიერი ქვეყნის ინდექსი – 72 (2009).

მსოფლიოში ქვეყნის იმიჯის ფორმირებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს პოლიტიკური გარემო. უკანასკნელი 2-3 წლის მანძილზე საქართველოს პოლიტიკური რეიტინგები შემდეგნაირად გამოიყერება: დემოკრატიის ინდექსი – 104 (2008). სიტყვის თავისუფლების რეიტინგი – 81 (2009), დემოკრატიისა და საბაზრო ეკონომიკის ინდექსი – 38 (2008), სახელმწიფო მმართველობის ეფექტურობის ინდექსი – 23 (2008), სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის ინდექსი – 4,7 (2009). საყურადღებოა, რომ ამ შემთხვევაში შეფასება 7 ბალიანია – 1 კარგია, 7 ძალიან ცუდი. პოლიციური სტრუქტურის საიმედობის ინდექსი – 4 (2009), კორუფციის აღქმის ინდექსი – 67 (2009), სახელმწიფოს დაშლის საფრთხის რეიტინგი – 33 (2009), პოლიტიკური ტერორის შკალა – 3,5 (2008), 5 ბალიანი შეფასებით), მილიტარიზაციის ინდექსი – 33 (2009)⁶.

ზემოთ მოყვანილი რეიტინგები და ინდექსები ლოკალური ხასიათისაა. ისინი შემუშავებულია სხვადასხვა საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოების და კომპანიების მიერ, რომელთა მეთოდოლოგია არაერთგვაროვანია და მეტწილად არ ეთანადება დავოსის ეკონომიკური ფორუმის ექსპერტების და ლოზანას ინსტიტუტის მიერ გამოქვეყნებულ მიდგომებს, რომლებიც ყველაზე მაღალი საიმედობითაა ცნობილი მთელს მსოფლიოში. აქვთ უნდა აღინიშნოს, რომ ფორუმისა და ინსტიტუტის მეთოდოლოგიაში აისახებიან ყველა ის ლოკალური რეიტინგებიმ, რომელსაც ავტონომიურად განსაზღვრავენ სხვა დანარჩენი კვლევითი ორგანიზაციები. გამომდინარე აქედან, ქვეყნის გლობალური კონკურენტუნარიანობის შეფასებისას ორიენტაცია ლოკალურ რეიტინგებზე არ იძლევა რეალურ სურათს. მთავარი აქცენტი უნდა გაკეთდეს განზოგადებულ რეიტინგზე, რომელიც მიმართულია ქვეყნაში ცხოვრების დონისა და ხარისხის

ამაღლებისაკენ. მაგ., ბიზნესის კეთების მაღალი რეიტინგი თავისთავად ქვეყნის საერთაშორისო იმიჯის ამაღლებისა და უცხოური ინვესტიციების მოზიდვის მიზნით კარგი მაჩვენებელია, მაგრამ იგი არ არის საბოლოო შედეგის ამსახველი. იგი შუალედურია თავისი შინაარსით და თუ მას არ მოჰყვა ინვესტიციების ზრდა, უმუშევრობის შემცირება და ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება, თავისთავად ასეთი რეიტინგი ნეკრო ხასიათის მატარებელი იქნება და სხვა არაფერი. მაგალითისათვის შეიძლება მოვიყვანოთ შემდეგი ფაქტობრივი მდგომარეობა. როგორც ზემოთ აღინიშნა, ბიზნესის კეთების სიმარტივის მხრივ საქართველო მნიშვნელოვნად უსწრებს გერმანიას. აქედან დასკვნის გაკეთება, რომ საქართველო გერმანიასთან შედარებით უფრო კონკურენტუნარიანი ქვეყანაა საფუძველს მოკლებულია შემდეგ გარემოებათა გამო. ჯერ ერთი, ბიზნესის კეთების მხრივ საქართველოს გერმანიაზე წინ მოხვედრა სულაც არ ნიშნავს, რომ საქართველოში უფრო ადვილია ბიზნესის კეთება. აღნიშნული რეიტინგი მიუთითებს იმაზედ, რომ უკანასკნელ წლებში ბიზნესის კეთების ადმინისტრაციული ბარიერები გამარტივდა, მაშინ როდესაც, იგი როგორც სხვა მოწინავე ქვეყნებში, ასევე გერმანიაში დიდი ხანია გამარტივებულია, ამიტომ მათში ამ კუთხით შემდგომი რეფორმების აუცილებლობა თითქმის მოხსნილია დღის წესრიგიდან. მეორე მხრივ, როგორც შესაბამისი საერთაშორისო ავტორიტეტული შეფასებები გვიჩვენებენ მსოფლიო კონკურენტუნარიანობის რეიტინგში გერმანია მე-5 ადგილზეა, საქართველო კი – 93-ე ადგილზე. აღნიშნული თანაფარდობა მიუთითებს იმაზედ, რომ გერმანიაში ბიზნესის კეთებას საქართველოსთან შედარებით უფრო მეტი ადმინისტრაციული ბარიერები ხვდება. რა თქმა უნდა, კონკურენტუნარიანობა მხოლოდ საბოლოო შედეგებით უნდა შეფასდეს.

ჩვენი აზრით, თანამედროვე ეტაპზე გლობალური და ლოკალური რეიტინგული გამოკვლევების შედეგების შესაბამისი ანალიზური კომენტარისა და გამოყენებული მეთოდოლოგიის საზოგადოებისათვის გაუხსნელად მიწოდება არაა გამართლებული. მიგვაჩნია, რომ გლობალური კონკურენტუნარიანობის, როგორც განმაზოგადებელი მაჩვენებლის პარალელურად უნდა დაფიქსირდეს ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური საქმიანობისა ისეთი სინოეზური მაჩვენებელი, როგორიცაა ერთ სულ მოსახლეზე წარმოებული მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა, თანაც არა მიმდინარე, არამედ საბაზისო, შესადარის ფასებში. ნებისმიერი წარმატებული რეიტინგი მაშინაა საიმედო, როდესაც იგი გამაგრებულია წარმოების შედეგებით, რომელიც თავის მხრივ, განაპირობებს ქვეყნის მოსახლეობის ცხოვრების დონეს და ხარისხს. ჩვენი კოცეფციის არგუმენტირების მიზნით შეიძლება მოვიყვანოთ შემდეგი მაგალითი: მთლიანი შიდა პროდუქტის წარმოების მოცულობის მხრივ საქართველო მსოფლიოს სხვა დანარჩენ ქვეყნებთან მიმართებაში იკავებს 171-ე ადგილს, ხოლო 1 სულ მოსახლეზე წარმოებული მთლიანი შიდა პროდუქტის მიხედვით 109-ე ადგილს⁷.

ამავე დროს, როგორც უკვე აღინიშნა, საქართველო 4 პოზიციით წინ უსწრებს სომხეთს მსოფლიო კონკურენტუნარიანობის რეიტინგში (დავოსის ფორუმის შეფასება), მაგრამ 1 სულ მოსახლეზე წარმოებული მთლიანი შიდა პროდუქტის მიხედვით სომხეთი საქართველოზე წინ დგას. უფრო მეტიც, ამ პარამეტრით საქართველოს წინ უსწრებს ყოფილი სსრკ-ში შემავალი ყველა ქვეყანა, გარდა მოლდავეთის, უზბეკეთის, ყირგიზეთისა და ტაჯიკეთისა.

7 <http://statinfo.biz/Geomap.aspx?act=8639&lang=1>

გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან, შეიძლება დავასკვნათ, რომ მიუხედავად უკანასკნელ წლებში განხორციელებული მეტ-ნაკლებად წარმატებული ეკონომიკური რეფორმებისა, ჯერ კიდევ არაა მკაფიოდ გამოკვეთილი საქართველოს მდგრადი და უსაფრთხო განვითარების გრძელვადიანი ტენდენციები. დღემდე მიღწეული თვალსაჩინო პოზიტიური შედეგები ძირითადად დოკალური ხასიათისაა და მთლიანობაში ქვეყნის კონკურენტურიანობა საერთაშორისო დონეზე ჯერ კიდევ დაბალია. გამომდინარე აქედან დღის წესრიგში დგება ქვეყნის გლობალური კონკურენტურიანობის ამაღლებისა და ეკონომიკური განვითარების გრძელვადიანი სამოქმედო პროგრამის შემუშავებისა და მათი პრაქტიკული რეალიზაციის ამოცანა.

რეგაზ გაბულია

ე.მ.დ., ქუთაისის უნივერსიტეტის
სრული პროფესორი

ეკონომიკის გლობალიზაცია და საჯარო ფინანსების განვითარების პროგლობი საქართველოში

მსოფლიო ფინანსური ეკონომიკის საფუძველთა საფუძველია ის ღრმა ცვლილებები, რომლებიც მიმდინარეობდა და მიმდინარეობს მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის პროცესში, კერძოდ: ტრანსფორმაცია ეროვნულ ეკონომიკებში, ადამიანებს შორის ურთიერთობებსა და მსოფლიო მეურნეობრივ ურთიერთობებში, სადაც საბოლოოდ განმტკიცდა ფინანსური დომინანტი; ფულის მთავარი თვისებრივი მახასიათებლის – ფინანსირებული ფასის დაკარგვა; თანამედროვე ფულის ფასი – მცურავი, განისაღვრება ეროვნულ-ფინანსურ ბაზრებზე; შემოსავლის, ლიკვიდობისა და რისკის მართვის ჩამოყალიბება ეროვნულ-ფინანსურ ბაზრებზე წარმოადგენს სახელმწიფოს ეკონომიკაში ჩარევის ფუნდამენტურ საფუძველს; ეროვნული ფინანსური ბაზრების დია სისტემად გარდაქმნა და მათი გაერთიანება ერთიან პლანეტარულ-ფინანსურ ბაზრებში (ეროვნული ფინანსური ბაზრები არის ინტერნაციონალური სავაჭრო მოედნები, სადაც ეროვნული კანონმდებლობების ფარგლებში კვაზინაციონალური სუბიექტების მიერ მიმდინარეობს ოპერაციები ვირტუალური ფინანსური ინსტრუმენტებით, მათ შორის ფულით); შრომის საერთაშორისო დანაწილების ტრანსფორმაცია წარმოებითი-დან ეკონომიკური დანაწილებისაკენ; ბიზნესის მთავარი მიზნის ტრანსფორმაცია კომპანიათა ეკონომიკური პოტენციალის განვითარებისაკენ; სამეურნეო გარემოს ვირტუალიზაცია, რომელიც აგებულია ვალდებულებებზე და რომლის ძირითადი ფორმაა ვადიანი კონტრაქტები; ფინანსური ეკონომიკის აგრესული ხასიათი, როგორც ალტერნატიულ მასშტაბებში დირებულებით გლობალური მართვის ატრიბუტი, რომელიც ხორციელებია „მებრძოლი“ მონეტარიზმით.

ოქროს სტანდარტის გაუქმებამ, სსრ კავშირის დაშლამ და ეროვნული ვალუტების მცურავი ქურსის შემოღებამ განვითარებულ ქვეყნებს განსაკუთრებით ამერიკის შეერთებულ შტატებს გზა გაუხსნა ფასების მასშტაბის მანიპულირების უზრუნველ-საფოფლად.

ის გარემოება, რომ სავალუტო კურსი წარმოადგენს მხოლოდ აუცილებელ დონისძიებას, მაგრამ არასაკმარისია იმისათვის, რომ კველა ქვეყანაში უზრუნველყოფილი იქნება მაკროეკონომიკური სტაბილიზაცია. აქ თავის გადამწყვეტ სიტყვას ამბობს ეროვნული მეურნეობების დოლარიზაცია. სწორედ ამით არის განპირობებული, რომ მსოფლიო ვაჭრობის დახმარებით 70% დოლარის მომსახურების სფეროში იმყოფება. საყურადღებო ისიც, რომ ეროვნული მეურნეობის არც ერთ სუბიექტს არ შეუძლია საექსპორტო-საიმპორტო გარიგება მოახდინოს სახელმწიფოს ან ბანკის საფინანსო გარანტიის გარეშე. ასეთი გარანტიების დორებულება წარმოადგენს განვითარებული ქვეყნების ვირტუალური შემოსავლების უდიდეს

წყაროს იმდენად, რამდენადაც ეროვნულ მეურნეობათა სუბიექტებისაგან პირდაპირი გარანტიები არ მიიღება. საჭიროა კონტრგარანტიები, რომლებსაც გასცემები იგივე განვითარებული ქვეყნები.

ამრიგად, მსოფლიო ეკონომიკის განვითარების გლობალიზაციამ თავისი შედეგები გამოიღო. უკანასკნელი პერიოდის მოვლენებმა დაადასტურა ლიბერალური მეურნეობების ისტორიული ხაზის უპირატესობები. სწორედ ლიბერალური ეკონომიკური და ფილოსოფიური აზრის ჩარჩოებში წარმოიშვა პოსტინდუსტრიული საზოგადოების პირველი თეორიები.

ლიბერალური ეკონომიკის სისტემაშ შეძლო სოციალისტური რევოლუციებისაგან თავის დაღწევა, პროლეტარიატის დიფერენციაცია, მსოფლიო მასშტაბი აქტიურ რევოლუციურ პარტიასთან კონსოლიდაციის თავიდან აცილება, სოციალისტურ სისტემასთან იდეოლოგიური ბრძოლის მოგება.

ლიბერალური მოდელის გამარჯვებამ მსოფლიო მიუვანა ერთ მეტად მნიშვნელოვან შედეგთან. სწორედ ლიბერალური პარადიგმა, ე.ო. შედარებით თანმიმდევრული კაპიტალიზმი წარმოადგენს ეკონომიკურ პარადიგმასაც, რომელიც განასახიერებს თანამედროვე მსოფლიო სულისკვეთებას. „ლიბერალ-კაპიტალიზმი“ თანამედროვე ეკონომიკურ სისტემად ჩამოყალიბდა.

„ეკონომიკა – ეს მხოლოდ ენაა, რომელზედაც შეიძლება ნებისმიერი წერილის ჩამოყალიბება. ეკონომიკის ლიბერალური მოდელი (ეკონომიკის) არის წერილი განკერძოებისა და ენტროპიის ტრიუმფიდან სოციალური, პოლიტიკური, კულტურული და ისტორიული ანსამბლიისაკენ. ეს არის „თანამედროვე სულისკვეთების“ წერილი, განათლების წერილი¹. მემარცხენებმა (რადიკალური დემოკრატები, უან-უაკ რუსო, სოციალისტები, კომუნისტები) და მემარჯვენებმა (ფუნდამენტალისტები, ტრადიციონალისტები, ინტეგრისტები) დიდი ხანია გაშიფრეს ლიბერალიზმის ბუნება, როგორც მსოფლიო ბოროტების განსახიერება. ეს მოახდინეს ფილოსოფიაში ჯონ ლოკმა, იერემია ბენტამმა, ჯონ მილმა, ხოლო ეკონომიკაში – ადამ სმიტმა და დავიდ რიკარდომ. ეს არის აგრეთვე თანამედროვეობის ავტედითი, ნიპილისტური სულისკვეთება, რომელიც დაფუძნებულია „დმერთისაგან დაშორებაზე“ (მ. პაიდეგერი). „დმერთის სიკვდილზე“ (ფ. ნიცშე), „ექსპლოატაციაზე“ (კ. მარქსი).

ფინანსიზმი – ფინანსური ეკონომიკა არ არის პრინციპულად ახალი, ის არის „ლიბერალ-კაპიტალიზმი“ უფრო წმინდა ფორმით. ესაა მისი თავისებურება.

გასული საუკუნის 70-იან წლებამდე ფინანსური სისტემა აგებული იყო კვლავწარმოებითი პროცესების ეკვივალენტურ გაცვლაზე. ამის შემდეგ დაიწყო მსოფლიო ფინანსების ტრანსფორმაცია. არენაზე გამოდის უახლესი ფინანსური ნაკადები, სადაც ერთმანეთში გადაიხლართა ეკვივალენტური გაცვლა კვლავწარმოებითი ციკლის ჩარჩოებში და ახლად შეძნილი კომპონენტი – მსოფლიო ფინანსური რესურსების გიგანტური მასა.

თავისი განვითარების მესამე ათასწლეულში კაცობრიობა შევიდა ხალხებისა და ქვეყნების ცხოვრებაში კოლოსალური ცვლილებებისა და უდიდესი სოციალური ექსპრიმენტების განხორციელების ეპოქაში.

განსაკუთრებით საყურადღებოა ის გარემოება, რომ თანამედროვე გლობალურ ეკონომი-

¹ Дугин А.Г. Финансизм как высшая стадия развития капитализма. См. «Экономическая теория на пороге XX века», с. 46

კაში საქონლისა და ნედლეულის ბაზრები მსოფლიო ფინანსური ბაზრის მიერ ნებისმიერი ქვეყნის ძლიერ და სუსტი მხარეების კონტროლის ელემენტარულ საშუალებასაც არ იძლება.

სახელმწიფოს ეკონომიკური ძლიერების შესაფასებლად მსოფლიო პრაქტიკაში გამოყენებულია **სამეურნეო სისტემის ეკონომიკური პოტენციალის მაჩვენებელი.**

ასეთ პირობებში აუცილებელია საფუძვლიანად გავაანალიზოთ ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის სტრუქტურა და მისი საბაზრო რეალიზაციის შესაძლებლობები, რომ ფხიზლად აგწონ-დაგწონოთ და განვსაზღვროთ ქვეყნის მიმდინარე საბაზრო ექსპრიმენტების მოსალოდნელი შედეგები.

ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად, რომლის გადაწყვეტასაც სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციოს სახელმწიფომ, არის ტერიტორიული კომპლექსების, დარგების, ფირმების და ამ უკანასკნელის სტრუქტურული ერთეულების ეკონომიკური პოტენციალის ფორმირების, პროგნოზირების და დაგეგმვის ამოცანა, რომლის სარეალიზაციოდ აუცილებელია გამოყენებული იქნეს სახელმწიფოს, დარგების, ფირმების, კორპორაციების ეკონომიკური და სამეწარმეო მაჩვენებელთა შესაძლებლობები და მათი მომავალში გამოყენების ხარისხი.

„ეკონომიკური პოტენციალის“ კატეგორია მჭიდრო კავშირული რეალიზაცია ისეთ კატეგორიებთან, როგორიცაა: „ეროვნული სიმდიდრე“, „ეკონომიკური ძლიერება“, „რესურსები“ და ა.შ.

„ეროვნული სიმდიდრე“ ეს არის მატერიალური კეთილდღეობის ერთობლიობა, რომელიც შექმნილია წინამორბედი და ახლანდელი თაობების მიერ და ჩართულია ბუნებრივი რესურსების კვლავწარმოების პროცესში. მოკლედ „ეროვნული სიმდიდრე“ ეს არის ბუნებრივი რესურსები, შექმნილი წარმოების საშუალებების, მატერიალური დოკუმენტის და სხვა ფასულობათა ერთობლიობა, რომელსაც ქვეყანა ფლობს.

არსებითი განსხვავებაა „რესურსებსა“ და „პოტენციალს“ შორის. რესურსები არსებობს ეკონომიკური საქმიანობის სუბიექტებისაგან დამოუკიდებლად, ხოლო ცალკეული ფირმის, მთლიანობაში საზოგადოების პოტენციალი განუყოფელია სუბიექტების საქმიანობისაგან.

სხვა სიტყვებით, ტერმინ „პოტენციალში“, მატერიალურ და არამატერიალურ საშუალებებთან ერთად იგულისხმება მუშაკის, კოლექტივის, ფირმის, მთლიანობაში საზოგადოების უნარი ეფექტიანად იქნეს გამოყენებული არსებული საშუალებები და რესურსები.

ამრიგად საწარმოო პოტენციალი ეს არის პროდუქციის რეალური მოცულობა, რომლის წარმოება შეიძლება არსებული რესურსების სრული გამოყენების პირობებში.

ეკონომიკური პოტენციალის არსის გასარკვევად შეიძლება გამოვყოთ ოთხი მიდგომა:

1. ეკონომიკური პოტენციალი, როგორც ეროვნული მეურნეობის დარგთა ერთობლივი შესაძლებლობა;

2. ეკონომიკური პოტენციალი, როგორც არსებული რესურსების ერთობლიობა;

3. ტერმინების: „ეკონომიკური პოტენციალის“, „ეკონომიკური ძლიერების“, „სახალხო-მეურნეობრივი პოტენციალის“ გაიგივება;

4. ეკონომიკური პოტენციალი, როგორც სამეურნეო საქმიანობის სუბიექტებს შორის ეკონომიკური და წარმოებით ურთიერთობათა შედეგი.

ეკონომიკური პოტენციალის შეფასება წარმოებს შემდეგი მაჩვენებლების გამოყენებით: მოსახლეობის რიცხოვნობა, შრომითი რესურსების რიცხოვნობა; ძირითადი საწარმოო და არა-საწარმოო ფონდები; ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტი და ეროვნული შემოსავალი; მინერალური, სანედლეულო, წყლის, ენერგეტიკის და სხვა რესურსები; სატრანსპორტო ქსელის განვითარების მაჩვენებელი.

ნებისმიერ ქვეყანაში ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის სრულად ათვისებისა და გამოყენების მთავარი საწინდარია ფინანსური ბაზრის სრულყოფილი განვითარება, სხვანაირად შეუძლებელია ქვეყანაში ფინანსური რესურსების აკუმულაცია და მიზანმიმართული გამოყენება.

დღეს მსოფლიოს გლობალიზაციის პროცესი მიმდინარეობს ძალიან მაღალი ტემპებით, რაც სერიოზულ გავლენას ახდენს ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებაზე. უარსაყოფა არც ის არის, რომ პროცესები, რომლებიც ჩვენი ქვეყნის გარშემო ხდება გავლენას მოახდენს ქვეყნის მოსახლეობის ცხოვრების დონეზე. მაგალითად, ამის ყველაზე ნათელი მაგალითია ის, რომ ნავთობის გამვირება ოუდნაც არაბულ სამყაროში, კონკრეტულად ლიბიაში მიმდინარე პროცესების გამო საქართველოს უბრალო მოქალაქის ჯიბეზე ურტყამს. აქედან გამომდინარე ყველაფერს ამ გადასახედიდან უნდა შევხედოთ. დღეს ერთგვარი პერმანენტული ეკონომიკური კრიზისის ფონზე საზოგადოებრივი აზრის დომინანტი გაჩნდა. საზოგადოებრივი აზრი უფრო მეტ რეზონანსს იძენს ვიდრე პქნონდა ადრე.

საქართველოს საბაზრო გარდაქმნების კარიბჭესთან მივიდა ფინანსური ბაზრისა და კაპიტალის არადამაკმაყოფილებელი განვითარების პირობებში, რაც, თავის მხრივ, განპირობებული იყო მსოფლიო გლობალიზაციის პროცესის დაჩქარებით.

ეროვნულ ბაზარზე უცხოური კაპიტალის შემოჭრამ გაართულა ეკონომიკის განვითარება და დიდი პერიოდი დაგვჭირდა წინა სისტემაში მიღწეული ზრდის ტემპებთან მიახლოვებისათვის.

ამას ისიც დაემატა, რომ საქართველოს ეკონომიკამ მსოფლიო ფინანსური კრიზისის გამო განიცადა გლობალური ფინანსური სისტემის უარყოფითი გავლენა. ჩვენს ქვეყანაში გლობალური ფინანსური სეგმენტის ფორმირება უნდა გახდეს ეროვნული ეკონომიკური ინტერესების სფეროს შემადგენელი ნაწილი და სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკისა და საქართველოს ბაზრის საინვესტიციო მიმზიდველობის მთავარი წყარო.

როგორც წესი, გლობალური კაპიტალისტური სისტემა აძლიერებს მდიდარ და ღარიბ ქვეყნებს შორის არათანაბარ განვითარებას. ამასთან, გასული საუკუნის ბოლოს ფორმირებული ფინანსური ეკონომიკა უპირატესად მიმართულია განვითარებული ქვეყნების ეკონომიკის კიდევ უფრო ადგა სვლის უზრუნველსაყოფად, მაშინ, როდესაც პერიფერიების ეკონომიკა კიდევ უფრო დესტრუქტიული ხდება. თანამედროვე გლობალური ეკონომიკა ითვალისწინებს საქონლისა და მომსახურების თანამედროვე ვაჭრობის აღმაღლობას და კაპიტალის თავისუფალ მოძრაობას. ამასთან, სხვადასხვა ქვეყნებში საპროცენტო განაკვეთები, საგალუტო და აქციათა კურსები ურთიერთ დაკავშირებული და ურთიერთ დამოკიდებული ხდება.

ფინანსური კაპიტალის მეშვეობით მსოფლიო მეურნეობაში რეგულირება განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკის გახსნილობას მოითხოვს, მაშინ, როდესაც განვითარებული საბაზრო

ეკონომიკის ქვეყნები ცდილობენ ბარიერი შეუქმნან განვითარებადი ქვეყნების უარყოფითი მომენტების შეჭრას თავიანთ ქვეყნებში.

გლობალური ფინანსური ბაზრების სწრაფი განვითარება და კაპიტალის ცირკულაციის სისტემა და მისი განვითარებული ქვეყნების ბაზრებში მიმართვა ზღუდავს განვითარებად ქვეყნებში ფინანსური რესურსების მობილიზაციის რეგულირებას.

საქართველოში 2010 წელს უნდა შემოსულიყო სულ ცოტა 1 მილიარდი დოლარის ინვესტიციები. საინვესტიციო საგენტოს პროგნოზით 700 მლნ ლარის ინვესტიცია შემოვიდა. ერთადერთი, რომლის პროგნოზი რეალობასთან მეტ-ნაკლებად ახლოს აღმოჩნდა, ეს საგადაუტო ფონდი იყო. საქართველოში 2010 წლის განმავლობაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სახით 553 მლნ დოლარი შემოვიდა. ასეთი მცირე მოცულობის ინვესტიცია ბოლო 7 წლის განმავლობაში არ ყოფილა.

საქართველოში 2010 წელს, წინა 2009 წელთან შედარებით პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა 16%-ით შემცირდა.² სტატისტიკის ეროვნული სამსახურის წინასწარი მონაცემებით ქვეყანაში 2010 წლის ბოლო, მე-4 კვარტალში მხოლოდ 120 მლნ აშშ დოლარის პირდაპირი უცხოური ინვესტიცია განხორციელდა, ხოლო მთლიანად 2010 წლის მანძილზე 553 მილიონი აშშ დოლარის ინვესტიცია.

გასულ წელს საქართველოს უმსხვილესი ინვესტორი ნიდერლანდები იყო, რომელმაც ჩვენს ქვეყანაში 143 მლნ. აშშ დოლარის ინვესტიცია განახორციელდა. მეორე ადგილზეა აშშ. მის მიერ საქართველოში განხორციელებულმა კაპიტალურმა დაბანდებებმა 108 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

უმსხვილეს ინვესტორთა სიაში მესამეა რუსეთი, რომლის მიერ ჩვენს ქვეყანაში განხორციელებული ინვესტიციების მოცულობამ 51 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

ქვეყანაში შემოსული ინვესტიციების 35% ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სექტორებზე მოდის. ინვესტიციების მთელი მოცულობიდან 16-16% მრეწველობისა და საფინანსო სექტორებზე მოდის, 15% – უძრავ ქონებაზე, ხოლო 17% ქვეყნის სხვა დანარჩენ სტრუქტურებზე³.

ქვეყანაში საინვესტიციო ურთიერთობათა პრობლემები უშუალო კავშირშია ფინანსებთან. ფინანსები განსაკუთრებული სფეროა. დღეს მსოფლიოში რეალური ხელისუფლება კონცენტრირებულია არა ფულად, არამედ ფინანსურ სფეროში. ფაქტობრივად მსოფლიო ეკონომიკას მართავს არა ფული, არამედ მისი შემცვლელები, აქციები, ობლიგაციები და სხვა ფასიანი ქაღალდების მიმოქცევის ჩათვლით, რომლებიც წარმოშობის ეროვნული ფინანსური ბაზრის სწრაფი ტემპით განვითარების აუცილებლობას.

როგორც წესი, ინვესტიცია ეს არის კაპიტალური დაბანდება, რომელიც მიმართულია ფირმებისა და კორპორაციების წარმოების ფაქტორებით (რეალური ინვესტიციებით) უზრუნველყოფის ან ფასიანი ქაღალდების (პორტფელური ინვესტიციების) შესაძენად. საწარმოთა დონეზე ინვესტიციების დაგეგმვისას მთავარი კურადღება ექცევა რეალურ ინვესტიციებს, რაც შეეხება პორტფელურ ინვესტიცას იგი დამატებითი რესურსების მობილიზაციის საშუალებაა.

² აქ მოტანილი მონაცემები აღებულია სტატისტიკის ეროვნულ სამსახურში (ავტორი).

³ სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები.

პოსტსოციალისტურ ქვეყნებში მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს კაპიტალურ დაბანდუბათა დაფინანსებას უპირატესად მოზიდული სახსრებით. რაც შეეხება საბუთარი სახსრებით დაფინანსებას, იგი ფაქტობრივად თვითდინებაზეა მიშვებული.

იმისათვის, რომ სწორად შევაფასოთ კაპიტალურ დაბანდუბათა დაფინანსების შინაგანი წყაროების ეკონომიკური შინაარსი აუცილებელია გავარკვიოთ შემოსავლისა და ხარჯების თანაფარდობა თანაც დავაზუსტოთ მოგების მოცულობა, როგორც დაფინანსების საქუთარი წარმოების საფუძველი. აქ ყურადღება უნდა მიექცეს:

1. დაფინანსებას აქტივებისა პასივების შეფარდებით მიღებულ გარდამეტს, რომელიც არ გამოიყენება დივიდენდების ასანაზღაურებლად და

2. დაფინანსებას ამორტიზაციის ანგარიშებიდან.

კაპიტალურ დაბანდუბათა დაფინანსება მოზიდული სახსრებით ხორციელდება ფინანსური ბაზების (კრედიტისა და კაპიტალების ბაზრები) მეშვეობით.

ინვესტორის ან ფირმის დაფინანსების პრობლემათა გადასაჭრელად აუცილებელია პირველ რიგში დაგეგმილი იქნეს საინვესტიციო პროგრამა და შემდეგ გავიდნენ დაფინანსების ბაზარზე, რომ იპოვონ კრედიტორები, რომლებსაც შეუძლიათ დაგეგმილი საინვესტიციო პროგრამის მთლიანად ან ნაწილობრივად დაფინანსება.

კაპიტალურ დაბანდუბათა დაფინანსების რეალურობა მოითხოვს ოპტიმალური დაფინანსებისათვის სათანადო პირობების შექმნას. ჩამოვაყალიბოთ ზოგიერთი პრობლემა, რომლებიც ართულებენ დაფინანსების რეალურობასა და შედეგიანობას:

1. ფირმა, რომელიც საჭიროებს კაპიტალს, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს მთლიანობაში საწარმოს ეკონომიკური მდგომარეობის ოპტიმალურ დაფინანსებას;

2. თუ კრედიტორი სრულყოფილად ვერ ფლობს ფირმის ფინანსურ მდგომარეობას, იგი წინააღმდეგია დააფინანსოს ფირმისათვის დამახასიათებელი ეკონომიკური სიძნელეები. დღის წერიგში დგება ფირმას მოსთხოვოს კრედიტის დამატებითი გარანტიების შემუშავება.

3. სერიოზულ პრობლემას ქმნის ისეთი შემთხვევები, როდესაც ფირმის მესაკუთრე მონაწილეობას არ დებულობს მის მართვაში და ამ ფუნქციას მთლიანად აკისრებს მენეჯერებს.

ფირმის საინვესტიციო ურთიერთობაში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ფირმის სამეწარმეო საქმიანობის ზოგიერთ თავისებურებას. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ფირმის საინვესტიციო ფუნქცია წარმოადგენს ფირმის სამეწარმეო განვითარების საერთო ეკონომიკური სტრატეგიის ორგანულ ნაწილს. აქედან გამომდინარე, ფირმის ეკონომიკური განვითარების ამოცანები მოითხოვს აქტივების მოცულობის გაფართოებასა და მისი შემადგენლობის განახლებას, რაც უპირატესად მიიღწევა საინვესტიციო საქმიანობის პროცესში.

ფირმის (კორპორაციის) საინვესტიციო საქმიანობის განხორციელების წყაროებია: საკუთარი ფინანსური რესურსები და ინვესტორის შიგასამეურნეო რეზერვები, რომელიც მოიცავს ფირმის ორგანიზაციის მოქენები დამფუძნებელთა თავდაპირველ შენატანებს და იმ ფულად სახსრებს, რომელიც მიღებულია ფირმის სამეწარმეო საქმიანობის შედეგად, სახელდობრ მოგების, სამორტიზაციო ანარიცხების, სადაზღვევო ორგანოების მიერ ავარიეტებისა და სტიქიური

უბედურებით მიუენებული ზარალის დაფარვის გზით;

ინვესტორის ნასესხები ფინანსური სახსრები წარმოგვიდგება საბანკო კრედიტის, საინვესტიციო საგადასახადო კრედიტის, საბიუჯეტო კრედიტის სხვათა სახით;

ინვესტორის მიერ მოზიდული ფინანსური სახსრები რომელიც მიიღება აქციების გაყიდვით, იურიდიული და ფიზიკური პირების საპათო შენატანების გზით;

საინვესტიციო ასიგნებები სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტებიდან;

უცხოური ინვესტორების სახსრები, რომელიც ფირმებს ეძლევა ერთობლივი საწარმოების საწესდებო კაპიტალში მონაწილეობის ფორმით.

საქართველოს თანამედროვე ეკონომიკისა და ფინანსების პრობლემებს შორის მეტად მნიშვნელოვანია ქვეყანაში ინფლაციური პროცესების მოწესრიგება. სამწუხაროდ მიმდინარე წლის განვლილ პერიოდში ინფლაცია არნახულ დონემდე გაიზარდა.

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით 2011 წლის თებერვალში, იანვართან შედარებით ინფლაცია 2.8%-ით გაიზარდა. თებერვალში წლიური ინფლაცია თითქმის 14%-მდე ავიდა (2011 წლის თებერვალში 2010 წლის თებერვალთან შედარებით 13.7%-ით გაიზარდა). მაშინ, როდესაც 2011 წლის იანვრის ინფლაციის დონემ წინა წლის იანვართან შედარებით 12.3% შეადგინა. დღემდე ვერ მოხერხდა მზარდი ინფლაციის შეჩერება. უფრო მეტიც, ინფლაციის დონემ მიმდინარე წლის მარტში, წინა წლის ანალოგიურ თვესთან შედარებით 13.9% შეადგინა.

ინფლაციის ზრდის ტემპებით საქართველო ერთ-ერთი მოწინავეა მსოფლიოში. მართალია ინფლაციისაგან დაზღვეული არ არის ევროპის სხვა სახელმწიფოები, თუმცა ამ ქვეყნებში ინფლაციის მინიმალური ზრდა ფიქსირდება. მაგალითად, 2010 წლის იანვარში მთლიანად ეპროგაგშირში ინფლაცია მხოლოდ 1.7% იყო. რუმინეთში ინფლაციამ 7% მიაღწია, ესტონეთში – 5.1%-სს, საბერძნეთში კი 4.9 %-სს.

ქვეყანაში ინფლაციის მაღალი ტემპების პირობებში გრძელდება ეროვნული ვალუტის-ლარის გამყარება.

რა შედეგებს მოგვცემს ლარის გამყარება?

2011 წლის 20 თებერვლიდან მოყოლებული ლარის კურსი დოლარის მიმართ იზრდება: 5 მარტისათვის ერთი დოლარი 1.72 ლარს შეადგენდა. მოსალოდნელია ინფლაციის ზრდა, რასაც თან მოჰყვება ლარის გამყარების გაგრძელება. რამ განაპირობა ლარის კურსის სტაბილურობა? ლარის კურსის გამყარების ერთ-ერთი მიზეზია ლარზე მოთხოვნის ზრდა და ინვესტიციების შემოსვლა.

ხაზგასასმელია ის გარემოებაც, რომ ლარის კურსის მკვეთრი გამყარება განპირობებულია ინფლაციისა და ფასების მოსალოდნელი ზრდით. ოფიციალურად ინფლაციის ზრდამ 12.3% შეადგინა და მარტში იგი უფრო მაღალი გახდა იმ მარტივი ჭეშმარიტების გამო, რომ სამომხმარებლო ფასების ზრდის ტენდენცია გრძელდება. ამის მთავარი მიზეზია ნავთობისა და მარცვლეულის ფასების ზრდა. მნიშვნელოვნად გაიზარდა ოქროსა და ვერცხლის ფასები. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხორცი 1 ლარით გამვირდა, რძის ფხვნილის ფასი იანვართან შედარებით 40 %-ით მეტად გაიზარდა. 1 მარტიდან ფაქტობრივად სასურსათო საქონლის აბსოლიტური უმრავლესობის ფასები მნიშვნელოვნადდ გაიზარდა.

ქვეყანაში ფასების შემაკავებელი ბერკეტი არის ლარის კურსის გამყარება. ინფლაციის შესაბამებლად მიმოქცევაში ლარის მასა უნდა შემცირდეს, რაც უკანასკნელ პერიოდში რეკორდულად გაიზარდა. თუ 2009 წლის ოქტერვალში მიმოქცევაში 1.17 მილიარდი ლარი იყო 2010 წლის დეკემბრისათვის 1.62 მილიარდ ლარს მიაღწია. არსებითად გაიზარდა სამთავრობო ხარჯები. იგი ბიუჯეტის შემოსავლებს მნიშვნელოვნად ადგემატება. და ეს დისბალანსი 2010 წელსაც შენარჩუნდა. კომერციულმა ბანკებმა განსაკუთრებით დიდი მოცულობის სესხები გასცეს, რამაც მიმოქცევაში ფულის მასა გაზარდა. დღეისათვის ეროვნული ბანკი მიმოქცევიდან დარის ამოღების გზას დაადგა, რაც სხვა არაფერია თუ არა მონეტარული პოლიტიკის გამკაცრება, რაც საბოლოო ჯამში საბანკო დაკრედიტების შეზღუდვას გამოიწვევს.

განსაკუთრებით საყურადღებოა ის ფაქტი, რომ საქართველოს ეროვნული ბანკის წლიური ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებელი 2010 წლის მსგავსად, 6%-ს შეადგენს, თუმცა, მისი მიღწევა დღევანდელი გადასახედიდან რეალობას არ ექვემდებარება.

ასეთია მოკლედ ქვეყანაში საჯარო ფინანსების განვითარების პრობლემები და მათი დაძლევის შესაძლებლობები.

საიურა შალამბერიძე

ე.ა.დ., აკადი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის და
ქუთაისის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ფინანსური ბაზრის ზოგიერთი ასპექტი მსოფლიო ეკონომიკური გლობალიზაციის პირობები

ფინანსების გლობალიზაცია არის მსოფლიო ეკონომიკური და ფინანსური ურთიერთობათა მნიშვნელოვნად ინტეგრირებული ბაზარი, რომელსაც საზღვრები არ გააჩნია. თანამედროვე მსოფლიოში ფინანსური გლობალიზაცია მჭიდრო კავშირშია მატერიალური დოკუმენტისა და მომსახურების გლობალიზაციასთან. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ფინანსების სისტემა გლობალიზაციის დონით მთელს რეალურ ეკონომიკას უსწრებს.

გლობალური ფინანსური ბაზრის გენეზისის მთავარ წინაპირობას და ფაქტორს წარმოადგენს მონაცემთა ციფრების ფორმით გარდაქმნის ტექნოლოგია, რომელმაც რევოლუცია მოახდინა მსოფლიო ფინანსურ სამყაროში. ფინანსური გლობალიზაციის ფაქტორებიდან აღსანიშნავია: განვითარებული ბაზრები, დემოგრაფიული სიტუაცია, ქცევა დაზოგვის სფეროში, ინსტიტუციური კაპიტალის საეთაშორისო მოძრაობა, სტანდარტიზაცია, ფულადი ნაკადები, პორტფელური ინვესტიციების თანამედროვე თეორიები, ფინანსური ინვაციები და ბაზრის უმყარობის ასპექტები, ლიბერალიზაცია და სხვა. ამ ფაქტორებზე პირდაპირ გავლენას ახდენს მუდმივ სრულოფაში მყოფი ინფორმაციული ტექნოლოგიები.

ფინანსების გლობალიზაციის მოქმედ იურიდიულ პირებს წარმოადგენდნენ: ბირჟები, ბანკები, მთავრობა, ცენტრალური ბანკი, ზედამხედველობა, მსესხებელი და კაპიტალის მიმღები, ინვესტორები, საინფორმაციო ტექნიკის მწარმოებლები და საინფორმაციო უზრუნველყოფა, შერეული საწარმოები ლოგისტიკისა და საინფორმაციო ტექნოლოგიებში და სხვა.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში, ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკის ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფა უპირატესად ფინანსური ბაზრის მეშვეობით წარმოებს. ფინანსური ბაზარი ფულადი სახსრების მოძრაობის ორგანიზაციის განსაკუთრებული ფორმაა. ფინანსური ბაზარი ფულად ურთიერთობათა სისტემა, რომელიც ფინანსურ რესურსებზე მოთხოვნა-მიწოდების საფუძველზე დროებით თავისუფალი ფულადი სახსრების გადანაწილების პროცესში ყალიბდება. ფინანსური ბაზრის სტრუქტურა აერთიანებს სხვადასხვა საფინანსო ინსტიტუტებს – საბანკო დაწესებულებებს, სადაზღვევო კომპანიებს, საფონდო ბირჟებს, რომელთაგან ყველა მათგანს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკურ ურთიერთობათა შემდგომი განვითარება შეუძლებელია ადგენატური ფულად-საკრედიტო სისტემისა და პოლიტიკის გარეშე, რაც სხვა არაფერია, თუ არა ეროვნული ეკონომიკის რეალური სექტორის სტაბილური ზრდის სტიმულირება

საბაზრო ფინანსურის განვითარების სამიზნო დანართები

მკაცრი კონტროლის პირობებში. ფულად-საკრედიტო პოლიტიკის მიზანია კონტროლირებადი ინფლაციის პირობებში ლიკვიდობის ზრდის შესაბამისობაში მოყვანა ქვეყნის ეკონომიკურ ზრდასთან და საგადასახდელო ბალანსის პარამეტრებთან.

ფინანსების სფეროში გლობალიზაციის პროცესმა გამოიწვია არა მარტო ფულადი რესურსების უდიდესი მასის განთავსება გლობალურ ფინანსურ ბაზრებზე, არამედ შეცვალა მსოფლიო ეკონომიკაში ფულის ფუნქციები. ფული გადაიქცა საქონლად, ხოლო ვალუტის კურსის დაწესებში სპეციალურიამ მიიღო შედარებით მომგებიანი საბაზისო ოპერაციის ფორმა. ამასთან, საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ გლობალიზაციაში მოიცვა მსოფლიო ეკონომიკურ სისტემაში მატერიალური, ფინანსური, ადამიანური და სხვა რესურსების სამეურნეო მიზანმიმართულების მიხედვით განთავსება, ე.ი. ამ რესურსების კონცენტრაცია უნდა მოხდეს იმ რეგიონებში, სადაც შეიძლება მათი ეფექტური მოპოვება.

შემთხვევითი არ არის ის ფაქტი, რომ ფინანსურ სფეროში გლობალიზაციის პროცესმა ფართო განვითარება ჰქონდა. კომპიუტერიზაცია, ელექტრონული ანგარიშებისა და საკრედიტო რეუკების სისტემები, კოსმოსური კავშირები იმის საშუალებას იძლევა, რომ სწრაფად გადაეცეს ფინანსური ინფორმაციები, გაფორმდეს გარიგებები, სახსრები ჩაირიცხოს ერთი ანგარიშიდან მეორეში სახელმწიფო საზღვრების სიშორის მიუხედავად. ამ პროცესებმა შესაძლებელი გახადა ტრანსაქციური დანახარჯების შემცირება, რაც ფაქტობრივად წარმოადგენს მსოფლიო ფინანსური ბაზრის ფორმირების ძირითად მახასიათებლებს.

თანამედროვე ფინანსური კრიზისის მასშტაბები და ხანგრძლივობა ეკონომიკურ მეცნიერებას აიძულებს ახლებურად განიხილოს ის ცვლილებები, რომლებიც საზოგადოებრივ ცხოვრებაში დომინირებს გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან. განსაკუთრებით საყურადღებოა ეკონომიკის ინტერნაციონალიზაციასთან დაკავშირებული მოვლენები, რომელსაც თან ახლავს გლობალიზაციისა და ინტეგრაციის პროცესების გაღრმავება.

როგორც წესი, საქართველოში ეკონომიკური და ფინანსური რეფორმების წარმატებით განხორციელებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მსოფლიო გლობალიზაციის პროცესი. ქვეყანაში მისი გავლენის მიღმა არც ფინანსურ-საკრედიტო ურთიერთობები დარჩა. ფინანსების გლობალიზაციის დონე ინტეგრირებულ ფინანსურ ბაზრებზე უნდა ვეძებოთ, რომელსაც წინასწარ განსაზღვრული ჩარჩოები არ გააჩნია.

საქართველოს ეკონომიკის ფინანსური სტაბილიზაცია საკუთარი შესაძლებლობების მობილიზაციით ძნელია. საჭიროა ქვეყანა ჩაერთოს მსოფლიოს ეკონომიკური ცხოვრების გლობალურ ურთიერთობებში. ამის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობა იყო ქვეყნის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრად შესვლა. რა თქმა უნდა, საერთაშორისო საგალუტო ფონდისა და რეგონსტრუქციისა და განვითარების მსოფლიო ბანკის, აგრეთვე ევრობანკის საქმიანობა საქართველოში დადგებით შეფასებას იმსახურებს. ამასთან, ობიექტურ აუცილებლობას წარმოადგენს ეროვნული ეკონომიკის მსოფლიოს გლობალიზაციაში ჩართვა. მით უმეტეს, ფინანსური გლობალიზაცია მჭიდრო კავშირშია დია ეკონომიკასთან, ე.ი. ეკონომიკასთან, რომელიც შეუზღუდავად ურთიერთმოქმედებს სხვა ქვეყნების ეკონომიკასთან.

საქართველოში, სხვა განვითარებადი ქვეყნების მსგავსად, ურთულეს პრობლემად რჩება მიმოქცევაში ფულის მასის რეგულირება. მდგრმარეობას ართულებს, ერთი მხრივ, ქვეყანაში

დია ეკონომიკის ჩამოყალიბება-ფუნქციონირება და მეორე მხრივ, შემოსავლების აკუმულირებაში პრიორიტეტის უცხოურ ვალუტაზეგადაცანა. ამის გამო, მიმოქცევაში ფულადი მასის მოცულობის გაანგარიშება რთულდება, ხოლო მისი გაკონტროლება - კიდევ უფრო ძნელი ხდება.

დია ეკონომიკა სხვა ქვეყნების ეკონომიკასთან ორი გზით ურთიერთქმედებს: ყიდულობს და ყიდის საქონელსა და მომსახურებას მსოფლიოს სასაქონლო ბაზრებზე და ყიდულობს და ყიდის კაპიტალურ აქტივებს მსოფლიოს ფინანსურ ბაზრებზე. ჩვენი მიზანია, შევისწავლოთ საერთაშორისო ფინანსური ურთიერთობები, ე.ი მსოფლიოს ფინანსურ ბაზრებზე კაპიტალური აქტივების ყიდვა-გაყიდვასთან დაკავშირებული მოვლენები.

როდესაც გლობალური ფინანსური სისტემის როლს ვაანალიზებთ, საჭიროა განვიხილოთ სასესხო კაპიტალის ბაზრის თავისებურებანი. სწორედ ეს ბაზარი უყრის თავს დანაზოგებს და იმავე ბაზარზე ხდება მისი სესხად გაცემაც. ბაზარზე მოქმედებს სარგებლის ერთიანი განაკვეთი, რომელიც, ერთი მხრივ, დანაზოგებიდან მოსალოდნელ შემოსავალს გამოხატავს და მეორე მხრივ, სესხის სარგებლობის საფასურსაც.

მსოფლიო პრაქტიკიდან ცნობილია, რომ დაზოგვა სამამულო ინვესტიციებისა და წმინდა უცხოური ინვესტიციების ჯამის ტოლია. თუ საქართველო თავისი შემოსავლის ერთ ლარს ზოგავს, მას შეუძლია ეს დანაზოგი საკუთარი კაპიტალის შეძენის ან უცხოური აქტივის შესყიდვის დასაფინანსებლად გამოიყენოს. ტოლობის ორი მხარე სასესხო კაპიტალის ორ მხარეს ასახავს. სასესხო კაპიტალის მიწოდება წარმოებს ეროვნული დანაზოგებიდან, ხოლო მასზე მოთხოვნა კი მოდის ეროვნული ინვესტიციებიდან და წმინდა უცხოური ინვესტიციებიდან.

როგორც წესი, კაპიტალური აქტივების შეძენა სასესხო კაპიტალზე მოთხოვნას ზრდის, მიუხედავად იმისა, სამამულო ეს აქტივი თუ უცხოური. საყურადღებოა, რომ სასესხო კაპიტალის მიწოდების მოცულობა და სასესხო კაპიტალზე მოთხოვნის ოდენობა სარგებლის რეალურ განაკვეთზეა დამოკიდებული. მაღალი განაკვეთი ადამიანებს დაზოგვისაკენ უბიძებს, რაც, თავის მხრივ, სასესხო კაპიტალის მიწოდებას ზრდის, ამასთან, ამცირებს ინვესტიციებსა და სასესხო კაპიტალზე მოთხოვნის შემცირებას.

ეკონომიკის გლობალიზაციის შეუქცევადი პროცესი საერთაშორისო ეკონომიკის მნიშვნელობას პერმანენტულად ზრდის. დღეს მსოფლიოში არ მოიძებნება ქვეყანა, რომელიც არ ყიდულობს უცხოეთში წარმოებულ საქონელს (მომსახურებას) და არ აწარმოებდეს საქონელს საზღვარგარეთ გასაყიდად. ფინანსური ინსტიტუტების მეშვეობით, ყველა ქვეყანა, მათ შორის აშშ, მსოფლიოს ფინანსურ ბაზრებზე ფულის სესხება-გასესხებას აწარმოებენ. ამიტომ ნებისმიერი ქვეყნის სხვა ქვეყნებთან ეკონომიკურ ურთიერთობათა შესწავლა-ანალიზით შეგვიძლია დავასკვნათ, თუ როგორ ურთიერთობოქმედებს ამა თუ იმ ქვეყნის ეკონომიკა სხვა ქვეყნების ეკონომიკასთან.

თანამედროვე ეპოქაში ეკონომიკის გლობალიზაციის პრობლემებს მეცნიერ ეკონომისტების მიერ სხვადასხვა შეფასება ეძლევა. ეროვნული ეკონომიკის წინსვლით დაინტერესებული მკვლევარები გლობალურ ეკონომიკას ადანაშაულებენ რეალური ეკონომიკის დანაზოგების დაბალ დონეში, რომელიც, თავის მხრივ, უარყოფითად მოქმედებს შრომის მწარმოებლურობასა და მოსახლეობის ცხოვრების დონის ზრდაზე. ადსანიშნავია, რომ განვითარებული ქვეყნების ეკონომიკასთან

ნების ეკონომისტები გლობალურ ეკონომიკას, მიიჩნევენ წინსვლისა და ეკონომიკური ზრდის აუცილებელ წინაპირობად.

დღეს, საქართველოს ეკონომიკაში განხორციელებული ღონისძიებების შედეგად გარკვეული წარმატებებია მიღწეული, რაც ფინანსური სტაბილიზაციის უზრუნველყოფის გარანტიას წარმოადგენს. ფინანსური სტაბილიზაციის მოწინააღმდეგები „ასაბუთებენ,“ რომ ინფლაციის დონის მინიმიზაცია ჯერ კიდევ არ ნიშნავს ქვეყნის ეკონომიკის აღმავლობას, სოციალური სფეროს მოწესრიგებას და სხვა.

ეკონომიკური თეორიიდან და იმ ქვეყნების რეალური გამოცდილებიდან, რომლებმაც წარმატებით გადაწყვიტეს ფინანსური სტაბილიზაციის ამოცანები, ცნობილია, რომ ნამდვილი ფინანსური სტაბილიზაცია მიღწევა არა რომელიმე ერთი, თუნდაც მნიშვნელოვანი ინდიკატორით, არამედ სხვადასხვა სასიათის მატარებელი, ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული და ურთიერთოქმედი ინდიკატორების ერთობლიობით.

იმ აუცილებელი ინდიკატორებიდან, რომლებიც ობიექტურად ასახავს ფინანსური სტაბილიზაციის ხარისხს და კომპლექსურობას, აღსანიშნავია: ინფლაციის დონე, სახელმწიფო ბიუჯეტის დაბალანსება, ეკონომიკის ყველა სექტორის ფინანსური მდგრმარეობა, ეროვნული ვალუტის სიმტკიცე, სახელმწიფოს საგარეო და საშინაო ვალის მოცულობა, ანგარიშსწორების და გადასახდელების მდგრმარეობა, ფულადი მასის სტრუქტურა და ხარისხი, ფულადი და მატერიალურ-ღირებულებითი ეკონომიკური ბრუნვების შესაბამისობა, საგადასახადო სისტემის რაციონალურობა და ეფექტიანობა და ა.შ.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკური განვითარება წარმოუდგენელია გლობალური ფინანსური ბაზრის გარეშე. იმისათვის, რომ მეწარმეები ვალუტათა კურსის მოულოდნელი და მკვეთრი რყევებისაგან იქნენ დაცული და აღვილად შეეგუონ მოულოდნელ ფინანსურ შოკებს, იქნება ეს ხელისუფლების ინფლაციური პოლიტიკა, თუ საგარეო ვალის პრობლემები, ნებისმიერი ქვეყნის მთავრობა იძულებულია გლობალურ ჭრილში განახორციელოს მეცნიერულად მოფიქრებული ფინანსური სტრატეგია.

ამრიგად, ეკონომიკის და მისი დერძის- ფინანსურ ურთიერთობათა მზარდი გლობალიზაცია, მსოფლიოს თანამედროვე ეკონომიკური და სოციალური განვითარების დონე ახალ ამოცანებს წარმოშობს კაცობრიობას და თითოეულ სახელმწიფოს. ასეთ სიტუაციაში თუ ქვეყანას არ ექნება მწყობრი სტრატეგია და პერსპექტივების ხედვის უნარი, მოსალოდნელია მრავალნაირი გამოუსწორებელი შედეგები. ერთადერთი, ვისაც შეუძლია ნათლად განჭვრიტოს ხვალინდელი დღე, ჩამოაყალიბოს მიზნების იქრარქია და მათი განხორციელების თანმიმდევრობა, არის სახელმწიფო ხელისუფლება. გასათვალისწინებელია, რომ ამ ამოცანების გადაწყვეტა მოითხოვს სახელმწიფოს როლის ამაღლებას ეკონომიკური და განსაკუთრებით ფინანსური პროცესების რეგულირებაში იმის მიხედვით, რომ სახელმწიფოებრივი რეგულირება წინააღმდეგობაში არ აღმოჩნდეს საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირების ძირითად პრინციპებთან.

დეზემონა მაღლაპლიმე

ე.ა.დ., ქუთაისის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

მაგლინა ყიზიანი

დოქტორანტი, ქუთაისის უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი

ნათელა გაშაპიძე

ე.ა.დ., აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი

საჭარმოს ფინანსური მდგრადობის შეფასების მაჩვენებლების ანალიზი

ბიზნესის სფეროში არსებული უმკაცრესი კონკურენციის პირობები საწარმოთა უმრავლესობას აიძულებს შეინარჩუნონ და წინ წასწიონ თავიანთი მიღწევები პროდუქციის ბაზარზე, რისთვისაც აუცილებელია ფინანსური სტაბილურობა. სწორედ საწარმოთა წარმატებებისა და სტაბილურობის საფუძველია კონკურენტუნარიანი საქონლის წარმოების გადიდება, რაც შეუძლებელია მიღწეული იქნას ფინანსური მდგრადობის გარეშე.

ფინანსური მდგრადობა საწარმოთა ფინანსების ისეთი მდგომარეობაა, რომელიც გარანტირებულად უზრუნველყოფს მათ გადახდისუნარიანობას. ასეთ შემთხვევაში ფირმა (საწარმო) საკუთარი შემოსავლების ხარჯზე ფარავს დაბანდებებს აქტივებში და დაწესებულ ვადებში კრედიტორულ ვალდებულებებს. აღნიშნულიდან გამომდინარე საწარმოს (ფირმის) ფინანსური მდგრმარეობის გაანალიზება აუცილებელია, რომლის ერთ-ერთი მთავარი საკითხია ფინანსური მდგრადობის შეფასება, ამისთვის საჭიროა შემდეგი ეტაპების გავლა:

ა) ფინანსური მდგრადობის აბსოლუტური და შეფარდებითი მაჩვენებლების გაანგარიშება და ანალიზი;

ბ) ფაქტორების გამოვლენა და მათი რაოდენობრივი და ხარისხობრივი გავლენის განსაზღვრა;

გ) მმართველობითი გადაწყვეტილების მიღება ფინანსური მდგრადობის ამაღლების მიზნით.

ფინანსური მდგრადობა ეყრდნობა აქტივების ცალკეულ სახეებსა და მათი დაფინანსების წყაროებს შორის ოპტიმალურ თანაფარდობას, რომლისთვისაც აუცილებელია ფინანსური მდგრადობის შეფასების მაჩვენებელთა ანალიზი.

საწარმოს ფინანსური მდგრადობის ანალიზისათვის გამოიყენება შემდეგ მაჩვენებელთა კოეფიციენტები:

- საკუთარი კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტი;
- მოზიდული კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტი;
- საკუთარი და მოზიდული კაპიტალის თანაფარდობის კოეფიციენტი;
- საკუთარი კაპიტალის მანევრირების კოეფიციენტი.

საკუთარი კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტი ახასიათებს საკუთარი კაპიტალის

ფინანსური მდგრადობის შეფასების ანალიზი

ხვედრით წონას მთლიან აქტივებში, ე.ო. განსაზღვრავს იმ ქონების სიდიდეს, რომელიც შეძნილია საკუთარი კაპიტალით.

საკუთარი კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტი სხვა არაფერია თუ არა საკუთარი კაპიტალის შეფარდება ბალანსის აქტივების ჯამთან.

მოზიდული კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტი გვიჩვენებს ნასესხები კაპიტალის ხვედრით წონას მთლიანად აქტივებში და განსაზღვრავს რა ოდენობის ვალდებულებებია მოზიდული ყოველი ერთი ლარის ქონების შეძნისათვის.

მოზიდული კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტი ტოლია ვალდებულებები გაფორმილი ბალანსის აქტივების ჯამთან.

საკუთარი და მოზიდული კაპიტალის თანაფარდობის კოეფიციენტი გვიჩვენებს ბალანსის საერთო ვალუტაში საკუთარი კაპიტალის ხვედრით წონას და როდესაც საკუთარი კაპიტალის ხვედრითი წონა უფრო მაღალია, ვიდრე ნასესხები კაპიტალისა, ეს ნიშნავს საწარმოს ფინანსურ მდგრადობას, სწორედ ამიტომ აღნიშნული კოეფიციენტი ფინანსური მდგრადობის ზოგადი დახასიათებისათვის გამოიყენება. იგი გაიანგარიშება საკუთარი კაპიტალის გაყოფით მოზიდულ კაპიტალზე. ფინანსური მდგრადობის დახასიათებისათვის ანალიზის პროცესში უნდა შევისწავლოთ საკუთარი და ნასესხები კაპიტალის დინამიკა და სტრუქტურა, რათა გაირკვეს მათი შემადგენელი ნაწილების ცვლილებების გამომწვევი მიზეზები და შეფასდეს დაფინანსების წყაროების რაციონალურობა საანგარიშგებო პერიოდში. კაპიტალის სტრუქტურის მაჩვენებლები ასახავს კრედიტორებისაგან საწარმოს ფინანსური დამოუკიდებლობის ხარისხს. ხაზგასასმელია, რომ აღნიშნული მაჩვენებელი საწარმოს ფინანსური მდგრადობის მნიშვნელოვანი მახასიათებელია. კაპიტალის სტრუქტურის შეფასებისათვის შემდეგი თანაფარდობები გამოიყენება:

საერთო ფინანსური დამოკიდებულების კოეფიციენტი, რომელიც საწარმოს (ფირმის) გარედან მიღებულ სესხებზე დამოკიდებულების მახასიათებელია. დაბალი კოეფიციენტი იმაზე მიგვანიშნებს, რომ საწარმოს დიდი ოდენობის სესხი აქვს აღებული, რაც მაღალი გადახდისუნარიანობის რისკის მატარებელია. იგი მიუთითებს აგრეთვე ფულადი სახსრების დეფიციტის წარმოშობის პოტენციურ საშიშროებაზე.

საბანკო დაგალიანების კოეფიციენტი, გვიჩვენებს ბანკისადმი ვალის თანაფარდობას საწარმოთა აქციონერების სახსრებთან. აღნიშნული კოეფიციენტი გამოიყენება საწარმოს ფინანსური სიცოცხლისუნარიანობის დასადგენად. აქედან გამომდინარე, საბანკო დავალიანების კოეფიციენტი სესხის გამცემი ბანკისათვის სათანადო დონეზე უნდა იქნეს შენარჩუნებული.

გრძელვადიანი დავალიანების კოეფიციენტი, რომელიც ახდენს დემოსტრირებას თუ საწარმოს აქტივების რა ნაწილი იფარება გრძელვადიანი სესხების ხარჯზე. ამიტომ, აღნიშნული კოეფიციენტი საშუალებას იძლევა დაზუსტდეს, როგორია გრძელვადიანი სესხების შედარებითი მნიშვნელობა კაპიტალის სტრუქტურაში. მას შეუძლია დამატებითი ინფორმაცია მოგვცეს საწარმოს საერთო ფინანსური დამოკიდებულების მისაღები მდგომარეობის შესაფასებლად. მაგალითად, როდესაც საწარმოს საერთო ფინანსური დამოკიდებულების კოეფიციენტი ძალიან დაბალია, მაშინ გრძელვადიანი დავალიანების კოეფიციენტმა შეიძლება მიგვანიშნოს, რომ გრძელვადიანი ვალდებულებების წილი მეტად

მნიშვნელოვანია და ამიტომ მას უფრო მსხვილი გადავადებული გადასახადების მოგერიება შეუძლია.

საკუთარი კაპიტალის მანევრირების კოეფიციენტი ახასიათებს მიმდინარე საქმიანობის დასაფინანსებლად გამოყენებული საკუთარი საბრუნავი კაპიტალის ხვედრით წონას საკუთარ კაპიტალში, ანუ საკუთარი კაპიტალის იმ წილს, რომელიც დაბანდებულია საბრუნავ საშუალებებში, ხოლო დანარენი კი-კაპიტალიზებულია. იგი გაიანგარიშება საკუთარი საბრუნავი კაპიტალის შეფარდებით საკუთარ კაპიტალთან.

აღნიშნული ფინანსური მდგრადობის ზოგიერი მახსიათებელი მაჩვენებლების შესასწავლად შერჩეული „X“ საწარმოს მონაცემები, რომლის საფუძველზე ჩატარებული ზოგადი ანალიზის შედეგები წარმოდგენილია ქვემოთ მოტანილი ცხრილის სახით.

ცხრილი 1

„X“ საწარმოს ფინანსური მდგრადობის ზოგადი შეფასება

კოეფიციენტი	მნიშვნელობა	
	საწყისი პერიოდის-ათვის	პერიოდის ბოლოსათვის
დამოუკიდებლობის	0,55	0,53
ნახესხები და საკუთარი სახსრების თანაფარდობა	0,56	0,58
მანევრირების	0,45	0,41

მოტანილი მონაცემებიდან ჩანს, რომ ფინანსური კოეფიციენტების ანალიზი საწარმოს ფინანსური მდგრადობის საერთო გაუარესების შესახებ დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას იძლევა. კერძოდ, დამოუკიდებლობის კოეფიციენტის მნიშვნელობის 0,55-დან 0,53-მდე შემცირება საწარმოს ფინანსური დამოუკიდებლობის ზოგიერთი შემცირების, მომავალში ფინანსური სიძნელეების რისკის ამაღლების დასტურია. ასეთ შემთხვევაში საწარმოს მიერ კრედიტორების ვალდებულებების დაფარვის გარანტიები მცირდება. ნახესხები და საკუთარი სახსრების კოეფიციენტის მნიშვნელობის 0,56-დან 0,58-მდე გადიდება საკუთარი სახსრების საკმარისობის შენარჩუნებისა და თავისი ვალდებულებების გადაფარვის დასტურია. მანევრირების კოეფიციენტის მნიშვნელობა შემცირდა, რაც საწარმოს თავისი ვალდებულებების გადაფარვის საკუთარი სახსრების სიდიდის შემცირებას ნიშნავს და ამ სახსრების მანევრირების შესაძლებლობების შემცირებას მოწმობს.

ფინანსური მდგრადობის შეფასებისათვის გამოიყენება ფინანსური მდგრადობის შემდეგი ტიპები:

1. აბსოლუტური მდგრადობა – რაც ნიშნავს მარაგისა და ხარჯების სიდიდის ნაკლებობას საკუთარი საბრუნავი კაპიტალისა და ბანკის კრედიტებით შეძენილ სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ღირებულების ჯამზე. ამ დროს მარაგისა და ხარჯების საშუალებათა წყაროებით უზრუნველყოფის კოეფიციენტი ერთზე მეტია.

2. ნორმალური მდგრადობა – საწარმოს ისეთი ფინანსური მდგომარეობაა, რომელიც გარანტირებულს ხდის გადახდისუნარიანობას.

3. არამდგრადი ფინანსური მდგომარეობა – ნიშნავს საგადასახდელო ბალანსის რღვევას, მაგრამ შესაძლებელია საგადასახადო საშუალებებსა და საგადასახადო ვალდებულებებს შორის წონასწორობის აღდგენა.

ფინანსური არამდგრადობა ითვლება დასაშვებად, თუ დაცულია შემდეგი პირობები:

ა) მზა პროდუქციის და საწარმოო მარაგების ჯამი ტოლი უნდა იყოს ან აღემატებოდეს მარაგების ფორმირებაში მონაწილე მოკლევადიან კრედიტებს - დამატებულ ნასესხებ საშუალებებს:

ბ) წინასწარ გაწეულ ხარჯებს დამატებული დაუმთავრებელი წარმოება საკუთარ საბრუნავ კაპიტალზე ნაკლებია ან ტოლი.

აღნიშნული პირობების შეუსრულებლობა მიგვანიშნებს ფინანსური მდგომარეობის გაუარესებას.

4. კრიზისული ფინანსური მდგომარეობა – არის ისეთი სიტუაცია, როდესაც საწარმო გაკოტრების პირასაა მისული და საგადასახდელო ბალანსში წონასწორობა უზრუნველყოფილია ვადაგასული გადასახადებით შრომის ანაზღაურებაზე, მომწოდებლებთან, ბიუჯეტთან ანგარიშსწორებაზე, ბანკის სესხებზე და სხვა.

საწარმოს ფინანსური მდგრადობის აღდასადგენად აუცილებელია კაპიტალის ბრუნვადობის დაჩქარება მიმდინარე აქტივებში, მარაგებისა და ხარჯების დასაბუთებული შემცირება, საკუთარი საბრუნავი კაპიტალის შევსება შიდა და გარე წყაროებით.

ფინანსური მდგრადობის ანალიზისას აუცილებელია არა მარტო მაჩვენებლების გაანგარიშება, არამედ მიღებული შედეგის აღქმის შესაძლებლობა. მომავალში შესასრულებელი საკითხების დასმა და განხორციელების გზების განსაზღვრა. “X” საწარმოს ფინანსური მდგრადობის მონაცემების შესწავლით ირკვევა, რომ ფინანსური მდგრადობის ტიპი ასეთია (იხ. ცხრილი 2).

ცხრილი 2

„X“ საწარმოს ფინანსური მდგრადობის ტიპი საწყისი და ბოლო პერიოდებისათვის:

მაჩვენებელი	მაჩვენებლის მნიშვნელობა ათ. ლარებში	
	დასაწყისისათვის	ბოლოსათვის
საკუთარი საბრუნავი საშუალებები	3000	2800
საკუთარი და გრძელვადიანი ნახესხები სახსრების მოცულობა	12000	11800
მარაგების წყაროების ფორმირების საერთო სიდიდე	14000	14800
საკუთარი საბრუნავი საშუალებების მეტობა ან ნაკლებობა	-6000	-2800
საბრუნავი საშუალებების მეტობა ან ნაკლებობა	3000	-2800
მარაგების ფორმირების საერთო სიდიდის მეტობა ან ნაკლებობა	5000	200
ფინანსური მდგრადობის ტიპი	ნორმალურად მდგრა- დი	არამდგრადი

მოტანილი მონაცემებიდან გამომდინარეობს, რომ საწარმოს ფინანსური მდგომარეობა განსახილველ პერიოდში გაუარესდა, კერძოდ ნორმალურად მდგრადიდან გადავიდა არამდგრადში. აღნიშნული მონაცემებით ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის საჭიროა 2800 ათ. ლარის მოცულობის გრძელვადიანი კრედიტის აღება.

ფინანსური ანალიზის შემდეგი ეტაპია ფაქტორთა ანალიზი.

საწარმოს ფინანსურ მდგრადობაზე გავლენას ახდენს მრავალი ფაქტორი: შინაგანი და გარეგანი, ძირითადი და მეორე ხარისხოვანი, მარტივი და ორული, მუდმივი და დროებითი. ანალიზის პროცესში ძირითადად კურადღებას უთმობენ შინაგან ფაქტორებს, რომელიც დამოკიდებულია საწარმოს საქმიანობაზე, მაგალითად, საწარმოში მომუშავე პერსონალის საქმიანობაზე, კორექტირება შეიტანონ მათ საქმიანობაში და მოახდინონ მათზე ზემოქმედება.

საყურადღებოა ისიც, რომ საწარმოს ფინანსურ მდგრადობაზე არანაკლებ მოქმედებს გარეგანი ფაქტორები. მათ შორის მნიშვნელოვანია საბაზრო დეტერმინანტები და ზოგადად, ბაზარზე შექმნილი სიტუაციები. ცხადია, საწარმოს ნაკლებად აქვს შესაძლებლობა აღნიშნულ ფაქტორებზე ზემოქმედებისა, თუმცა იგი ყოველთვის მზად უნდა იყოს ფორსმაჟორული სიტუაციებისთვის. ცალკე განსახილვის საგანია, რამდენად ახერხებს საწარმო მზადყოფნას აღნიშნული სიტუაციებისთვის, რამდენად არეგულირებს ფინანსური ნაკადების მოძრაობას და ინარჩუნებს სტაბილურ ფინანსურ მდგომარეობას. არის მთელი რიგი მნიშვნელოვანი გარე ფაქტორები, რომლებიც პირდაპირ გავლენას ახდენენ საწარმოს ფინანსურ შესაძლებლობაზე და მდგრადობაზე. ამ ფაქტორთა შორის ერთ-ერთი მთავარია სახელმწიფოს ბერკეტები, სახელმწიფოს პოლიტიკა, რომელსაც იგი საგადასახადო კანონით ახორციელებს. როცა ამ მხრივ ყველაფერი წესრიგშია, როცა სახელმწიფოს ინტერესებში შედის სწორედ ეროვნული მეურნეობის უპირატესი განვითარება და ეროვნული ეკონომიკის წინსვლა საკუთარი რესურსების (ნედლეული, სამუშაო ძალა, სამეწარმეო უნარი) ხარჯზე, მაშინ გაცილებით უკეთესი სიტუაციაა ნებისმიერ საწარმოში. სახელმწიფო პროტექტორის როლს უნდა ინარჩუნებდეს ნებისმიერ სიტუაციაში და მხოლოდ ასეთ დროს მოგვევლინება იგი საწარმოს ფინანსური მდგრადობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს გარე ფაქტორად.

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ხშირად, ადგილობრივი წარმოების პროდუქციას ჩაენაცვლება უცხოური, გაცილებით დაბალი ხარისხის, ნაკლებად საიმედო და სანდო (ხარისხობრივი თვალსაზრისით) პროდუქცია, მაგრამ იაფი. მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის გადახდის უუნარობის პირობებში მთავარ ამოსავალ წერტილად სწორედ სახელმწიფოს პროტექციონიზმი გვესახება. სწორედ სახელმწიფო პოლიტიკა არის უმთავრესი გარედან მოქმედი ფაქტორი, რომელიც ხელს უწყობს საწარმოთა ფინანსურ მდგრადობას. უფრო მეტიც, მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის დროს სახელმწიფო იდებს ვალდებულებას სერიოზული და მნიშვნელოვანი დახმარება გაუწიოს საწარმოებს, ფირმებს, კომპანიებს. უბრალო და მარტივი მიზეზის გამო – სახელმწიფოს ძლიერება დგას რენტაბელურ საწარმოთა მხრებზე. ცხადია, საუბარია ქვეყნისთვის სასიცოცხლო და მნიშვნელოვან სექტორებზე, დარგებსა და საწარმოებზე. სწორედ სახელმწიფო უნდა გამოვიდეს მშვედელის როლში და მნიშვნელოვანი ლონისძიებების გატარებით ეცადოს საწარმოთა ფინანსური მდგრადობის შენარჩუნებას.

საუბარია იმაზე, რომ რაც შეიძლება ნაკლებად დაზარალდეს ეროვნული ეკონომიკა კრიზისებისა და ექსტრემალური სიტუაციების პირობებში.

რა თქმა უნდა, აქ არ იგულისხმება საწარმოს მოლოდინი მარტო სახელმწიფოდან მიღებულ დახმარებაზე. სრულფასოვანი და მეცნიერულ დონეზე გაკეთებული ფინანსური ანალიზი საწარმოს აღვიდად დაანახებს სათანადო რესურსებს და რეზერვებს, მაგრამ გარედან მოქმედ ფაქტორთა შორის ყველაზე დირებული და საიმედო გარანტად მაინც სახელმწიფო უნდა მივიჩნიოთ.

ამრიგად, საწარმოს ფინანსური მდგრადობის ანალიზი საშუალებას იძლევა დავადგინოთ რამდენად დამოუკიდებულია საწარმო ფინანსური თვალსაზრისით და მდგრადია თუ არა მისი ფინანსური მდგომარეობა. გაკეთდეს პროგნოზი მომავლისათვის და შემუშავდეს დონისძიებები მომავალში საწარმოს ფინანსური მდგრადობის გაუმჯობესებისათვის.

ლელა ბაზთაძე

ე.ა.დ., საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

საბანკო სისტემის სტაბილურობის უზრუნველყოფის ზოგიერთი თეორიულ-მთოლელობიში საპირის

ჩვენი ქვეყნის პრინციპულად ახალ ეკონომიკურ ურთიერთობებზე გადასვლამ, რომელიც დაფუძნებულია საბაზო მეურნეობის პრინციპებზე, მოითხოვა ყველა სამეურნეო სუბიექტის საქმიანობაში ადეკვატური ცვლილებების განხორციელება. საქართველოში საბაზო ეკონომიკის ტრანსფორმაციის თითქმის ორ ათეულზე მეტი პერიოდი აღმოჩნდა საკმაოდ მტკიცნეული. ამ პროცესს თან ახლდა: წარმოების ზრდის ტემპების დაცემა სტრუქტურული დისპროპორციებითა და ინფლაციით, ბიუჯეტის დეფიციტი, ეროვნული ფულადი ერთეულის დევალვაცია, ქვეყნის შიდა და საგარეო ვალის ზრდა. კრიზისული მოვლენათა ტალღამ, რომელმაც ეკონომიკა მოიცვა, გამოიწვია ეკონომიკურ კალევებში ჩაღრმავების საჭიროება სტაბილურობის მირითად კანონზომიერებათა შემცნების მიზნით.

ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკაში ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი უჭირავს საბანკო სისტემას. ეკონომიკური ლიტერატურა საკმაოდ ძებნია „საბანკო სისტემის“ ცნების განსაზღვრის თვალსაზრისით. სახელმძღვანელოთა და მონოგრაფიათა უმრავლესობაში უპირატესობა ენიჭება ფინანსური შუამავლობის არსის, ეკონომიკაში ბანკების როლის, მათი ფუნქციების და ამოცანების, საბანკო სისტემის სტრუქტურის შესწავლას. იმ ავტორთა შორის, რომლებმაც საჭიროდ მიიჩნიეს მოცემული საკვანძო ცნების განსაზღვრა, შეიძლება გამოვყოთ ო. ი. ლავრუშინი. იგი მიიჩნევს, რომ საბანკო სისტემა თავისთვავად წარმოადგენს, ბანკების, საბანკო ინფრასტრუქტურის, საბანკო კანონმდებლობის და საბანკო ბაზრის ერთობლიობას, რომლებიც როგორც ერთმანეთთან, ისე გარემოსთან მჭიდრო ურთიერთებაშია¹.

გ. ა. ტოსუნიანი გვთავაზობს შევავსოთ ზემოთ მოყვანილი განსაზღვრება იმით, რომ ელემენტთა ჩამონათვალში ჩავრთოთ საკრედიტო კაგშირები და ასოციაციები, რამდენადაც ეს უგანასაკნელნი თავისთვავად წარმოადგენს ბანკების, საბანკო ინფრასტრუქტურის, საბანკო კანონმდებლობის და საბანკო ბაზრის ერთობლიობას, რომლებიც როგორც ერთმანეთთან, ისე გარემოსთან მჭიდრო ურთიერთებაშია².

საერთაშორისო პრაქტიკაში ყველაზე ფართოდ გავრცელებულია მოსაზრება იმის შესახებ, რომ საბანკო სისტემა არის საბანკო და არასაბანკო ფინანსური დაწესებულებების ერთობლიობა, რომლებიც ცალკეულ საბანკო ოპერაციებს ახორციელებს³. არსებობს სხვაგვარი თვალსაზრისი, მაგალითად, გერმანები ავტორები აღნიშნავენ, რომ საბანკო სისტემა შედგება საემისიო ბანკის, უნივერსალური და სპეციალიზებული ბანკებისგან⁴. ეკონომიკის ლექსიკონი საბანკო სისტემას განსაზღვრავს, როგორც კომერციული ბანკების და სხვა სპეციალიზე-

ფინანსების არატექნიკური დანართი

¹ Российская банковская энциклопедия, М., ЭТА, 1995, ст. 51.

² Тосунян Г.А. Государственное управление в области финансов и кредита в России, М., 1997, ст. 108.

³ Поллард А.М., Пассейк Ж.Н., Элліс К.Х. Дейли Ж.П., Банковское право США. Пер., с англ. / общ. ред. и послесл. Я.А. Куника/, М., Прогресс, 1992. ст.35.

⁴ Деньги, кредит, банки: Учебник / Под ред. О.И. Лаврушина, М., Финансы и статистика, 1999, ст. 285.

ბული ბანკების (საინვესტიციო, შემნახველი, საგაჭრო და სხვ.) ქსელს, რომლებიც მოსახლეობიდან, ფირმებიდან და სხვა დაწესებულებებიდან აწარმოებენ ანაბრებისა (დეპოზიტების) და დანაზოგების მობილიზებას, უზრუნველყოფების ფულის გადაგზავნას, სთავაზობენ სესხებსა და კრედიტებს, კორპორაციებისა და სახელმწიფოების ფულადი საშუალებების ინვესტირებას ახდენენ ფასიან ქაღალდებში.

ზემოთ მოცემული შეხედულების ანალიზი საშუალებას გვაძლევს გამოვყოთ საბანკო სისტემის შესახებ გამოთქმულ მოსაზრებათა საერთო და განმასხვავებელი ნიშნები. ჩვენი აზრით, მათ გამაერთიანებელ თავისებურებად მიჩნეულ უნდა იქნეს წარმოდგენა საბანკო სისტემაზე, როგორც ბანკების ერთობლიობაზე. ზოგიერთი განსაზღვრების სპეციფიკა მდგომარეობს საბანკო სისტემის განვრცობილ ახსნაში დამატებითი ელემენტების ჩართვის ხარჯზე, საბანკო სისტემაზე წარმოდგენა, როგორც ცენტრალური ბანკისა და საკრედიტო ორგანიზაციების ერთობლიობაზე, მსოფლიოში საყოველოთაოდ მიღებულია. საერთაშორისო პრაქტიკაში მიღებული საბანკო სისტემის განზოგადოებული ახსნა, რომელიც არასაბანკო ფინანსურ დაწესებულებებს მოიცავს, ჩვენი აზრით, ეკონომიკური სისტემის სიმწიფის დონით აისხება. დამატებითი ელემენტების ჩართვა, რომლებიც სისტემის ფუნქციონირებასთანად დაკავშირებული ან კომერციული ბანკების სპეციალიზაციის გამოყოფა კი, ზედმეტად მიგვაჩნია.

საბანკო სისტემის განსაზღვრის არსის შესახებ ჩვენი პოზიციის ფორმულირებისათვის უფრო დაწვრილებით ცნება „სისტემაზე“ შევჩერდებით. ამ მიზნით გამოვიკვლევთ სხვადასხვა თვალსაზრისს, რომელიც ლიტერატურაში არსებობს.

ეკონომიკური ენციკლოპედია ცნება „სისტემას“ განიხილავს, როგორც მრავალ ელემენტს, რომლებიც ერთმანეთთან კავშირსა და ურთიერთობებში იმყოფება, რაც განსაზღვრულ მთლიანობას, ერთიანობას ქმნის.

სისტემა არსებობს და ფუნქციონირებს განსაზღვრულ გარემოში. ნებისმიერი სისტემისთვის მათ შორის საბანკო სისტემისთვის, ამგვარ გარემოს წარმოადგენს სხვა სისტემები, რომლებთანაც იგი ურთიერთმოქმედებაში იმყოფება. სისტემათა „ნაკრები“, რომლებთანაც ურთიერთმოქმედებს კონკრეტული სისტემა, თავის მხრივ, დამოკიდებულია იმ ფუნქციებზე, რომლებსაც იგი საზოგადოებაში ასრულებს.

გარემოდ, რომელშიც საბანკო სისტემა ფუნქციონირებს, ჩვენი აზრით, შეიძლება ჩაითვალოს, უპირველს ყოვლისა, ეკონომიკური სისტემა, რადგან მისი შემადგენელი ელემენტები მჰიდროდ ურთიერთქმედებს ერთმანეთსზე.

საბანკო სისტემის, როგორც კალეგის ობიექტის შესწავლისას, მიზანებში მიღვაჩნია მხარი დავუჭიროთ შეხედულებათა პირველ ჯგუფს. ამ თვალსაზრისის დასაბუთებად შეიძლება ჩაითვალოს შემდეგი:

საბანკო სისტემა შეიძლება და საჭიროა განვიხილოთ განვითარების პროცესში. საბანკო სისტემის განვითარება განპირობებულია პროცესთა კომპლექსით, რომელიც მიმდინარეობს გარემოსა და თვალი საბანკო სისტემაში. აღნიშნული პროცესები მიმდინარეობს ობიექტურად, ვინაიდან ეფუძნება განვითარების ეკონომიკურ კანონებს; უფრო მეტიც, ისინი დამოუკიდებელია კონკრეტულ სუბიექტთა ნებისგან. ასეთი მიღგომა საშუალებას იძლევა სისტემა გამოვყოთ გარემოსგან და ჩავატაროთ მისი ანალიზი ინფორმაციის შესვლა-გამოსვლის საფუძველზე, მოვახდინოთ სტრუქტურის ანალიზი, შევაფასოთ ფუნქციონირების

მექანიზმი. მოცემული მიმართულებით კვლევა საშუალებას იძლევა შემუშავებულ იქნეს სისტემაზე ეკონომიკური ზემოქმედების მეთოდები და განისაზღვროს მისი სტაბილურობის პირობები.

საბანკო სისტემა უკვე დიდი ხანია ჩამოყალიბდა და ფუნქციონირებს, რის გამოც საბანკო სისტემის სტაბილურობა არსებული სისტემის სრულყოფას და არა ახლის ჩამოყალიბებას მოითხოვს. რა თქმა უნდა შეიძლება იმის მტკიცება, რომ სისტემა, კერძოდ კი, საბანკო სისტემა, შეიქმნა ადამიანთა კონკრეტული საქმიანობის პროცესში. თუმცა ბანკების და საბანკო სისტემების წარმოშობას აქვს დრო ეკონომიკური ფესვები და შესაბამისად, წარმოშობის ობიექტური წანამდგრები.

სისტემების შესწავლისას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მომენტი არის მათი კლასიფიკაცია. მოცემულ საკითხთან დაკავშირებით, რამდენიმე თვალსაზრისი არსებობს. შედარებით ცნობილთაგან გამოყოფენ სამს:

პირველი თვალსაზრისის თანახმად, ყველა სისტემა შეიძლება დაიყოს, ერთი მხრივ, მარტივ, რთულ და ძალზე რთულ, მეორე მხრივ, დეტერმინირებულ და სავარაუდო (ალბათურ) სისტემებად. დეტერმინებულად ითვლება სისტემა, რომელშიც მისი შემადგენელი ნაწილები ურთიერთმოქმედებს ზუსტად, წინასწარ განსჭვრებილი სახით. სავარაუდო სისტემისთვის კი დამახასიათებელია განუსაზღვრელობა, მისი ნებისმიერი

განსჭვრება სავარაუდო კატეგორიების ფარგლებს არ სცილდება.

მოყვანილი კლასიფიკაციის საფუძველზე საბანკო სისტემა შეიძლება მივაკუთვნოთ რთულ სისტემებს, რომელიც მოიცავს დეტერმინირებული და სავარაუდო ტიპის სისტემების ელემენტებს. საბანკო სისტემა, როგორც სხვადასხვა ელემენტის რთული ერთობლიობა, განისაზღვრება საკანონი საერთო-სამეურნეო ფუნქციებით, რომლებსაც იგი ასრულებს. საკრედიტო ორგანიზაციები, რომლებიც შიდა დანაზღების და ფულადი ნაკადების ეფექტიან მოძილიზებას ახდენენ, ზრდის ქვეყნის საინვესტიციო პოტენციალს და ეკონომიკური ზრდის შესაძლებლობებს. სისტემის სირთულე განისაზღვრება მის შემადგენელ ელემენტებს შორის მრავალმხრივი ურთიერთობების ჩამოყალიბებით, სხვა სისტემებზე მათი ზეგავლენით, მათ მიერ შემოთავაზებული ფინანსური პროდუქტების ექსკლუზიური ხასიათით, რომლითაც ახორციელებენ ოპერაციებს კომერციული ბანკები სხვადასხვა ბაზარზე. საბანკო სისტემა უმეტესწილად მოიცავს სავარაუდო ტიპის სისტემის თვისებებს. საბანკო სისტემის განუსჭვრებელობა განისაზღვრება, ჩვენი აზრით, მისი ელემენტების ფინანსური მდგრადობის ხარისხით; შესაძლებელი სტრუქტურული ცვლილებებით, მაგალითად, სპეციალიზებული საკრედიტო ორგანიზაციების შექმნის ან ზრდის ხარჯზე, როგორც საგარეო და საშინაო ფაქტორებზე ზემოქმედების საპასუხო რეაქცია; კომერციულ ბანკთა წრის გაფართოებით ან შევიწროებით მათი საწესდებო კაპიტალის ფორმირებაში სახელმწიფო მონაწილეობით; სისტემის ელემენტების ფინანსური მდგრადობით და მართვადობის ხარისხით, მათი სტრატეგიული არჩევანით და სხვ. საბანკო სისტემის საალბათო ხასიათი უარყოფითად აისახება მის სტაბილურობაზე.

ქცევის თავისებურებებიდან გამომდინარე, მათ ჰყოფენ აქტიურ და პასიურ სისტემებად. წარმოდგენილ შეხედულებებზე დაყრდნობით, ჩვენი აზრით, შეიძლება ვამტკიცოთ, რომ საბანკო სისტემა მიეკუთვნება აქტიურ, მიზანმიმართულ სისტემას. საბანკო სისტემის დახასიათება, როგორც აქტიური, მიზანმიმართული სისტემისა, განპირობებულია მისი სტრატეგიული მდგრადობით, მიზნებითა და ფუნქციებით, რომლებსაც იგი ასრულებს.

ჩვენი აზრით, საბანკო სისტემის განვითარების სტრატეგიულ მიზნებს წარმოადგენს:

- სისტემის ელემენტების მდგრადობის განმტკიცება, რომელიც საშუალებას იძლევა გამოვრიცხოთ ბანკების სისტემური კრიზისების წარმოშობის შესაძლებლობა;
- ინვესტორების, კრედიტორების და ბანკის მეანაბრეთა, განსაკუთრებით კი მოსახლეობის მხრიდან, ნდობის მოპოვება.

ცხადია, სისტემის სტაბილურობა დიდადაა დამოკიდებული მასში შემავალი ელემენტების ფინანსურ მდგომარეობაზე. ღონისძიებათა სისტემა, რომელიც მიმართულია კომერციული ბანკების მდგრადობის განსამტკიცებლად, ჩვენ აზრით, საშუალებას იძლევა არასასურველი ეკონომიკური კონიუნქტურის პირობებში საბანკო სისტემის სტაბილური განვითარების პირობების შესაქმნელად.

საბანკო სისტემას სტრატეგიული მდგომარეობა უჭირავს ეკონომიკაში, კერძოდ, ფულადი ნაკადების ორგანიზაციის საქმეში. ეს დაკავშირებულია მის მიერ შესასრულებელ ფუნქციებთან. ჩვენი აზრით, მათ შეიძლება მივაკუთვნოთ:

- მოსახლეობის, კომპანიებისა და ორგანიზაციების ფულადი საშუალებების აკუმულირება და გადანაწილება კრედიტების გასაცემად და ინვესტიციების დასაბანდებლად;
- ეკონომიკაში ფულზე მოთხოვნისა და მიწოდების რეგულირება;
- ეკონომიკაში გადასახლებების პარმონიზაცია.

ერთ-ერთ საკვანძო ფუნქციას წარმოადგენს მოსახლეობის და კორპორაციათა ფულადი რესურსების მობილიზაცია მათი გადანაწილების მიზნით ფინანსურ აქტივებსა ან ინვესტიციებში ეკონომიკური სუბიექტების მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. საბანკო სისტემის მიერ მოცემული ფუნქციის შესრულება პირობებს ქმნის ეკონომიკის დარგებს შორის კაპიტალის გადადინებისათვის, ასევე ფულადი ნაკადების ეროვნული მეურნეობის მოთხოვნილებების შესაბამისად მართვის, რაც დადებით ზემოქმედებას ახდენს საზოგადოებაში მიმდინარე ეკონომიკურ პროცესებზე.

იმავდროულად საბანკო სისტემის უნარი მოახდინოს თავისუფალი ფულადი საშუალებების აპუმულირება ბევრადაა განპირობებული როგორც სამეურნეო სუბიექტების ეკონომიკური მდგომარეობითა და ფინანსური მდგრადობით, ისე მოსახლეობის დანაზოგთა ფორმირების დონით. ფულადი საშუალებების გადანაწილება ბაზარზე მოთხოვნითა და მიწოდებით შესაბამისად უნდა წარმოედგეს.

საბანკო დეპოზიტებს ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი უჭირავს ფულის მოთხოვნის და მიწოდების რეგულირებაში. აქედან გამომდინარე, ჩვენი აზრით, საბანკო სისტემისთვის არანაკლებ მნიშვნელოვანია, ბაზარზე ფულის მოთხოვნის და მიწოდების რეგულირების ფუნქცია. მოცემული ფუნქცია მაკროეკონომიკურ დონეზე რეგულირების პირდაპირი და არაპირდაპირი მეოთხების დახმარებით მთლიანობაში მართავს ამ პროცესს.

საგადასახლელო სისტემის ორგანიზაციის და პარმონიზაციის ფუნქცია ქმნის პირობებს ეკონომიკურ სუბიექტებს შორის ანგარიშებისა და გადასახლებების ეფექტიანი ორგანიზაციისთვის.

ზემოთ ჩამოთვლილი ფუნქციები განსაზღვრავს საბანკო სისტემის სტრატეგიას. საბანკო სისტემის განვითარების სტრატეგიული მიზნები მოწმობს მისი განვითარების მიზანმიმართულ ხასიათს, ხოლო ფუნქციების შესრულების სისრულე კი გარემოზე ზემოქმედების უნარზე მიუთითებს.

ელგუჯა პოლიტიკის

ე.ა.დ., ქუთაისის უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

აუდიტორული სამიანობა და მისი სრულყოფის საპიროები

აუდიტორული საქმიანობა-კონტროლი საბაზო ეკონომიკის მნიშვნელოვანი ელე-
მენტია და მართვის დამოუკიდებელ ფუნქციად გვევლინება. კონტროლის მეშვეობით
ხორციელდება სამეურნეო სუბიექტის ორგანიზაციული და მეთოდური უზრუნველყოფა,
აგრეთვე მასთან დაკავშირებული მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღება.

ცნობილი აუდიტორულ მართვადი ეკონომიკის პირობებში კი მოთხოვნა დამოუკი-
დებელ აუდიტორულ კონტროლზე არ არსებობდა. კონტროლის ფუნქციას სახელმ-
წიფო ორგანოები ახორციელებდნენ. საბაზო ეკონომიკაზე გადასვილის შემდგომ
საქმაოდ შეიზღუდა სახელმწიფო ორგანოების ჩარევა სამეურნეო სუბიექტების საფი-
ნანსო-სამეურნეო საქმიანობაში, მაგრამ სახელმწიფოსა და მეწარმეთა ინტერესებიდან
გამომდინარე მოთხოვნა კონტროლზე დარჩა და თვისებრივად ახლებული ხასიათი.

აუდიტი წარმოადგენს სპეციალურ ცოდნათა სისტემას საბაზო ეკონომიკის
პირობებში ფუნქციონირებადი ეკონომიკური სუბიექტების სამეურნეო პროცესებისა
და ფინანსური ოპერაციების კანონიერების (მართებულობის) და ეკონომიკური მი-
ზანშეწონილობის შესწავლის პრინციპების შესახებ; ეს კი მიიღწევა სააღრიცხვო,
საანგარიშგებო და სხვა ეკონომიკური ინფორმაციის, აგრეთვე კონტროლის ობიექტე-
ბის ფაქტობრივი მდგომარეობის გამოკვლევის საფუძველზე, რაც განაპირობებს აუდიტორული
საქმიანობის, ფორმებისა და რეგულირების აქტუალურობას. აუდიტორული საქმიანობის მისი
ფორმირებისა და რეგულირების საკითხები საზღვარგარეთის ქვეყნები აკადემიური წრეების
განსაკუთრებული ყურადღების ცენტრშია, რასაც ნათლად ადასტურებს აღნიშნული საკითხ-
ისადმი მიძღვნილი მრავალი სამეცნიერო სტატია თუ მონოგრაფიული გამოკვლევა, რომელთა-
გან უპირველეს ყოვლისა, ადსანიშნავია ცნობილი მეცნიერ- ეკონომისტების თუ პრაქტიკოსი
აუდიტორების - რ. ადამსის, ვ. ანდრეევის, რ. მონგგომერის, ა. ჰ. მილიჩემპის, ლ. სოტნიკოვის,
აშერემეტის, ა.ნ. რომანოვის, ვ. სუიცის და სხვათა ნაშრომები.

საბაზო ურთიერთობათა პირობებში აუდიტორული მომსახურება და აუდიტორული
დასკვნა სამეწარმეო და კომერციული საქმიანობით დაკავებული სამეურნეო სუბიექტების-
ათვის რენტგენულ-გამომკვლევი აპარატურაა, რომელის მეშვეობითაც შესაძლებელი ხდება
სამეურნეო ორგანიზმის (ადამიანის) ჯანმრთელობისა და სიცოცხლისუნარიანობის დადგენა.
აქედან გამომდინარე, დიდია აუდიტორული საქმიანობისა და აუდიტის განმახორციელებელი
სუბიექტების პასუხისმგებლობა, რომორც სახელმწიფოს, ასევე აუდიტორული მომსახურებით
მოსარგებლე სამეურნეო სუბიექტების წინაშე.

საქართველოში მიმდინარე ეკონომიკური რეფორმები გარკვეულ დონეზე აუდიტორულ
საქმიანობასაც შეეხება, რომლის კვალიფიციური და ხარისხიანი აუდიტორული მომსახურება

ეოგელი სამეურნეო სუბიექტისათვის სამეწარმეო-კომერციული საქმიანობის აუცილებელი სავალდებულო ნორმა ხდება სულ უფრო. ამდენად, ქვეყანაში აუდიტის განვითარების მტკიცე საკანონმდებლო ბაზის შექმნა და სრულყოფა ცხოვრების მოთხოვნათა შესაბამისად, სახელისუფლებო ორგანოებისა და ეკონომიკური მეცნიერების მუდმივი ზრუნვის საგანს უნდა წრმოადგენდეს.

ამჟამად, საქართველოში აუდიტორული საქმიანობის ძირითადი საკანონმდებლო ბაზას წარმოადგენს 1995 წლის 7 თებერვალს (№623-IIს) მიღებული საქართველოს კანონი „აუდიტორული საქმიანობის შესახებ“. აღნიშნულ კანონში გადმოცემულია აუდიტორული საქმიანობის ზოგადი პრინციპები (დებულებები), მისი სახელმწიფო რეგულირება და თვითმმართველობა, აუდიტორული საქმიანობის წარმართვის წესები და პირობები, ამ საქმიანობაში მონაწილეობა უფლებები და მოვალეობა-ვალდებულებები.

კანონი განსაზღვრავს საქართველოში აუდიტორული საქმიანობის განხორციელების სამართლებრივ საფუძვლებს და აწერიგებს აუდიტორულ საქმიანობასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს. ”აუდიტორული საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონი გამოიყენება ყველა იმ სამეურნეო სუბიექტის საქმიანობის აუდიტორული შემოწმებისას, რომელიც შექმნილია საქართველოს კანონმდებლობის სესაბამისად.

აუდიტორული საქმიანობა, როგორც არასახელმწიფებრივი კონტროლის ფორმა, უნდა მოიცავდეს სამეურნეო სუბიექტების აუდიტორული მომსახურებას და მისი განხორციელების ორგანიზაციული – მეთოდოლოგიურ უზრუნველყოფას, ხოლო აუდიტორული მომსახურება, თავის მხრივ, უნდა გულისხმობდეს აუდიტორულ შემოწმებას და სხვა სახის მომსახურებას.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში აუდიტორული საქმიანობა ხორციელდება სახელშეკრულებო საფუძველზე, რომელიც განსაზღვრავს ხელშეკრულების მონაწილე მხარეების უფლება-მოვალეობათა და ვალდებულებათა იურიდიულ სამართლებრივ ასპექტებს. აუდიტორულ საქმიანობაში გამოყენებული ხელშეკრულებები, ისევე როგორც საქმიანობის სხვა სფეროებში მოქმედი ხელშეკრულებები, მისი მონაწილე მხარეების ურთიერთ შეთანხმებული ინტერესების გამომხატველი ოფიციალური, იურიდიული დოკუმენტია, რომელიც განსაზღვრავს” კლიენტი-აუდიტორი”-ს („შემკვეთი-შემსრულებელი”-ს) სამართალურთიერთობათა შინაარსს და წარმოადგენს მათ შორის მომსახურება-გადახდითი ურთიერთობის რეგულირების ძირითად საშუალებას.

მხარეთა შორის ხელშეკრულების დადებისას საჭიროა რაც შეიძლება მაქსიმალური სიზუსტით განისაზღვროს მის რეალიზაციასთან დაკავშირებული საკითხები, დადგინდეს ხელშეკრულების გაფორმებისა და შესრულების ყველაზე მნიშვნელოვანი მომენტები, გათვალისწინებულ იქნეს შესაძლო რისკის ფაქტორი. ამიტომ სასურველია და საჭიროა ხელშეკრულების პირობების განსაზღვრაში მონაწილეობდნენ შესაბამისი პროფილის სპეციალისტები, ხოლო ხელშეკრულებას ნახულობდეს და ვიზას აძლევდეს საწარმოს ფირმის იურისტი.

აუდიტორულ საქმიანობაში რისკის ფაქტორის მინიმუმადე დაყვანის მიზნით დიდი სიფრთხილე და დაკვირვებაა საჭირო კლიენტების შერჩევაში, განსაკუთრებით კი მაშინ, როცა აუდიტორული მომსახურების გაწევაზე ხელშეკრულების დადების წინადადება შემოდის აუდიტორული ფირმისთვის უცნობი ორგანიზაციებიდან. ასეთ შემთხვევაში საჭიროა წინადადებების შემომტანი მომსახურების შესახებ რაც შეიძლება მეტი ინფორმაციის მოპოვება.

მხარეთა მიერ შეთანხმებული პირობები ხელშეკრულებაში ჩამოყალიბებული უნდა იყოს არაორაზროვნად, მკაფიოდ და გამოკვეთილად, ყოველგვარი ფრაზეოლოგიური უზუსტობის

გარეშე, რათა ხელშეკრულების მონაწილე მხარეებს, ურთიერთდავის შემთხვევაში არ გაუჩნდეთ იმის მცდელობის სურვილი, რომ ხელშეკრულების პირობებს მისცენ მათვის სასარგებლო ინტერპრეტაცია.

აუდიტორულ პრაქტიკაში გამოყენებულია ხელშეკრულების სამი სტანდარტული ფორმა:

1. საწარმოს საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების მდგომარეობის ექსპერტიზის ჩატარების ხელშეკრულება;

2. საწარმოს საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის შემოწმების ჩატარების ხელშეკრულება;

3. სააბონენტო მომსახურების ფორმით აუდიტორული მომსახურების ხელშეკრულება.

აუდიტის მეთოდს საფუძვლად უდევს მოვლენათა კორელაციური ურთიერთ განკირობებულობა რაოდენობრივობიდან თვისობრიობაში გადასვლის გზით. აუდიტორულ საქმიანობაში ფართოდ გამოიყენება აგრეთვე შემცნების თეორიის კატეგორიები და პრინციპები, კერძოდ კი: დაკვირვება; შედარება, ანალიზი და სინთეზი, დედუქცია და ინდუქცია. ამრიგად აუდიტის მეთოდი შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც სპეციფიკური პრინციპების, ხერხებისა და საშუალებების ორგანულად დაგავშირებული გამოკვლევების ერთობლიობა, რომლებიც სააღრიცხვო ანგარიშგებით და სხვა ეკონომიკური ინფორმაციის, აგრეთვე კონტროლის ობიექტის ფაქტიური მდგომარეობის გამოკვლევის მონაცემების საფუძველზე უზრუნველყოფენ სამეურნეო და ფინანსური ოპერაციების კანონიერების, უტყუარობის, მიზანშეწონილობის და ეკონომიკური ეფექტიანობის შესწავლას.

აუდიტორულ გამოკვლევათა მეთოდებისა და ხერხების კომპლექსური სისტემის შემუშავება ეფუძნება მეცნიერების მოწინავე მიღწევებს, რომელთა მეშვეობით შესაძლებელი ხდება ეკონომიკური სუბიექტების სამეურნეო-ფინანსური საქმიანობის და შედეგების შესახებ მონაცემთა დაჯგუფება განსაზღვრული დროისა და სივრცის მიხედვით, მათი რაოდენობრივ-თვისობრივი ცვლილებების დადგენა და ამ მაჩვენებელთა რეგულირებისა და უტყუარობის ხარისხის განსაზღვრა.

აუდიტორული საქმიანობის შედეგები თავის განსაზღვრას და ასახვას პოულობს სტანდარტებში, რომლებიც ასახავენ მოქმედების ნორმატივებსა და ნორმებს.

ეროვნული აუდიტორული სტანდარტების დამუშავების დროს უნდა გავითვალისწინოთ საქართველოს ეკონომიკის თავისებურებანი, რაც არ შეიძლება ტრაფარეტურად გადმოვიტანოთ, მოწინავე საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებიდან. ეროვნული სტანდარტების თავისებურებაზე გავლენა უნდა მოახდინოს საქართველოს კანონმდებლობამ და სავალდებულო სახელმწიფოებრივი ხასიათის ნორმატიულმა დოკუმენტებმა.

აუდიტორულმა ფირმებმა და კორპორაციულმა გაერთიანებებმა თანდათანობით (ეტაპობრივად) უნდა დაიწყონ გადასვლა (მუშაობა) სტანდარტების მოთხოვნათა შესაბამისად. სწორედ ასეთი გზით იქნება შესაძლებელი ქართული აუდიტი რამდენადმე მიუახლოვდეს საერთაშორისო აუდიტის პარამეტრებს. ეს მოხდება მაშინ, როცა ქვეყნის ეკონომიკის დონე ადგილობრივი წარმოების განვითარებით მიუახლოვდება საერთაშორისო ეკონომიკის მოთხოვნებს.

საქართველოში სრულყოფილი აუდიტის ჩამოყალიბებასთან ერთად აუდიტის სახელმწიფოებრივი რეგულირების როლი თავისთავად შემცირდება, აუდიტორთა საზოგადოებრივი გაერთიანების მხრიდან საზოგადოებრივი რეგულირების როლის შესაბამისი გაძლიერების ხარჯზე.

თიხათინ გუბებაშვილი

ე.ა.დ., აკაკი წერეთლის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ნანა ბერიძე

ე.ა.დ., აკაკი წერეთლის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

საბროგერო პომპანის ფუნქციები და ეპონომიკური საქმიანობა

ფინანსურის დამსახურების სამსახური

წარმოქმნის მომენტიდან ბირჟა წარმოადგენდა შუამავალ ბაზარს, ანუ ბაზარს, რომელზეც გარიგების დადების უფლება აქვს მხოლოდ განსაზღვრული წრის წარმომადგენლებს – სხვადასხვა სპეციალიზაციის ბროკერებს. ბროკერები არიან შემაქრობელი რგოლი ბირჟისა და გარიგების სხვა წარმომადგენლებს შორის. კომპიუტერული ტექნოლოგიების დანერგვისა და ელექტრონული ბირჟების შექმნის მიუხედავად ამ მონაწილეების არსებობა აუცილებელია, რადგან თუ რომელიმე ბირჟაზე შესაძლებელია ბრძანებების პირდაპირი მიცემა უშუალოდ კლიენტის მიერ სავაჭრო სისტემაში შესრულებისათვის, მაშინ გარიგების დანარჩენი ეტაპები-კლიენტინგი და ანგარიში ძველებურად მოითხოვს ბაზრის პროფესიული მონაწილეების უშუალო ჩარევას.

კლიენტები დებენ ხელშეკრულებას მომსახურების შესახებ რომელიმე საბროკერო ფირმასთან, რომელსაც მომსახურების საკომისიოს უხდიან გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით. საკომისიოს ნაწილი გადაირიცხება ბირჟის ანგარიშზე, როგორც ბირჟის შემოსავლის ერთ-ერთი წყარო.

ფიუჩერსულ ვაჭრობაში დაკავებული შუამავლების უშუალო ამოცანას წარმოადგენს კლიენტებისათვის სხვადასხვა სახის მომსახურების გაწევა, რაც შემდეგში მდგომარეობს;

- საბირჟო ოპერაციების ბრძანებების მიღება, გადაცემა და შესრულება;
- დეპოზიტისა და მარჟის გაცემა საანგარიშორებო პალატაში;
- ანგარიშებისა და ანგარიშგების წარმოება;
- ინფორმაცია ბაზრის მდგომარეობის შესახებ;
- კონსულტაცია კლიენტებისათვის.

საბირჟო ვაჭრების მონაწილეებს შორის, უპირველეს ყოვლისა, გამოიყოფა “ფიუჩერსული საკომისიო ვაჭრები”. ისინი უფლებამოსილი არიან ყველა სახის მომსახურება გაუწიონ კლიენტებს. მაგალითად, აშშ-ში 1980-იანი წლების ბოლოს ეს საშუამავლო დარგი წარმოადგენდა 400 შუამავლისაგან შემდგარ ქსელს, რომელთაც ჰყავდათ 50 ათასი სავაჭრო წარმომადგენელი მთელ მსოფლიოში. დღეისათვის საბროკერო კომპანიების რიცხვი ამერიკულ ბაზარზე შემცირდა 498-დან 240-მდე, როგორც მთელს მსოფლიოში ისე საქართველოში, რაც დაკავშირებულია გლობალურ ეკონომიკურ კრიზისთან. ჩვენს ქვეყანაში აღნიშნულის სხვა

მიზეზებიც არსებობს, რის გამოც სავალალო მდგომარეობაშია საბროკერო კომპანიებისა და თვით საქართველოს საფონდო ბირჟის ფუნქციონირების საკითხიც.

ფიუჩერსული საკომისიო ვაჭრები ფიზიკურ პირებს შემდეგი სახის მომსახურებას უწევენ:

- კლიენტების სახსრების უსაფრთხო შენახვა;
- ინფორმირება ბაზრის მიმდინარე მდგომარეობის შესახებ;
- ბრძანებების მიღება და ინფორმირება საკომისიოს შესახებ;
- ანგარიშის შედეგის საგაჭრო საქმიანობაზე /შემოსავალი, ხარჯები და მოგება/;
- ბაზრის ანალიზის შესახებ ანგარიშის გამოქვეყნება.

ფიუჩერსული საკომისიო ვაჭრები, რომელთა უმეტეს ნაწილს აქვს წევრობის პრივილეგიები ერთ ან მეტ ფიუჩერსულ ბირჟაზე, უზრუნველყოფები მომსახურებას და მოქმედებებს, როგორც საკლირინგო აგენტები თავიანთ კლიენტებთან შეთანხმებით.

მცირე და საშუალო სიდიდის საბროკერო კომპანიები, რომლებიც მუშაობენ კლიენტების შეკვეთებით, თანდათანობით შევიწროვდება დიდი კომპანიების მიერ: მსხვილი კლიენტები ფრთხილობენ საქმე იქონიონ მცირე ფირმებთან და უპირატესობას ანიჭებენ ისეთებს, რომელთა უკან დგას ბანკი.

ფიუჩერსულ ვაჭრობაში არის მაგალითები მსხვილი სპეციალიზებული ფირმების, რომლებიც მუშაობენ მხოლოდ სწრაფ ბირჟებზე. ბევრ მათგანს არა აქვს კვლევითი განყოფილებები ისინი ადიარებენ, რომ არსებობენ ადამიანებისათვის, რომლებიც დამოუკიდებლად დებულობენ საგაჭრო გადაწყვეტილებებს.

წამყვანი საბროკერო ფირმები დიდ გავლენას ახდენენ საბირჟო ვაჭრობაზე. თავიანთი კლიენტების საინფორმაციო და საბროკერო ფუნქციების შესრულებისას, ისინი იმავდროულად გავლენას ახდენენ მათ ქცევაზე, თანაც ძალიან ხშირად კლიენტების მოღვაწეობას უქვემდებარებენ თავიანთი კომპანიის მოთხოვნილებებს.

განვიხილოთ, თუ როგორი პრინციპით ირჩევს კლიენტი საბროკერო კომპანიას. რა თქმა უნდა, ეს გადაწყვეტილება ყოველთვის ინდივიდუალურია, მაგრამ ამავე დროს აღინიშნება ზოგიერთი საერთო მომენტი. მაგალითად, მსხვილი კონტრაქტების მეშვეობით კლიენტი აირჩევს 2-3 საბროკერო ფირმას, რომელთაც აქვთ მსხვილ სეკვეთებთან მუშაობის გამოცდილება. უფრო მცირე კომპანიები, ალბათ, საქმეს დაიკავებენ საშუალო საბროკერო ფირმასთან, რომელსაც ექნება უფრო დაბალი საკომისიო საგასახადები, მაგრამ მეტ დროს მოანდომებს ბაზრის ანალიზსა და თითოეულ კლიენტთან მუშაობას.

ურთიერთობები ბროკერსა და კლიენტს შორის წარმოიქმნება კლიენტის ინიციატივით, მაგრამ საბროკერო ფირმები აქტიურად მოქმედებენ ახალი კლიენტების მოსაზიდად, რისთვისაც აკეთებენ სარეკლამო განცხადებას. უფრო ხშირად გამოიყენება ნაბეჭდი განცხადებები პრესაში, რომლებიც მიმართულია საქმიანი ადამიანებისაკენ. საბროკერო კომპანიის სარეკლამო განცხადი შეიცავს ინფორმაციას რომელიც აღწერს ფირმის მუშაობის მიმართულებასა და საქმიან პოლიტიკას, მისი ოპერაციების მოცულობას.

როდესაც კლიენტები მიმართავენ საბროკერო ფირმას, მათ აქვს შემდეგი უპირატესობები:

- მნიშვნელოვნად ზრდიან სავაჭრო ოპერაციების მოცულობებს საკუთარი დანახარჯების ზრდის გარეშე ამ მიზნებისათვის;
- შეუძლიათ გამოიყენონ მაღალკალიტიციური სავაჭრო პერსონალი;
- შეუძლიათ ოპერაციებზე გაწეული სარჯების დაბალანსება, რადგანაც შუამდგომლობაზე გაწეული სარჯები უშუალოდ დაკავშირებულია კლიენტების ოპერაციების მოცულობაზე.

საბროკერო ფირმების შემოსავლის ორი ძირითადი წყარო არსებობს: ანგარიშებზე დაბატული თანხებიდან აღებული პროცენტები და საკომისიოები. პროცენტები წარმოქმნება ძირითადად საბროკერო ფირმების კლიენტების ნაღდი თანხების ხარჯზე. როგორც აღინიშნა, კლიენტების ნაღდი დეპოზიტები განლაგებულია ცალკეულ საბანკო ანგარიშებზე. თუმცა, ამ დეპოზიტებზე გაცემული პროცენტები გადაერიცხებათ არა კლიენტებს ინდივიდუალურ ანგარიშებზე, არამედ საბროკერო ფირმას, რომელშიც იყო ეს ანგარიშები გახსნილი. მიუხედავად იმისა, რომ დეპოზიტებზე პროცენტების დაკარგვამ გამოიწვია ფასიანი ქაღალდების გამოყენება, როგორც პირველადი ბირჟა. მიუხედავად ამისა, ფულადი სახსრების მსხვილი თანხები ისევ ფიუჩერსული ვაჭრობის ბრუნვაში იმყოფება. მიახლოებითი გაანგარიშების მიხედვით, დეპოზიტებზე პროცენტული შემოსავალი შეადგენს ფიუჩერსული საკომისიო ვაჭრების შემოსავლის 10%-ს. დანარჩენი 90% საკომისიოს წარმოადგენს.

ფიუჩერსული საკომისიოები არ არის უნივერსალური. საკომისიოების მოცულობა არსებითად განსხვავდება და დამოკიდებულია კონტრაქტის სახეობაზე, ფიუჩერსული პოზიციის ტიპზე. ინდივიდუალური კლიენტები იხდიან ყველაზე მაღალ ფსონებს. მათ შემდეგ დგას ინსტიტუციონალური პეჯერები და პროფესიული ტრეიდერები. ყველაზე დაბალ განაკვეთებს იხდიან ბირჟის წევრი კლიენტები, რომელიც ბირჟაზე თვითონ დებენ ხელშეკრულებებს და გამოიყენებენ ფიუჩერსული საკომისიო ვაჭრებს მხოლოდ კლიენტებისათვის.

საკომისიოების მოცულობა წარმოადგენს მოლაპარაკების საგანს კლიენტსა და ფიუჩერსულ საკომისიო ვაჭრებს შორის.

ყველაზე დაბალი საკომისიო არის დაწესებული ისეთი პოზიციისათვის, რომელიც იხსნება და იხურება ერთი და იმავე სავაჭრო პერიოდის განმავლობაში, იმიტომ რომ არ არის აუცილებელი მისი შეყვანა ფიუჩერსული საკომისიო ვაჭრების საბუღალტრო აღრიცხვის სისტემაში. შედარებით დაბალი საკომისიოებია აგრეთვე სპრედულ გარიგებებზე, რომლებიც მოცულობით უფრო მცირეა, ვიდრე ცალკე შეყვანილი ორი პოზიციის საკომისიოები. ყველაზე მაღალი საკომისიო არის დაწესებული სუფთა გრძელ ან მოკლე პოზიციებზე, რომლებიც გადაიტანება ერთი დღიდან მეორეზე.

საკომისიოებს შორის ყველაზე დიდი სხვაობა შეინიშნება თვით ფიუჩერსულ საკომისიო ვაჭრებს შორის. ამ სხვაობის მიზეზი არის კლიენტისათვის მომსახურების გაწევის რაოდენობა და ხარისხი. მსხვილ ფირმას შეუძლია გამოიყენოს პირადი ბროკერი გადაწყვეტილების მისაღებად, გააგზავნოს კვლევითი ანგარიშები ბაზრების შესახებ. გარდა ამისა, მსხვილი საკომისიო ვაჭრები მუშაობენ ყველა ტიპის ფინანსურ ბაზრებზე და ასეთი ფირმების ფულადი სახსრები ადვილად გადაღინდება აქციებიდან ობლიგაციებზე, ფიუჩერებზე ან სავალიუტო ბაზრის ანგარიშზე.

დღეისათვის ფიუჩერსული დარგის საერთო სტაბილიზაციის ფონზე, როდესაც მთავარ პოზიციებს იკავებენ მოთამაშეები, რომლებიც დიდი ხანია წარმატებულად მუშაობენ ბაზარზე, ხოლო მცირეები, (ისეთები როგორიცაა: განვითარებადი ქვეყნების ფირმები) ვერ აწარმოებენ მსხვილ ოპერაციებს, კიდევ უფრო მწვავდება კონკურენცია საბროკერო ფირმებს შორის, რითაც მცირდება შემოსავლების ზრდა. ყველაზე ცუდი შედეგი არის ფიუჩერსების საკომისიოების დაცემა და ფიუჩერსული გარიგებების შემცირება იმ დონემდე, რომ საბროკერო ფირმას გაუჭირდება არსებობა. საბროკერო ფირმების სწრაფვა საკომისიოების შემცირებისაკენ, რათა კლიენტი არ დაკარგონ, შემდგომში უფრო გაართულებს ფირმის მუშაობას.

ასეთ რთულ ფინანსურ პირობებში ბევრი საბროკერო ფირმის ხელმძღვანელობა გადაწყვეტილებას იდებს მაღალ ტექნოლოგიებში დასაბანდებლად, შემდგომ შეამცირებს სხვა ხარჯებს, მაგრამ თავიდან იწვევს ხარჯების ზრდას მაღალკვალიფიციურ პერსონალზე.

ბევრი მსხვილი ფირმა დღესაც კი ვარაუდობს უარი თქვას საკომიო გადარიცხვაზე და შემოსავალი გაზარდოს სხვადასხვა მომსახურების ხარჯზე: კავშირების გამოყენება, კონსულტაციები და ა.შ. მაგრამ ეს ხერხი არ არის რეალური საშუალო და მცირე ფირმებისათვის. მოთხოვნისა და მიწოდების კანონი დიდ როლს თამაშობს საბირჟო რინგზე ვაჭრების საკომისიო განაკვეთის განსაზღვრაში. ზოგიერთ ფიუჩერსულ რინგს ძალიან ცოტა ბროკერი ჰყავს, როცა სხვა რინგზე ბროკერები მრავლად არიან, ხოლო კლიენტურა ნაკლებია. ბუნებრივია, პირველ შემთხვევაში განაკვეთები შეიძლება იყოს მაღალი. როგორც სხვა ბიზნესმენები, ბროკერებიც პატივს სცემენ მუდმივ კლიენტებს და შესაბამისად, მათ სთავაზობენ უფრო დაბალ განაკვეთებს.

იმისათვის, რომ გავიგოთ ფიუჩერსული საბროკერო საქმიანობის ეკონომიკა განვიხილოთ პირობითი მაგალითი (ცხრ. 1), სადაც ნაჩვენებია შემოსავლებისა და ხარჯების წყარო.

ცხრილი 1

ფიუჩერსული საკომისიო გაჭრების შემოსავლების ანგარიში, დოკუმენტი

1	საკომისიო	100,00
2	პროცენტები დეპოზიტებზე	10,00
3	სულ შემოსავალი	110,00
გარიგებების დანაზოგები		
4	საკომისიო გადახდა	34,0
საბროკერო საქმიანობი თრგანიზაცია		
5	ბროკერული მომსახურეობა	10,00
6	საბირჟო და საკლირინგო აკრება	6,00
7	სულ დანაზოგი	50,00
8		60,00
9	პერსონალი	25,00
10	კავშირგაბმულობის მომსახურება	7,00

11	არენდა	4,00
12	რეკლამა	3,00
13	ოფისზე გაწეული ხარჯები	2,00
14	იურიდიული და საბუღდალტრო მომსახურება	3,00
15	სხვა ხარჯები	3,00
16	სულ საოპერაციო ხარჯები	47,00
17	მოგების გადასახადის გადახდამდე	13,00
18	გადასახადები	6,00
19	წმინდა მოგება	7,00

ასეთი სახის სტატისტიკა იძლევა სხვადასხვა მონაცემებს სხვადასხვა პერიოდისათვის, მაგრამ ეს მაგალითი ოვალსაჩინოს ხდის შემოსავლისა და ხარჯების სტატისტიკას. მაგალითად: სხვადასხვა საკომისიო შემოსავალი შეადგენს 100 დოლარს. ოუ გავითვალისწინებთ, რომ დამატებითი შემოსავალი 10 დოლარია. მაშინ ფიუჩერსული საკომისიო ვაჭრების ჯამური შემოსავალი იქნება 110 დოლარი.

გასავლების პირველ კატეგორიას მიეკუთვნება დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია ნებისმიერი სახის გარიგებასთან. ეს დანახარჯები ჩნდება ყოველთვის – კონტრაქტის ყიდვის ოუ გაყიდვის დროს. მთავარი მათ შორის არის საკომისიოების გადახდა ანგარიშის მწარმოებელთათვის, რომლებიც მუშაობენ საკომისიო ვაჭრების განყოფილებებში, აგროვებენ და აწარმოებენ კლიენტების ანგარიშებს და ღებულობენ საკომისიოს იმ ნაწილს, რომელსაც საკომისიო ვაჭარი იდებს კლიენტისაგან. ანგარიშების შემსრულებლისათვის გადასახადები ჩვეულებისამებრ შეადგენს მთელი საკომისიოს 30-40%.

დანახარჯების შემდეგ კომპონენტს შეადგენს ბროკერის საკომისიო საოპერაციო დარბაზში. ეს არის ის სახსრები, რომლებსაც ფიუჩერსული საკომისიო ვაჭრები უხდიან ბროკერებს საოპერაციო დარბაზში. ზოგიერთ შემთხვევაში ეს შეიძლება იყოს დამოუკიდებელი ბროკერები, სხვა შემთხვევაში ეს თანხები ეძლევა ბროკერებს, რომლებიც მსახურობენ საბროკერო კომპანიებში. ნებისმიერ შემთხვევაში ეს გარიგება ფასის მნიშვნელოვანი ელემენტია.

ბოლო კომპონენტი არის საბირჟო და საკლირინგო გადასახადები. ყველა საანგარიშწორებო პალატა იღებს თავისი წევრებისაგან გადასახადს საკლირინგო გარიგებაზე. ეს გადასახადები მერყეობს 20 ცენტიდან ჩიკაგოს სავაჭრო ბირჟაზე, ხოლო 1,70 დოლარამდე ნიუ-ორკის სავაჭრო ბირჟაზე, მაგრამ რადგანაც საკლირინგო ასოციაციები არ არის შემოსავლიანი ორგანიზაციები, ისინი პერიოდულად უბრუნებენ გადასახადების ნამატს თავიანთ წევრებს.

გარდა საკლირინგო გასავლისა ბირჟების უმეტესობა მოითხოვს, აგრეთვე საბირჟო გადასახადებს, რომლებიც იხარჯება ბირჟის შენახვისათვის, ახალ აღჭურვილობაზე, მშენებლობაზე და რეკლამაზე. ტრადიციულად საბირჟო გადასახადები ამოიღება ყოველი გარიგების შედეგად და დიფერენცირებულია კონტრაქტების სახეობების მიხედვით.

გაზა ბურაპანიშვილი

ქ.ა.დ., ქუთაისის უნივერსიტეტისა
და აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

ადამიანური რესურსების დაგებმვა და მისი რაოდენობის განსაზღვრის მეთოდები

ადამიანური რესურსები ფირმის (საწარმოს) აუცილებელი, თავისებური, არაორდინაციური, შეცველელი, აქტიური და შემოქმედებითი ნაწილია. მისი დაგეგმვა, უპირველესად განხილულ უნდა იქნეს როგორც მთლიანი ფირმის ოპერატიული და სტრატეგიული დაგეგმვის ერთიანი სისტემის შემადგენელი ნაწილი. ასეთი მიდგომა თუნდაც იმიტომაა აუცილებელი, რომ ორგანიზაციის მისია, მიზნები, ამოცანები, ფუნქციები, პრიორიტეტები, შიდა და გარე ურთიერთობები, ორგანიზაციული სტრუქტურა და ა.შ. არსებით ზეგავლენას ახდენს ადამიანური კაპიტალის ნებისმიერ მახასიათებელზე-მათ რაოდენობაზე, პროფესიულ შემადგენლობაზე, პერსონალის ხელფასის ფონდზე, კვალიფიციურ მოთხოვნებზე, მუშაობის მეთოდებზე და ა.შ.

ადამიანური რესურსების დაგეგმვა ფირმის სტრატეგიიდან, პოლიტიკიდან გამომდინარე მისი მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად საჭირო მომუშავეთა რაოდენობისა და პროფესიულ-კვალიფიციური შემადგენლობის განსაზღვრაა; აგრეთვე ესაა პერსონალის მართვის სხვა კომპონენტების დაგეგმვა როგორც მიმდინარე, ისე უახლოეს და შორეულ პერსპექტივაში. დაგეგმვამ უპირველესად პასუხი უნდა გასცეს შემდეგ კითხვებს:

- მთლიანად ფირმასა და მის ცალკეულ ქვედანაყოფში რამდენი, რა პროფესიულისა და კვალიფიკაციის მომუშავე გვჭირდება;
- რა პროფესიულ-კვალიფიციური და პიროვნული მოთხოვნებია აუცილებელი ამა თუ იმ თანამდებობის დასაკავებლად;
- რა მდგომარეობაა ფირმაში პერსონალის „მოთხოვნა-მიწოდების“ მხრივ, ახალი ვაკანსიები გვაქვს თუ პირიქით, შესამცირებელია მომუშავეთა რაოდენობა;
- როგორ უნდა დავითხოვოთ ზედმეტი მუშები, ან პირიქით-მოვიზიდოთ, თუკი ფირმას ვაკანსიები გააჩნია;
- როგორ უნდა მოხდეს მომუშავეთა პოტენციალის უფრო, ეფექტური გამოყენება, მათი მოტივირების დონის ამაღლება;
- როგორ უნდა უზრუნველყოთ ფირმის ადამიანური რესურსების განვითარება და სხვა.

ბუნებრივია, ყველა ამ კითხვაზე პასუხის გაცემას და ადამიანური რესურსების დაგეგმვას წინ უნდა უსწრებდეს პერსონალის მართვის არსებული მდგომარეობის ღრმა ანალიზი, პოზიტიური თუ ნეგატიური მხარეების ობიექტური შეფასება. ადამიანური რესურსების დაგეგმვა უპირატესად შემდეგ პრინციპებს უნდა ეფუძნებოდეს:

- საჯაროობა და გამჭირვალობა, ფირმის მომუშავეთა აქტიური მონაწილეობა პერსონალის დაგეგმვის პროცესში მის საწყის ეტაპზევე, მითუმეტეს, როცა საქმე ფირმის სოციალური განვითარების საკითხებსაც შეეხება;
- სისტემურობა, რაც უპირველესად ადამიანური რესურსების განვითარების საკითხებისადმი კომპლექსურ მიღომას, პრიორიტეტების იდენტიფიცირებასა და პერსონალის დაგეგმვის მთელი ფირმის განვითარების სტრატეგიული გეგმის ორგანულ ნაწილად განხილვას გულისხმობს;
- უწყვეტობა, რომლის აუცილებლობასაც თვით ფირმისა და მისი ადამიანური რესურსების პერმანენტურ სრულყოფა-განვითარება, მემკვიდრეობითობა, წარსულის, აწმყოსი და მომავლის ერთიანობა განაპირობებს;
- მოქნილობა, ადრე მიღებულ გადაწყვეტილებებში ცვლილებებისა და კორექტივების უპრობლემოდ შეტანის შესაძლებლობები, რადგან დღევანდელ პირობებში ნებისმიერი საწარმო და მით უმეტეს, მისი ადამიანური რესურსები სწრაფად განვითარებადი, ცოცხალი ცვალებადი ორგანიზმია;
- შეთანხმება, რაც ფირმის ერთი და იმავე დონის ქვედანაყოფებს შორის ადამიანური რესურსების გეგმების კოორდინირებას, ხოლო მართვის ზედა და ქვედა დონის ქვედანაყოფებს შორის ამ გეგმების ინტეგრირებას ნიშნავს;
- რესურსების უზრუნველყოფა — გეგმა უნდა იყოს რეალისტური, ითვალისწინებდეს ობიექტურ პირობებს, პირველ რიგში კი — მის შესასრულებლად აუცილებელ ადამიანურ, ფინანსურ, ორგანიზაციულ და მატერიალურ რესურსებს.

ადამიანური რესურსების დაგეგმვა შეიძლება სტრატეგიული და ოპერატიულ გეგმების სახით. დაგეგმვის კონკრეტული ფორმის არჩევა დამოკიდებულია ორგანიზაციის პრიორიტეტულ მიზნებსა და ამოცანებზე, მათ მიღწევაში ადამიანური კაპიტალის როლზე, თვით ადამიანური რესურსების მენეჯმენტის არსებულ მდგრმარეობაზე, მის პოზიტიურ მსარეებზე პრობლემებზე და ა.შ. რასაკვირველია, ადამიანური რესურსების დაგეგმვა მით მეტად ეფექტური იქნება, რაც უფრო დრმად მოფიქრებულად და სისტემურად განხორციელდება.

ადამიანური რესურსების დაგეგმვის სისტემის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტია მთლიანად ფირმისა და მისი ყოველი სტრუქტურული ქვედანაყოფისთვის პერსონალის აუცილებელი რაოდენობისა და და პროფესიულ-კვალიფიციური შემადგენლობის განსაზღვრა. ეს სისტემური და არაერთჯერადი პროცესია. ნებისმიერი ორგანიზაციის ადამიანური რესურსების რაოდენობა და პროფესიულ-კვალიფიციური შემადგენლობა საკმაოდ ცვალებადი სიდიდეა და ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული. მათგან აუცილებელია აღინიშნოს თვით ორგანიზაციის ოპერატიული და სტრატეგიული მიზნების ცვალებადობა-განვითარება, რაც ხშირად და სისტემატურად შეიძლება არ ხდებოდეს, მაგრამ მაინც ცვლილებათა ობიექტურ პროცესს წარმოადგენს. პერსონალზე მოთხოვნის ზრდას ან შემცირებას ორგორც წესი იწვევს: მომუშავეთა მოძრაობა (დენადობა, პენსიაზე გასვლა, სხვადასხვა მიზეზით განთავისუფლება), ორგანიზაციის ფუნქციების გაფართოება ან შეზღუდვა, ახალი ფუნქციები, ახალი სტრუქტურული ქვედანაყოფების შექმნა ან არსებულთაგან ზოგიერთის გაუქმდა, უკვე

დასაქმებული პერსონალის რაოდენობრივი და პროფესიულ-კვალიფიციური შემადგენლობის არასწორად განსაზღვრა და სხვა.

ადამიანურ რესურსებზე მოთხოვნის განსაზღვრის გამოყენებული მეთოდებიდან უნდა აღინიშნოს:

- ექსტრაპოლაციის მეთოდი: ეს არის ყველაზე მარტივი და ხშირად გამოყენებული მეთოდი; ის არსებული ვითარების სამომავლოდ გათვალისწინებას გულისხმობს; ამ მეთოდის მიმზიდველობა მისი სიმარტივეა, შეზღუდულობა კი ორგანიზაციის შიდა და გარე ფაქტორების გაუთვალისწინებლობას უკავშირდება;
- კორექტირებული ექსტრაპოლაციის მეთოდი: ეს მეთოდი უბრავ ითვალისწინებს პერსონალის რაოდენობაზე მოქმედ ფაქტორებს; მას საკმაოდ ბევრი ორგანიზაცია იყენებს;
- ექსპერტულ შეფასებათა მეთოდი: ეს მეთოდი პერსონალის რაოდენობისა და პროფესიულ-კვალიფიციური შემადგენლობის განსაზღვრისას სპეციალისტთა აზრის გათვალისწინებას უფრო მიმდინარეობს; ასეთი სპეციალისტები, უპირველესად, სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელები არიან; ადამიანური რესურსების მენეჯმენტის სამსახური მათ შეფასებათა შეკრებასა და დამუშავებას ახდენს; გამოიყენება სხვადასხვა მეთოდი: ჯგუფური განხილვა, კითხვარების შევსება და მათი ანალიზი. ე. წ. „დელფის მეთოდი“; ეს უკანასკნელი ადამიანური რესურსების მენეჯმენტის სამსახურის მიერ შემუშავებული კითხვარის საფუძველზე ამ სამსახურსა და ხაზობრივ მენეჯერებს (ექსპერტებს) შორის წერილობითი დიალოგია; ჩნდება ახალი კითხვები, ახალი პასუხები და ბოლოს მიიღწევა ორმხრივი შეთანხმება;
- კომპიუტერული პროგრამები: ესაა მათემატიკური ფორმულების ერთობლიობა, რომელიც საშუალებას გვაძლევს ერთდროულად გამოვიყენოთ ექსტრაპოლაციისა და ექსპერტულ შეფასებათა მეთოდები, ასევე ინფორმაცია იმ ფაქტორთა დინამიკის შესახებ, რომლებიც ზეგავლენას ახდენს ფირმის პერსონალიზე, მოთხოვნილებაზე; ეს მოდელები ყველაზე ზუსტად პროგნოზის გაკეთების საშუალებას იძლევა; თუმცა, სივირისა და სპეციალური უნარ-ჩვევების მოთხოვნათა გამო ამ მეთოდს უფრო ხშირად დიდი ორგანიზაციები იყენებენ.

ფირმის ადამიანური რესურსების რიცხოვნობის, მისი პროფესიულ-კვალიფიციური შემადგენლობის სწორად განსაზღვრისათვის აუცილებელია გათვალისწინებულ იქნეს შემდეგი კონკრეტული მეთოდური ხასიათის რეკომენდაციებიც:

1. აუცილებელია პერიოდულად შესწავლილ იქნეს, თუ რამდენად შეესაბამება და რაციონალურია დაწესებულების და მისი სტრუქტურული ქვედანაყოფების ორგანიზაციული სტრუქტურა დაწესებულების მისიას, სტრატეგიას, მიზნებსა და ამოცანებს;

2. რამდენად შეესაბამება ერთმანეთს და თანხვედრის საწარმოს სტრატეგია, მიზნები და ამოცანები სტრუქტურული ქვედანაყოფების მიზნებსა და ამოცანებთან; ეს უკანასკნელი-მომუშავეთა სამუშაოთა აღწერებთან (ფუნქციებთან პასუხისმგებლობებთან) და თანამდებობათა პროფესიულ-კვალიფიციურ მოთხოვნებთან;

3. დასახული მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად საწარმოს, ფირმის ადამიანური რესურსების რეალური პოტენციალი საკმარისია ეს პოტენციალი ახლო და შორეულ პერსპექტივაში დასახული მიზნების მისაღწევად, დამატებით რა რაოდენობრივი და ხარისხობრი-

ვი ცვლილებებია საჭირო, რა შიდა რესურსები გაგვაჩნია რა რაოდენობისა და პროფესიულ-კვალიფიციური შემადგენლობის პერსონალი უნდა მოვიზიდოთ გარედან;

4. ფირმის მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად პროფესიული პოტენციალის მქონე ადამიანური რესურსების ფორმირებისთვის მიზანშეწონილია წინასწარ იგეგმება ადამიანური რესურსების მომზადებისა და გადამზადების სისტემის შექმნა;

5. მიზანშეწონილია წინასწარვე გაანალიზდეს და გათვალისწინებულ იქნეს ადამიანური რესურსების მოძრაობისა და დენადობის ძირითადი ტენდენციები, გაირკვეს მიზეზები და დაიგეგმოს შესაბამისი აქტივობები;

6. რა ვითარებაა და როგორ გამოვიყენოთ ადამიანური რესურსების რეზერვი, სტაჟიორთა და პრაქტიკანტთა ინსტიტუტები და რა შიდა როტაციაა მიზანშეწონილი პერსონალის ოპტიმალური შემადგენლობის ჩამოსაფალიბებლად;

7. აუცილებელია გათვალისწინებულ იქნეს, რომ ადამიანური რესურსების მართებულად დაგეგმვის საფუძველია იმ ფაქტორთა დინამიკისა და შესაბამისი ტენდენციების ცოდნა, რომლებიც ზეგავლენას ახდენს ფირმის პერსონალის მოთხოვნილებაზე;

8. მომუშავეთა პროფესიული ჯგუფების მიხედვით აუცილებლად უნდა გაირკვეს მათი საქმიანობის შეფასების ობიექტური კრიტერიუმები და შესაბამისი მაჩვენებლები; ამასთან, ხაზობრივ მენეჯერთა უშუალო დაკვირვების, გასაუბრების, მომუშავეთა მიერ სპეციალური კითხვების შევსების და სხვა მეთოდების გამოყენებით უნდა განისაზღვროს, თუ როგორ მუშაობს, კონკრეტულად რას და როგორ აკეთებს, როგორ ასრულებს დასახულ ამოცანებსა და კონკრეტულ ფუნქციებს თითოეული თანამშრომელი; უნდა გაირკვეს ზედმეტი პერსონალი გვყავს თუ მათ ნაკლებობას აქვს ადგილი;

9. წინა პუნქტში მითითებული მეთოდებით მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე უნდა გადაწყვდეს რომელი სამუშაოების შესრულებაა აუცილებელი და რომლებია ზედმეტი, შეფასდეს და გამოირიცხოს დუბლირებული სამუშაოები;

10. ცალკეული პროფესიული ჯგუფის მიხედვით მომუშავეთა ოპტიმალური რაოდენობის განსაზღვრისთვის მიზანშეწონილია გათვალისწინებულ იქნეს თუ ანალოგიური ფუნქციების ყველაზე წარმატებულად შემსრულებელი მომუშავები რა დროს ხარჯავენ ამ ფუნქციების შესრულებაზე, რის ხარჯზე აღწევენ ამ წარმატებებს; ამის გათვალისწინებით უნდა განისაზღვროს, თუ როგორ უნდა შესრულდეს ესა თუ ის ფუნქცია ნორმალურად და რა დრო უნდა დაიხარჯოს ამისთვის;

11. სასურველი იქნება, არსებობდეს ასეთი გათვალისწინებული უნდა გაირკვეს ადამიანულ ვითარებაში რა აუცილებელი სამუშაოებია შესასრულებელი და რამდენი მომუშავეა ამისთვის საჭირო;

12. რაც შეიძლება ობიექტურად, კონკრეტულ კრიტერიუმებზე დაყრდნობით უნდა ჩამოყალიბდეს სტრუქტურული ქვედანაყოფების საქმიანობის დაგეგმვისა და შეფასების სისტემა; მიღწეული და მიუღწეველი შედეგების შეფასებისას სათანადო ყურადღება უნდა მიეცეს მასში ადამიანური რესურსების რაოდენობას, კვალიფიკაციას, საშემსრულებლო დისციპლინას, მოტივირების და პერსონალთან დაკავშირებულ სხვა ფაქტორთა როლს;

13. აუცილებელია პერიოდულად სათანადოდ გაანალიზდეს თუ როგორ ხდება თანა-

მშრომელთა მიერ სამუშაო დროის გამოყენება, რა იწვევს მათ დანაკარგს და როგორ უნდა ავიცილოთ ისინი თავიდან;

14. სამუშაო დროის გამოყენების შეფასებისას სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს იმას, თუ რისი ბრალია, როცა მომუშავეებს პევრი სამუშაო დრო აქვთ და უსაქმოდ არიან-უხარისხოდ და ნაჩქარევად ასრულებენ სამუშაოს, თუ ხელმძღვანელობა არ აძლევს მათ მეტ დავალებას, ან იქნებ საკმარის დავალებებს კი აძლევენ მაგრამ აღარ აკონტროლებენ როგორ ასრულებენ მათ.

ბამოზენებული ლიტერატურა და წყაროები:

1. პერსონალის მართვა (ავტორთა კოლექტივი: ვ. გურგენიძის ხელმძღვანელობით) თბილისი, 2005 წ.
2. პერსონალის მართვა (ავტორთა კოლექტივი: ვ. გურგენიძის ხელმძღვანელობით) თბილისი, 2008 წ.
3. ადამიანური რესურსების მენეჯმენტი, ვ. გურაბანიძე, თბილისი 2009წ.
4. Personal Management, G.Dessler . Reston Publishing Company, Inc. A Prentice-Hall Company, Reston, Virginia, 1984.
5. Ethical Management For the Public Services, A. Lawton . British Books for Managers, 1998.
6. Human Resources Strategy, J. Walker. Mc-Graw-Hill, 1992.
7. <http://www.undp.org>
- 8.<http://www.ungeorgia.ge>
9. <http://www.undo.org.ge>

ელიტური გველასიანი

ე.ა.დ., აკაკი წერეთლის
სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებელი

თემატური ტურიზმის განვითარების პროგნოზები და პრაკტიკის საქართველოში

მესამე ათასწლეულის დასაწყისში კაცობრიობა კვლავ არჩევანის წინაშე დგას – რა მოიშოროს და უარყოს წარსულიდან, რათა თავიდან აიცილოს საერთაშორისო, სამოქალაქო და რელიგიური კონფლიქტების საფრთხე და რა დაამკიდროს საზოგადოებრივ ცხოვრებაში, რათა შექმნას მსოფლიო ძალადობის, სიძულვილისა და სისასტიკის გარეშე, რომელ შიც ცივილიზაციათა კონფლიქტს პუმანური ტენდენციები და კულტურათა დიალოგი შეცვლის.

ძველი აღმოსავლეთის უძველესი ცივილიზაციის ცენტრებთან სიახლოვემ და ხელსაყრელმა გეოგრაფიულმა მდებარეობამ ხელი შეუწყო ქართველ ხალხს ადრეულ პერიოდშივე დამდგარიყო ცივილიზებული ცხოვრების გზაზე და დაუდალავი შრომითა და ბრძოლით შექმნა საკუთარი მაღალი კულტურა და თავისთავადობა. სწორედ ხელსაყრელმა გეოგრაფიულმა მდებარეობამ განაპირობა ისიც, რომ ისტორიული საქართველოს ტერიტორიაზე გამავალი საგაჭრო-სატრანსიტო გზები, უძველესი დროიდან არსებული დიდი საერთაშორისო სახმელეთო, საზღვაო და სამდინარო საგაჭრო გზათა სისტემის შემადგენელი ნაწილი იყო.

კაცობრიობის ისტორიის მრავალფეროვნება, მისი განვითარება განპირობებულია კულტურათა მრავალფეროვნებით, ზოგჯერ დიამეტრულად საწინააღმდეგო აზრებისა და შეხედულებების არსებობით, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს კულტურათა დიალოგის აუცილებლობას. ამის მაგალითად შეიძლება გამოდგეს „დიდი აბრეშუმის გზის“ ქვეყნების ისტორიული წარსული, როდესაც სხვადასხვა სარწმუნოების, კულტურის, წესჩვეულებების მქონე ხალხები ერთმანეთს უკავშირდებოდნენ ხელსაყრელი ეკონომიკური თუ კულტურული კავშირებით. სწორედ „დიდი აბრეშუმის გზა“-ზე არსებული კულტურული მემკვიდრეობის დანატოვარის გაცნობა დავისახეთ მიზნად ოქმატური ტურიზმის განხილვისას.

თავისთავად, ცხადია რომ მცირე აზიისა და ევროპის ქვეყნებიც, თავის მხრივ, აბრეშუმის გზის ქვეყნებს სთავაზობდნენ საკუთარი წარმოების საქონელს, რომელიც ევროპელებს გადაქმნდათ საპირისპირო მიმართულებით.

თუ თვალს გადავავლებთ აბრეშუმის გზაზე არსებული ქვეყნების ისტორიას (იაპონია, კორეა, ჩინეთი, უზბეკეთი, ყაზახეთი, ყირგიზეთი, ტაჯიკეთი, პაკისტანი, თურქეთი, აზერბაიჯანი, საქართველო, საბერძნეთი, ეგვიპტე), აშკარად აღმოვაჩენთ კულტურათა ურთიერთგავლენის უამრავ მაგალითს, ახალი მიმართულებების გაჩენას ფილოსოფიაში, ლიტერატურასა და ხელოვნებაში, რომლებიც კულტურათა მიჯნაზე შეიქმნა.

საუკუნეების განმავლობაში აბრეშუმის გზის ქვეყნების კულტურა, რელიგია, ფილოსოფია, წეს-ჩვეულებები, ხშირად ერთმანეთისაგან ესოდენ განსხვავებული, თითქოს ერთიან სივრცეს ქმნიდა, რომლის ძირითადი მონაკვეთი, სასიცოცხლო არტერია აბრეშუმის გზა იყო.

ბერძენმა ისტორიკოსებმა შემოგვინახეს ცნობები იმის შესახებ, რომ ჩვენს წელთ აღრიცხვამდე IV-I საუკუნეებში საქართველო წარმოადგენდა მაგისტრალურ სავაჭრო გზას, რომელიც აკავშირებდა არა მხოლოდ აღმოსავლეთს და დასავლეთს, არამედ სამხრეთსა და ჩრდილოეთს.

XIV საუკუნის მიწურულს, ნავიგაციის განვითარებასთან ერთად აბრეშუმის დიდმა გზამ, შეიძლება ითქვას, დაკარგა თავისი ფუნქცია, მაგრამ გავლენა, რომელიც მან მოახდინა მიმდებარე ქვეყნების ცნობიერების, კულტურის, მეცნიერების, ფილოსოფიური აზროვნების ჩამოყალიბებასა და განვითარებაზე, კიდევ დიდხანს გაჰყვა კაცობრიობას.

დღესდღეობით, ახალი საუკუნის დასაწყისში, ეს დიდხანს მივიწყებული მარშრუტი კვლავ უდიდეს მნიშვნელობას იძენს, რათა მისი მდიდარი ისტორიულ-კულტურული გამოცდილების გათვალისწინებით შეიქმნას ურთიერთობისა და თანამშრომლობის ახლებური, ოპტიმალური ფორმა აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის, გაიმართოს კულტურათა დიალოგი, რომელიც უფრო დაკავშირებს კულტურებსა და ცივილიზაციებს და უთუოდ ჰარმონიულს გახდის სხვა-დასხვა ქვეყნის კულტურათა ურთიერთგამდიდრების, მშვიდობიანი თანაარსებობის პროცესს.

უკანასკნელ ხანს იკვეთება ქვეყნისათვის ერთობ საშური პერსპექტივა, რომ საქართველო მრავალი საუკუნის შემდეგ ისევ აღმოჩნდეს აზია-ევროპის მაკავშირებელ რგოლში და ამდენად, ქართულმა კულტურამ კვლავ დაიმკვიდროს დირსეული ადგილი მსოფლიო კულტურულ პროცესში. საქართველო, როგორც ახალი პროექტის ერთ-ერთი ინიციატორი იქმნანა, თანდათან ერთვება მსოფლიო ინტერაციულ პროცესში და „ახალი აბრეშუმის გზის“ ქვეყნების სივრცეში განსაკუთრებულ ადგილს იკავებს ხელსაყრელი გეოპოლიტიკური მდებარეობის გათვალისწინებით.

ტრასეკას პროექტის ფონზე უკვე დაწყებულია კონკრეტული საქმიანობა „აბრეშუმის გზის“ მრავალსახეებიანი პროგრამის განსახორციელებლად. 1998-2005 წლებში დამუშავდა დონისძიებათა გეგმა, სადაც შემუშავდა კონკრეტული სამომავლო წინადაღებები. კერძოდ - „აბრეშუმის გზა: კულტურული ტრადიციები და მომავალი.“ იგი გულისხმობს გაცვლით დონისძიებებს კულტურის სხვადასხვა სფეროში, ერთობლივ საგამომცემლო საქმიანობას, ისტორიულ-დოკუმენტური ფილმის შექმნას, კონცერტების, ფესტივალებისა და გამოფენების გამართვას და ა.შ.

დიდია შესაძლებლობა იმისა, რომ თანამედროვე „აბრეშუმის მაგისტრალი“ იქცეს იმ გზად, რომელიც რეგიონულ პოლიტიკურ წინააღმდეგობებს ურთიერთებებსაყრელ ინტერესებამდე მიიყვანს, ვინაიდან კულტურული ურთიერთობები ყოველთვის იყო და იქნება ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობის საუკეთესო გარანტი.

ტურიზმის თეორეტიკოსები გვარწმუნებენ, რომ 2020 წლისათვის ტურიზმის მამოძრავებელ ძალად ვიხილავთ თემატურ ტურიზმს. ტურიზმის ამ მიმართულებას მიეკუთვნება ტურისტული პროგრამები განხორციელებული ღვინის მწარმოებელ ქვეყნებში. ამის მაგალითია ცნობილი ტური „ფრანგული ღვინის გზებით“. სამწუხაროდ, ეს ტურპროდუქტი სათანადოდ არ

არის წარმოდგენილი საქართველოში, რასაც აქვს თავისი სუბიექტური და ობიექტური მიზეზები. ამ მიმართულების განსავითარებლად საჭიროა გავიზიაროთ იმ ქვეყნების გამოცდილება, რომლებიც დიდი ხანია ჩართული არიან ამ სფეროში. ასეთ ქვეყნებს განეკუთნებიან: საფრანგეთი, იტალია, ესპანეთი, გერმანია, პორტუგალია, კვიპროსი, საბერძნეთი და ავსტრია. ეს მოვლენა შეიძლება ავსენათ შემდეგი გარემოებით: გამოკვლევების შედეგად დადგინდა, რომ ევროპას უკავია მოწინავე როლი ჩასული ტურისტების რიცხვით, აქ არის დიდი რაოდენობის კულტურულ-ისტორიული ღირსშესანიშნაობები, ამას გარდა აღსანიშნავია მომსახურების მაღალი დონე. მეორე მხრივ, ეკონომიკულად მდგრადი მდგრადი რეკორდის ისეთ გეოგრაფიულ ზონაში, სადაც კლიმატური და ეკოლოგიური პირობები ხელს უწყობს დვინის წარმოების განვითარების და პროდუქტის იმპორტის მაღალ კულტურას. მოცემულ ტერიტორიაზე ტურისტებს იზიდავს არა მხოლოდ ისტორიული ძეგლები, არამედ ეკორესურსები, დვინის დებუსტის დღესასწაულები, მოსავლის აღებაში დახმარება და დვინის დამზადების პროცესში მონაწილეობა. ასე რომ, ამ რეგიონებში ტურიზმს საკმაო წელილი მიუძღვის სახელმწიფო ბიუჯეტის შევსებაში.

ქართული დვინის წარმოებას ზურგს ათასწლეულები უმაგრებს. მეტიც, სამეცნიერო წრეებში სულ უფრო პოპულარული ხდება ვერსია, რომ დვინის სამშობლო სწორედ საქართველოა და მეცნიერთა გარკვეული ნაწილი მსოფლიოში დვინის აღმნიშვნელ საერთაშორისო სიტყვას ქართულ ეტიმოლოგიას უკავშირებს. საქართველო კულტურული ვაზის ფორმათა წარმოქმნის ერთ-ერთ ძირითად კერადაა აღიარებული, რაც მრავალი, როგორც სამამულო, ასევე უცხოელი მკელევარების არქეოლოგიური, ისტორიული, ეთნოგრაფიული, ლინგვისტური თუ სხვა წყაროებით დასტურდება. კერძოდ, გათხრებისას აღმოჩენილია კულტურული ვაზის სხვადასხვა ჯიშის ყურძნის ტიპები, რომლებიც ჩვენს ერამდე 6-5 ათასი წლით თარიღდება. საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი იყო ძველისძველი მარანი, როლი მოწყობილობით, დვინის შესანახად გამოყენებული უზარმარი თიხის ქვევრი, ოქროს, ვერცხლის, ბრინჯაოს ფიალები. განსაკუთრებით აღსანიშნავია ალაზნის ველის სამაროვნები (ძვ. წ. აღ. I ათასწლეული) გათხრების შედეგად აღმოჩენილია მცხეთის მახლობლად (ბაგინეთში), სხვადასხვა კერამიკული ჭურჭელი, რომელიც თარიღდება ძვ. წ. აღ. IV-III ათასწლეულით. ბორჯომში ნაპოვნია 11, ვარძიაში კი 100-მდე ქვევრი, რომელთა შორის ერთ-ერთი იყო ორმაგადანიანი, თერმოსის მსგავსი.

დიდ ინტერესს იწვევს აღმოსავლეთ საქართველოში არქეოლოგიური წიგნების აღმოჩენა. ქართლის ერთ-ერთ უბანში არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოაჩინეს ყურძნის წიგნები, რომელლებიც (ჩვ. წ. აღ. VII-VI ათასწლეული), ასევე ენეოლითური პერიოდითაა დათარიღებული. ამრიგად, ირკვევა, რომ ენეოლითურ პერიოდში ანუ ჩვენი დროიდან დაახლოებით 5000 წლის წინათ აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში იცნობდნენ ვაზის კულტურას. ასევე ნაპოვნია კულტურული ვაზის უშუალო წინაპარი - გარეული ვაზი - კრიკინა (უსურვაზი), რომელიც დღეს საერთაშორისო წითელ წიგნშია შეტანილი. ეს ფაქტი საქართველოს ტერიტორიაზე მევენახეობა-მეღვინეობაზე მიგვითოთებს.

კიდევ ერთი დასტური ვაზის კულტის საქართველოში არსებობის შესახებ, არის ის რომ განმანათლებელმა წმინდა ნინომ, საქართველო ვაზის ჯვრით მოაქცია, რაც იმას ცხადყოფს, რომ

ვაზი წმინდა მცენარედ ითვლებოდა. ცხადი ხდება, რომ ამის შემდეგ კიდევ უფრო მკაფიოდ გამოიხატა ქართველების უურადღება და პატივისცემა დვინისა და ვაზის მიმართ. კერძოდ, ქართული ეკლესიის კარები ხშირად ვაზის მასალისაგან კეთდებოდა, გავრცელებული იყო ვაზის ჩუქურთმის გამოყენება ტაძრებისა და ეკლესია-მონასტრების მშენებლობის დროს. ჩანს, რომ ქართველი ხალხი იმ შორეულ წარსულში ვაზს „წმინდა“ მცენარედ თვლიდა და ამიტომაც სრულიად ბუნებრივია, რომ ამ მცენარის მოვლა-გაშენებისათვის მას გამსაკუთრებული უურადღება მიექცია.

სწორედ ასეთი უურადღებისა და მზრუნველობის შედეგად ქართველმა ტომებმა შორეულ წარსულში გამოიყანეს სხვადასხვა, მაღალ ხარისხიანი და უხემოსაგლიანი ჯიშები. შეიმუშავეს ვაზის მოვლა-გაშენებაზე გარკვეული ტრადიცია და ხარისხიანი დვინოების დაყენების ორიგინალური წესები.

მედვინება-მევენახეობის შემოსავლიანობა რომ დიდი იყო ოდიოგანვე, ამას მოწმობს არა ერთი და ორი ცნობა დვინის ექსპორტის შესახებ უკვე გვიანდებულ ფეოდალურ ხანაში: ირანის შაჰ-სეფი (1627-1641 წწ.) საქართველოს კათოლიკოსს სპეციალური ფირმანით ატყობინებდა, რომ „სამყაროს თავშესაფრის სასახლეში“ მიღებულია რამდენიმე საპალნე „დემის დვინი“, რითაც თქვენ ამტკიცებთ ჩვენდამი „გულწრფელ და ურყუვ ერთგულებას“. სხვა ცნობების მიხედვით, საქართველოდან დვინო გაჟქონდათ, როგორც სომხეთსა და მიდიაში, ისე ირანშიც (ისპაპანში შახის სასახლე ქართული დვინოებით მარაგდებოდა).

შარდენისა და სხვა უცხოელი მწერლებზე დაყრდნობით ცნობილია, რომ „თუ ასეთი ვითარება ყოფილა შაჰ-აბასისაგან განადგურებულსა და გადატაკებულ საქართველოში, ადგილი წარმოსადგენია, თუ რაოდენი მნიშვნელობა ექნებოდა დვინის ექსპორტს საქართველოში იმ დროს, როდესაც იგი პოლიტიკურადაც ძლიერი იყო და კულტურულადაც. ეს ფაქტი ძველი საქართველოს მეზობელმა და მეტოქე სახელმწიფოებმაც იცოდნენ და სწორედ ამიტომაა, რომ თემურ-ლენგმა XIV საუკუნის დამლევს და შემდეგ შაჰ-აბასმა XVII საუკუნის დამდეგს საქართველოს ეკონომიკურად დასუსტებისათვის თავიანთ ლაშქარს საქართველოში ვენახის გაკაფვა-ამოძირკვა უბრანა.

დაბოლოს - ქართველი კაცის გონივრული და დაუზარელი შედეგია ამ მცირე ტერიტორიაზე მრავალფეროვანი აბორიგენული ჯიშების შერჩევა-გამოყვანა (500 დასახელებაზე მეტი), რომლებიც ძირითადად ლოკალიზებულია ცალკეულ ენდემურ იზოლირებულ ისტორიულ-გეოგრაფიულ ჯგუფებში. ათასწლულების მანძილზე მევენახეობა-მებაღეობა საქართველოს კულტურული მიწადმოქმედების წამყვან დარგად, ერის მატერიალური და სულიერი ცხოვრების წყაროდ ითვლებოდა.

ამ მოკლედ მიმოხილული მასალის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ თემატური ტურიზმის ეს ორი პროექტი „აბრეშუმის გზა“ და „დვინის ტური“ მოგვიტანს ტურისტული ბიზნესის მძლავრ განვითარებას, რაც უთუოდ აისახება ქვეყნის იმიჯზე საერთაშორისო არენაზე და მის ეკონომიკურ განვითარებაზე.

ტურისტული მარშრუტების მიმზიდველობის შეფასების დროს ხარისხის ფაქტორი საკვანძო კრიტერიუმს წარმოადგენს. საქართველოს ტურისტული მარშრუტების ხარისხის გაუმჯობესება მრავალი პრობლემის გადაჭრასთან არის დაკავშირებული, კერძოდ, გართულებულია ტრანსპორტირება ქვეყნის შიგნით, სახმელეთო ტრანსპორტი მოუხერხებულია და და მგზავ-

რობას დიდი დრო მიაქვს გზების ცუდი ხარისხის გამო. არ არსებობს შიდა საპაერო რეისები.

რიგ რეგიონებში თითქმის არ არსებობს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ტურისტთა განთავსების საშუალებები. მიუხედავად იმისა რომ, ბოლო ორ-სამ წელიწადში შეიქმნა კერძო სასტუმროების გარკვეული რაოდენობა, მათი მაშტაბები და ხარისხი ჯერ კიდევ ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნებს, განსაკუთრებით რთული მდგომარეობაა ამ მხრივ ხევსურეთში, თუშეთსა და კახეთში. ამასთან ირკვევა რომ საქართველოში არის ადგილები, რომელიც უცხოელ ტურისტებს თანამედროვე ინფრასტრუქტურის არარსებობის პირობებშიც იზიდავს.

ტურისტული ინფრასტრუქტურის სხვა ობიექტების დაბალი ხარისხი შეიმჩნევა ცენტრალური მაგისტრალების გასწვრივაც (დიდი აბრეშუმის გზა და ტრასეება) თითქმის არ არსებობს საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისი ტურისტული და სხვა ინფრასტრუქტურის ობიექტები (ტურისტების მოსაცდელი ადგილები, ავტო სერვისი, ვაჭრობისა და კვების ობიექტები და სხვა).

მიუხედავად იმისა, რომ დღეს საქართველოში არსებული უმაღლესი სასწავლებლების უმრავლესობა ამზადებს ტურიზმის სპეციალისტებს, ჩვენს ქვეყანაში, ისევე როგორც მთელს სამხრეთ კავკასიაში, დღეისათვის თითქმის არ არსებობს ტურიზმის პროფესიული უმაღლესი სკოლა, რომელიც ორიენტირებული იქნება საშუალო და დაბალი პერსონალის მომზადებაზე. არა და, ამ რანგის პერსონალზე მოთხოვნა გაცილებით აჭარბებს უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტებზე მოთხოვნას.

სერიოზული პრობლემაა ენობრივი ბარიერი - ინგლისური ენის ძალიან კარგი ცოდნით გამოირჩევა მხოლოდ რამდენიმე სასტუმრო და ტურისტული სააგენტო; სხვა სასტუმროებისა და რესტორნების უმეტესობაში, რომ არაფერი ითქვას მაღაზიებსა და სხვა სავაჭრო დაწესებულებებზე, უცხო ენებს პრაქტიკულად არ ფლობენ.

ქართული ტურიზმის კონკურენტუნარიანობისათვის და მსოფლიო ბაზარზე საკუთარი აღვილის დამკვიდრებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქვეყნის რეკლამირება, საქართველოს როგორც ახალი ქვეყნის აქტიურად წარმოჩენა და დანარჩენი მსოფლიოსათვის გაცნობა.

ტურიზმი ქვეყნის იმიჯია და მისი განვითარება შუბლებელია ფაქტორების მთელი სისტემის გათვალისწინების გარეშე. ტურიზმი ვერ განვითარდება, თუ ქვეყნა პოლიტიკურად და ეკონომიკურად სტაბილური არ არის.

ნაირა ვიწსალამე

ე.ა.დ., ქუთაისის უნივერსიტეტის და აკაკი

წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების ზოგიერთი ასპექტი

სოფლის მეურნეობა მატერიალური წარმოების უძველესი დარგია. მას გადამწყვეტი როლი ენიჭება მრეწველობის ნედლეულით, ხოლო მოსახლეობის კვების პროდუქტებით უზრუნველყოფის საქმეში. ეკონომიკის სხვა დარგებისაგან განსხვავებით, სოფლის მეურნეობა, სპეციფიკური დარგია, რაც განპირობებულია წარმოების პროცესზე ბუნებრივი ფაქტორების ზემოქმედებით. სოფლის მეურნეობაში კვლავწარმოების პროცესი საზოგადოებისა და ბუნების კანონების ერთობლივი ზემოქმედებით წარიმართება და წარმოების შედეგები მერყეობს წლების მიხედვით ჩამოყალიბებული კლიმატური პირობების მიხედვით, რაც მეურნეობის გაძოლაში სტიქიურ ელემენტებს წარმოშობს. სასოფლო-სამეურნეო წარმოებაზე არახელსაყრელი ბუნებრივ-კლიმატური პირობების ზემოქმედების წინააღმდეგ გამოიყენება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევები, ეკონომიკური, ორგანიზაციული და სხვა ბერკეტები, მაგრამ მისი მთლიანი აღმოფხვრა საერთოდ შეუძლებელია.

საქართველო ტრადიციული აგრარური ქვეყანაა. სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის მას ყოველთვის საკმარისი რესურსი გააჩნდა და ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილიც ამ სფეროში იყო დასაქმებული. დღეს ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობა ძალიან მძიმე, კრიზისულ მდგომარეობაშია. შესაბამისად, მძიმე მდგომარეობაშია სოფლის მოსახლეობაც. ხელისუფლების მხრიდან სოფელი განსაკუთრებულ ყურადღებას და დახმარებას მოითხოვს. ამ დარგის აღორძინებაში თავისი ღირსეული წვლილი უნდა შეიტანოს მეცნიერ-ანალიტიკოსებმა. ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური საკითხების კომპლექსური დამუშავების საფუძველზე მათ უნდა უზრუნველყონ აგრარულ სექტორში არსებული მდგომარეობის რეალური შეფასება, მომავლის პერსპექტივების განსაზღვრა და ამოქმედება.

სოფლის მეურნეობისათვის, ისევე როგორც ნებისმიერი სხვა დარგისათვის, განმსაზღვრელს წარმოადგენს წარმოების ფაქტორები. მათი მდგომარეობის მიხედვით ქვეყანაში ძირითადად შეიძლება არსებობდეს სამი ასეთი სიტუაცია: პირველი, როდესაც წარმოება სტაბილური, მყარია და საბაზისო რესურსები არა მხოლოდ მარტივი, არამედ გაფართოებული კვლავწარმოების საშუალებას იძლევიან. მეორე, როდესაც მდგომარეობა კრიზისულია და საბაზისო რესურსული ფაქტორები უკვე ვერ უზრუნველყოფენ მარტივ კვლავწარმოებასაც კი, რაც ძირითადად იმით არის გამოწვეული, რომ მატერიალურ-ტექნიკური ბაზა ვერ პასუხობს მოთხოვნებს როგორც ფიზიკური, ისე მორალური ცვეთის გამო, ხოლო ასელის შეძენა ვერ ხერხდება. მესამე, როდესაც გახანგრძლივებულია კრიზისული მდგომარეობა, რაც საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლით კი არ არის გამოწვეული, არამედ ამ უდიდესი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის პროცესისადმი არათანმიმდევრული, არასწორი მიღგომითა და განხორციელებით. სწორედ ეს უკანასკნელი არის დღევანდელი

საქართველოს მეურნეობის განვითარების სამსახური

აღსანიშნავია, რომ ჩვენს ქვეყანაში აგრარული რეფორმა განხორციელდა მოუმზადებლად, ნაჩეარევად, რთულ კრიმინოგენურ და პოლიტიკურ სიტუაციაში, რამაც გამოიწვია მიუტევებელი შეცდომები. პირველ ყოვლისა, ეს იყო ყოვლად გაუმართლებელი ქმედება მსხვილი კონცენტრირებული საწარმოების დაშლისა და მათ აღგილზე წვრილგლეხური ნატურალური მეურნეობების აღმოცენებისა, რამაც გარკვეულ წილად შეცვალა სოფლის მეურნეობის დარგობრივი სტრუქტურა. მკვეთრად შემცირდა მოსავლიანობა და პროდუქტიულობა, გაიზარდა დანაკარგები და დაეცა პროდუქციის წარმოების დონე, გაუარესდა სოფლის მეურნეობის ეკონომიკური მდგომარეობა, რაც ბუნებრივია გამოწვეული იყო საბაზო ეკონომიკისაკენ მიმავალი გზის ეკონომიკური სტრატეგიის არჩევაში დაშვებული შეცდომებით.

რეფორმის დასაწყისში ქვეყანაში არსებულ 1582 სოფლის მეურნეობის საწარმოდან ლიკვიდირებილ იქნა 353. რეორგანიზებული და მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სხვადასხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით დაფუძნდა დაახლოებით 1072 საწარმო, აქედან რეგისტრირებული იყო მხოლოდ 689 საწარმო, ანუ საწარმოთა საერთო რაოდენობის 60,2%. 2007 წლის მიხედვით რეგისტრირებულ სუბიექტთა რაოდენობამ “სოფლის მეურნეობა, ნადირობა, სატყეო მეურნეობა”-ში შეადგინა 3680 ერთეული. ამჟამად ყველაზე მეტად გავრცელებულია გლეხური და ფერმერული მეურნეობები, რომელთა რიცხვი მილიონს აღემატება. ეროვნულ ეკონომიკაში დასაქმებული 2767.3 ათასი კაციდან სოფლის მეურნეობის წილად მოდიოდა 685 ათასი კაცი, ანუ 25,2%, 2007 წლისათვის 1 704,3 ათასი დასაქმებულიდან 910,1 ათასი, ანუ 53,4% იყო. მთლიანი შიდა პროდუქტის დარგობრივ სტრუქტურაში “სოფლის მეურნეობა, მეტყველეობა, ნადირობა, თევზჭერა” 2007 წლისათვის 9,2 პროცენტული წილით, ხოლო 2009 წლისათვის - 8,3 %-ით ხასიათდებოდა. (იხ. ცხრილი 1)

2007 წლისათვის სოფლის მეურნეობაში წარმოებული პროდუქციის მოცულობამ შეადგინა 2250,9 მლნ. ლარი, ხოლო 2009 წლისათვის - 2117,4 მლნ. ლარი. წარმოების მოცულობა 2007-2009 წლებში, მიუხედავად ფასების ზრდისა, შემცირდა 5.9%-ით. მემცენარეობის პროდუქცია 1051.7 მლნ. ლარიდან შემცირდა 927,5 მლნ. ლარამდე, ანუ კლებამ შეადგინა 11.8%, ხოლო მეცხობელეობაში წარმოების მოცულობა შემცირდა 7.4 მლნ. ლარით, ანუ 0.6 %-ით (იხ. ცხრილი 2).

ცხრილი 1

მთლიანი შიდა პროდუქტის სტრუქტურა (%)

	2006	2007	2008	2009
სოფლის მეურნეობა, მეტყველეობა, ნადირობა, თევზჭერა.	11.2	9.2	8.1	8.3
მრეწველობა	14.8	14.2	13.4	13.2
მშენებლობა	6.9	6.7	5.5	5.3
ვაჭრობა	13.6	12.8	14.1	12.4
ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	11.	10.4	9.5	10.3
სხვა	41.96	46.7	49.4	50.5

წერილი: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, საქართველოს სოფლის მეურნეობა, 2009. სტატისტიკური კრებული, თბ., 2010 გვ., 17.

მშპ-ის რეალურმა ზრდამ 2010 წლისათვის წინა წელთან შედარებით 6.4% შეადგინა, ხოლო დეფლატორის ზრდა 8.7%-ით დაფიქსირდა. მშპ “სოფლის მეურნეობა, ნაღირობა, სატყეო მეურნეობა, თევზჭერა”-ში 2009 წელს შეადგინა 1457,1 მლნ. ლარი, 2010 წელს -1518,3 მლნ. ლარი. აღნიშნული მაჩვენებელი 2009-2010 წლებში გაიზარდა 104,2 %-ი. მშპ-ს მოცულობაში მოსახლეობის ერთ სულ ზე იმავე პერიოდში შეადგინა 4685,6 ლარი, ანუ 2629 აშშ დოლარი, რაც 173.8 აშშ დოლარით მეტია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე. აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ ჩვენი აზრით ეს ზრდა გამოწვეულია არა წარმოების მოცულობის, არამედ ფასების ზრდის შედეგად, რასაც ადასტურებს ზემოთ მოტანილი დეფლატორის მაჩვენებელი.

ცხრილი 2

სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება (მიმდინარე ფასები, მლნ. ლარი.)

	2006	2007	2008	2009
სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება სულ	2134.2	2250.9	2202.9	2117.4
მემკენარეობა	911.3	1051.7	918.1	927.5
მეცხოველეობა	1165.3	1138.8	1227.6	1131.4
სასოფლო-სამეურნეო მომსახურება	57.6	60.4	57.2	58.5

წერო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, საქართველოს სოფლის მეურნეობა, 2009. სტატისტიკური კრებული, თბ., 2010 გვ. 18.

ოჯახური მეურნეობები ძირითადად ფუნქციონირებს ეკონომიკის სამომხმარებლო სფეროში, ამასთან მას უფლება აქვს წარმოებული პროდუქცია გაყიდოს ბაზარზე. მაგრამ მათ მიერ რეალიზებული პროდუქციიდან მიღებული შემოსავალი, ძირითადად იხარჯება პირადი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად და ისინი ვერ ახერხებენ დამატებითი მოგების მიღებას და, შესაბამისად, წარმოების მოცულობის გაზრდას. წარმოების მოცულობით ოჯახური მეურნეობები ვერ ჯდება კლასიკური ფერმერული მეურნეობის ნორმაში. მას ბაზარზე მხოლოდ მცირეოდენი ნამატი პროდუქტის გატანა შეუძლია, ვინაიდან მწირია მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. ოჯახური მეურნეობების გვერდით სახელმწიფო მიწებზე საქმიანობები არენდატორები (რომლებსაც პროდუქციის დიდი ნაწილი გააქვთ ბაზარზე) და დიდი ფართობების მფლობელი ყოფილი საკანონმდებლო და სელისუფლების მაღალჩინოსნები, რომლებიც მიწის მეორად იჯარით გაცემას აწარმოებენ ან იყენებენ დაქირავებულ შრომას. ამავე კატეგორიას მიეკუთვნებაიან კაპიტალის მფლობელთა ის ნაწილი, რომლებიც კაპიტალს სოფლის მეურნეობაში აბანდებენ. ისინი ძირითადად სასაქონლო პროდუქციას აწარმოებენ და ექსპორტშიც ყველაზე მეტი ხვედრითი წილით სასიათდებიან.

ბოლო პერიოდში სულ უფრონ მცირდება სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლების წილი ოჯახური მეურნეობების ფულად შემოსავლებში. თუ 2004 წლისათვის აღნიშნული მაჩვენებელი შეადგენდა 14,7%, 2007 წლისათვის შეადგინა - 7.8%, ხოლო 2009 წლისათვის კი კიდევ უფრო შემცირდა და მხოლოდ 6% შეადგინა. (იხ. ცხრილი 3)

წლები	2006	2007	2008	2009
ხვედითი წილი	10.6	7.8	6.7	6.0

ქვეყანაში დაბალია სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით თვითუზრუნველყოფა. საქართველოს მოსახლეობის სასურსათო უზრუნველყოფა სულ უფრო მეტად არის დამოკიდებული იმპორტირებულ პროდუქტებზე. ბაზარი ძირითადად გაჯერებულია გარედან შემოტანილი დაბალი ხარისხის, ნაკლებ საიმედო საკვები პროდუქტებით. სტატისტიკური მონაცემების მიხედვით 2009 წელს საქართველოს ურთიერთობები პქონდა მსოფლიოს 150-ზე მეტ ქვეყნასთან და საგარეო სავაჭრო ბრუნვამ შეადგინა 5500,1 მლნ. აშშ დოლარი, რაც 2005 წელის მაჩვენებელს აღემატებოდა 2144,7 მლნ. დოლარით ანუ 63.9%-ით. ასეთი კავშირების მიუხედავად, საქართველო ცალმხრივადაა ინტეგრირებული მსოფლიო ეკონომიკასთან. დღეისათვის ექსპორტი 5-ჯერ ჩამორჩება იმპორტს და შეადგენს საგარეო სავაჭრო ბრუნვის მხოლოდ 19.2%-ს, ხოლო დანარჩენი 80,8 % იმპორტზე მოდის. სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების იმპორტის საერთო მოცულობაში უჭირავს დაახლოებით 34,9 %, ხოლო ექსპორტის საერთო მოცულობაში 39,7%. სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების იმპორტირების კუთხით საქართველო გარე სამყაროსთან მეტწილად დაკავშირებულია ისეთი სტრატეგიული, სასიცოცხლო დანიშნულების პროდუქციით, როგორიცაა ხორბალი. ექსპორტის პოზიციიდან კი ჩვენი ქვეყნის პროდუქცია, როგორიცაა ღვინო, ხილი, ციტრუსი და ა. შ. არაა სტრატეგიული, პირველადი, აუცილებელი მოხმარების.

საქართველოს ეკონომიკურ განვითარებაში სოფლის მეურნეობას წამყვანი როლი ეკისრება. მისი წილი მთლიან შიდა პროდუქტში კი თანდათანობით კლებულობს (2009 წლის მონაცემებით შეადგინა 8,3%, მაშინ როდესაც გასული საუკუნის 80-იან წლებში 25 %-ს შეადგენდა).

არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე, სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების მისაღწევად აუცილებელია შრომის მწარმოებლურობის მკვეთრი გადიდება, წარმოებული პროდუქციის მოცულობის გაზრდა, მისი თვითდირებულების შემცირება და მსოფლიო ბაზარზე კონკურენტუნარიანობის ამაღლება. საჭიროა სამამულო წარმოების ისე განვითარება, რომ მოხდეს იმპორტირებული პროდუქციის სამამულო წარმოების პროდუქციით ჩანაცვლება, რაც ხელს შეუწყობს მოსახლეობის დასაქმებას, გაზრდის მათ შემოსავლებს, მოთხოვნებსა და კეთილდღეობის დონეს, ქვეყანა ნაკლებად იქნება დამოკიდებული ეგზოგენურ ფაქტორებზე და მოგვარდება მოსახლეობის სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის პრობლემა.

ანალიზი ცხადყოფს, რომ სრულიად შესაძლებელია მოთხოვნილების დაგმაყოფილება ძირითად საკვებ პროდუქტებზე ჩვენი ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო რესურსებით. მთავარია თანამედროვე მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების ფონზე, შევძლოთ ქვეყნის მიწის ფონდის სრულად, რაციონალურად და ეფექტურად გამოყენების ორგანიზება, დაგსახოთ კონკრე-

ტული გზები რესურსები პოტენციალის სამეურნეო ბრუნვაში ჩართვის, მიწის პროდუქტიულობის მაქსიმიზაციის მიღწევისა და ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლებისათვის.

თანამედროვე ეტაზზე აუცილებლად მიგვაჩნია წვრილი, დაქსაქსული ფორმის გლეხური მეურნეობები გარდაიქმნას სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებად, რაც მათ საშუალებას მისცემს მოძლიერდნენ და აიმაღლონ კეთილდღეობა, ისარგებლონ მსხვილი მეურნეობის უპირატესობით; გამოიყენონ კრედიტი თითქმის იმავე პირობებით, როგორც კომერციულმა საწარმოებმა, შემოიტანოს და წარმოებაში დანერგოს პროგრესული ტექნოლოგიები, დაასაჭმოს მაღალი კვალიფიკაციის მქონე შრომითი რესურსები, უზრუნველყოს უხმოსავლიანი კულტურებისა და მაღალპროდუქტიული ცხოველური ჯიშების გამრავლება, მცენარეთა და ცხოველთა დაცვა, აწარმოოს უხვი, კონკურენტუნარიანი პროდუქცია და გაყიდოს მაღალი ფასით, როგორც ამას აკეთებენ მსხვილი საწარმოები. კოოპერაციის სათავეში დგას დამოუკიდებელი მეწარმე, რომელიც თავისი რისკით უძღვება მეურნეობას, კოოპერაცია არ უქმნის საფრთხეს გლეხური მეურნეობის დამოუკიდებლობას, პირიქით ზრდის მეურნეობის ეფექტიანობას და ამაღლებს მის ტექნიკურ დონეს.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებისა და სოფლის აღორძინების უმნიშვნელოვანესი პირობაა ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბებული სისტემა, მისი გეგმაზომიერი, თანმიმდევრული აღორძინება. ამ სფერომ უნდა უზრუნველყოს სოფლის იერსახის შეცვლა, მისი გალამაზება და ხალხის ეოფითი პირობების მიახლოება მსოფლიოს მოწინავე ქვექნების დონეებთან, რაც სოფლად ახალგაზრდობის დასაქმება-დამაგრებას და შრომითი რესურსების პრობლემის ოპტიმალურად გადაჭრას შეუწყობს ხელს.

აკაკი ბაგურაძე

ე.ა.დ., ქუთაისის უნივერსიტეტის და
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

აკაკობის ეკონომიკური შედეგების შემცირების საკითხისათვის

„მიწადუ მე, უფალო, რამეთუ უძღვერ ვარ; განმეურნე მე, უფალო,
რამეთუ შემიძრწუნდეს ძუალნი ჩემნი“ (ფს. 6, 2)
„... მკურნალობა უზენაესისგან არის“ (ზირ. 38, 2)

XX საუკუნის ბოლოს საქართველოში იწყება ეკონომიკური განვითარების ახალი საბაზრო მოდელის არჩევა. სამწუხაროდ, ამ პროცესის გაჭიანურებამ გამოიწვია ქვეყნის სამომავლო მიმართულებებში და პერსპექტივებში მკვეთრი ცვლილებები, რაც აისახა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მხარეზე, მათ შორის ძირითადად, სოციალურ და დემოგრაფიულ პროცესებზე და, რათქმა უნდა, მოსახლეობის ჯანმრთელობის, საერთო ჯამში, მათი ცხოვრების დონეზე. შესაბამისად, დღის წესრიგში დადგა ჯანმრთელობის დონის გაუმჯობესობის სწრაფი და პროდუქტიული პროგრამების შემუშავება-გატარება, თუმცა როგორც პრაქტიკამ აჩვენა - უშედეგოდ.

შემუშავებული პროგრამების ძირითად მიზნად ყოველთვის რჩება მოსახლეობის ჯამრთელობის დონის სრული გაუმჯობესობა და მის კვალობაზე მრავალი მაკროეკონომიკური მაჩვენებლების გაზრდა, რადგან ის პირდაპირ ზემოქმედებს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პროგრამების ძირითადი მიმართულებების განხორციელებაზე. როგორც სამედიცინო ოვალსაზრისით, ისე ეკონომიკური ანალიზის მოთხოვნათა გათვალისწინებით, ჯანმრთელობის დონის შემაჯამებელ, ინტეგრირულ მაჩვენებლად გევალინება სიცოცხლის მოსალოდნებელი ხანგრძლივობა დაბადებისას (ს.მ.ხ.დ.), რადგან სიკვდილის მიზანები გამოხატულია ძირითადში დაავადებების სახით, ამიტომ დაავადების წინააღმდეგ მიმართული პრევენციული ბრძოლის შედეგები ხშირ შემთხვევაში პირდაპირ განსაზღვრავენ ს.მ.ხ.დ.-ს ზომას.

სამეცნიერო ლიტერატურით ცნობილია, რომ ს.მ.ხ.დ. პირდაპირ დამოკიდებულია, ძირითადში, ბუნებრივ-გეოგრაფიული, ეკოლოგიური, ჰიგიენური და საწარმოო განვითარების (აქ გასათვალისწინებელია შრომის დაცვის და დაზღვევის პირობებიც) ფაქტორების ცვლილებაზე. ასევე საინტერესოა სხვა მახასიათებლების ანალიზი, როგორიცაა: ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ს მოცულობის ზრდის ტემპი, დასაქმებისა და დანაშაულობის დონის ცვლილება, მიგრაციის სალდოს სიდიდის და ცხოვრების დონის დიფერენციაციის მაჩვენებლის ცვლილება¹ (აუცილებელი შესწავლით იქნას აგრეთვე, საარსებო მინიმუმის, პენსიის ოდენობის, ოჯახის კეთილდღეობის და სხვა მაჩვენებელთა გავლენას) და ა.შ.

„გაწელილი“ კრიზისული სიტუაციის ფონზე, საქართველოში განსაკუთრებული მნიშ-

¹ **Прохоров Б.** и др., Условия жизни населения и общественное здоровье, электронная версия бюллетения «Население и общество» /www.demoscope.ru/

ვნელობა უნდა მიექცეს ბიზნესის განვითარების მაჩვენებლების დინამიკას და, რაც მთავარია, უმუშევრობის დონის ცვლილებას, რადგან უმეტეს შემთხვევაში მოსახლეობის (მით უმეტეს, მნიშვნელოვანი ნაწილის) შემთხვევების სიმცირე პირდაპირ მოქმედებებს დაავადების სიხშირეზე... „თვით მსოფლიო პრაქტიკამ აჩვენა, რომ განვითარებულ ქვეყნებში ყოველწლიურად გაკოტრებულ საწარმოთა ხვედრითი წილი 5%-ა, რაც ძირითად ში გამოწვეულია არასწორი მენეჯმენტით, ხოლო განვითარებულ ქვეყნებში ამ მაჩვენებლის მკვეთრი ზრდა მოსალოდნელია ეკონომიკური ფაქტორების უაღრესად არასასურველი ცვლილებით, პოლიტიკური არასტაბილურობით, სოციალური და ეკონომიკური რისკების მაღალი დონით, საგადასახადო ტენიანობით, რეგიონულ თუ მსოფლიო კრიზისულ სიტუაციებზე პირდაპირი დამოკიდებულებით“² და ა.შ. შესაბამისად, ხელისუფლება უნდა ითვალისწინებდეს ცხოვრების დაბალი დონით გამოწვეულ შესაძლო შედეგებს. როგორც ჩანს, ამ მიმართულებით ჩვენს ქვეყანაში ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი.

დადგა დრო, როცა მეცნიერ-ეკონომისტთა (მედიკოსებთან ერთად) განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მოსახლეობის „საზოგადოებრივ ჯანმრთელობის“ ეკონომიკურ შეფასებას და მის ცვლილებაზე მომქმედი ფაქტორების შესწავლას და მათ შესაძლო გავლენას სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე. სამწუხაროდ, თანამედროვე სამეცნიერო-კვლევითი ლიტერატურა არ იცნობს „ჯამრთელობის ფასის“ ისეთ ეკონომიკურ თეორიას, ან გამოკვლევას, რომელიც მოგცემდა დაავადებებიდან (ტრამვებიდან) „ზარალის“ გაანგარიშების ზუსტ ტექნიკოლოგიას, თუმცა არსებული მეთოდოლოგიური საფუძვლების დახმარებით შესაძლებელია მისი მიახლოებითი განსაზღვრა, რომელიც გამოიყენება კიდეც როგორც მთელი ქვეყნის მასშტაბით, ისე საწარმოს მაგალითზეც.

ასეთ ანალიზში შეფასების ძირითად მაჩვენებლად დაავადებით (ტრამვების) დაკარგული კაც-დღეები ითვლება, რომელთა შეჯერება ხერხდება მხოლოდ „საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა“ და ეკონომიკის ერთმანეთთან დაკავშირებით. უფრო მარტივად რომ ვთქვათ, შესწავლილი უნდა იქნეს და გაიზომოს კავშირი საზოგადოებრივ ცხოვრებაში მიმდინარე სამედიცინო და სოციალურ-დემოგრაფიულ პროცესებს შორის... ანალიზის ჩატარების სისრულეზე დამოკიდებული, მიიღწევა თუ არა მაქსიმალური სიზუსტით გაანგარიშებული ის ეფექტი, რომელსაც ჯანმრთელობის დაცვაში ჩადებული თითოეული ლარი მისცემს საზოგადოებას, ან ის მოსალოდნელი ზარალი, რომელსაც ააცილებს მას... გასარკვევი იქნება ასევე, როგორ აისახება იგი ს.მ.ხ.დ.-ს სიდიდის ცვლილებაზე, მოსახლეობის ცხოვრების დონეზე და ა.შ.

ზოგადად, დაავადებას იწვევს მექანიკური, ფიზიკური, ქიმიური, ბიოლოგიური და ფიქოგენური მიზეზები, რომელთა გამომწვევი შეიძლება იყოს თვით შინაგანი პირობები, ეპიდემიები, უბედური შემთხვევები, დანაშაულობა (სხეულის დაზიანება) და სტიქიური უბედურებანი. საზოგადოებრივი ჯანმრთელობის მდგრამარეობის გაუმჯობესობისათვის აუცილებელია დაავადების მიზეზების პრევენციული ღონისძიებების სრული დაფინანსება, რაც მომავალში დადებითად აისახება მოსახლეობის ჯანმრთელობის და, საერთო ჯამში, ცხოვრების დონის ამაღლებაზე.

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვაზე გაწეული ხარჯებიდან ყველაზე მნიშვნელოვანია მკურნალობაზე დანახარჯები, რომლის ღირებულების შეფასების ორ ხერხზე შევაჩერებთ ყურადღებას:

² Семехин И., Экономика убыточного предприятия, «Проблемы прогнозирования», 1999 г., №3. электронная версия /www.ecfor.ru/

1. მკურნალობისა და რეაბილიტაციის სახელმწიფო ხარჯები+ჯანდაცვის მიმართულების სოციალური დახმარებები+მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვაზე გაწეული სხვა ხარჯები;

2. მთლიანი შიდა პროდუქტის ნაწილი, რომელიც გაიჩვენებს დაავადებათა გამო დროებით ან მუდმივად დაკარგული შრომისუნარიანობის შედეგად მიღებულ საერთო ზარალს³.

მოსახლეობის ავადობა ძირითადი ჯგუფების მიხედვით 2003-2008 წწ.⁴

მაჩვენებელი	2003	2004	2005	2006	2007	2008
პირების დადგენილი დიაგნოზით რეგისტრირებული დაავადებების რიცხოვნობა, ათასი შემთხვევა	574,8	621,0	695,2	761,0	767,8	807,5
ავადობის მაჩვენებელი ყოველ 1000 კაცზე, %-ში	7,55	6,95	6,22	5,78	5,72	5,43

ამ ხერხების გამოყენებით, წლის მანძილზე ნებისმიერი პერიოდისათვის, დროებით შრომისუნარის დაკარგვის გამო, ეკონომიკური ზარალი წარმოადგენს ლირებულებას, რომელიც შეიძლება მიახლოებით გავიანგარიშოთ ფორმულით⁵:

$$E = \frac{D}{365} \cdot (GDP^1 + M + N)$$

სადაც, D - შრომისუნარობით დროებით დაკარგული დღეების რიცხვია, GDP^1 - მშპ-ს ნაწილია, რომელიც დაიკარგა დაავადების გამო საწარმოო პროცესში, M - კლინიკებში მკურნალობაზე ავადმყოფთა მიერ გაღებული ხარჯების ლირებულებაა, ხოლო N - ავადმყოფების მკურნალობაზე გაწეული სახელმწიფო ხარჯებია.

ანალოგიური გაანგარიშება შესაძლებელია საწარმოთა დონეზეც. ამ შემთხვევაში შემოაქვთ დაავადების (ტრამვის) სიხშირისა და სირთულის კოეფიციენტები. პირველი გვიჩვენებს თუ რამდენი მუშაკი დაავადდა 1000 მომუშავეზე (კონკრეტულად, i -რი დაავადებით), ხოლო მეორე - თუ რამდენი დღით მოცდა ერთი მუშა ამ დაავადების გამო. საერთო ჯამში, ორივე კოეფიციენტის ნამრავლი იძლევა თუ რამდენი კაც-დღე იქნა დაკარგული (ე.წ. საშიშროების კოეფიციენტი). საერთო ჯამში, ფორმულა მიიღებს სახეს:

$$K_{\text{საშიშ}} = K_{\text{ხოც}} \cdot K_{\text{ხორთ}}$$

შესაბამისად, რთული არ არის გავიანგარიშოთ ნებისმიერი დაავადებით გამოწვეული მოცდების ეკონომიკური ზარალი, როგორც თითოეული კაც-დღისათვის, ისე საერთოდაც.

შეიძლება ითქვას „დაავადების“ არსში გარკვევა (ბერძ. „nosos“ - დაავადება.) წარმოადგენს კაცობრიობის ყველაზე ძველ პრობლემას. ისტორიაში და თანმიმდევრულმა დაკვირვებებმა აჩვენა, რომ ავადმყოფობა არის ორგანიზმის სიცოცხლისუნარიანობის ნორმალური პირობების რღვევა... ზოგადად, შეიძლება ითქვას, რომ ადამიანი კარგავს გარემოსთან შეგუების თვისებებს და მას შეუძლია მიიყვანოს იგი ჯერ შრომისუნარის შეზღუდვამდე, შემდეგ შესაძლოა უფრო დამძიმდეს და ..., ანუ ნელ-ნელა იკარგება ორგანიზმის „თავდაცვითი“ ფუნქცია.

ამდენად, დაავადება შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც ორგანიზმი მიმდინარე სხეულის დამანგრეველი და თავდაცვითი ტენდენციების ურთიერთსაწინააღმდეგო ურთიერთობა. მსოფლიოს ჯანდაცვის ორგანიზაციის განმარტებით: „დაავადება ესაა სრული ფიზიკური,

3 აქ არ ვითვალიშინებთ გარდაცვალების გამო მიღებულ დანაკარგებს.

4 წერო: www.statistics.ge

5 გაანგარიშების სრული სურათი იხილეთ: **Прохоров Б.** и др., Общественное здоровье и экономика, электронная версия /www.ecfor.ru/

ფსიქოლოგიური და სოციალური კეთილდღეობის საერთო მდგრმარეობის მოშლა⁶. ავადმყოფობის მიზეზად კი ასახელებენ იმ ფაქტორებს, რომლებიც იწვევს დაავადებას და ორგანიზმების მიზეზად კი ასახება სპეციფიკური თავისებურებით, თუმცა ისინი განსხვავდებიან სიკვდილის მიზეზთა და ფაქტორთა კლასიფიკაციისგან. მაგალითად, სიკვდილის მიზეზი შეიძლება იყოს გულ-სისხლძარღვთა დაავადება, ხოლო იგი შეიძლება გამოიწვიოს მრავალმა ფაქტორმა (შიში, ავარია, ალკოჰოლიზმი და ა.შ.). დაავადების, როგორც მოვლენის (პროცესის), შესწავლილობის არსებობს მრავალი მიდგომა, თუ კონცეფცია და აქ საყურადღებოა ქრისტიანული სწავლება დაავადებაზე, მის რაობასა და მართვაზე.

„უფალო დმერთო ჩემო, დაღად-ვყავ შენდამი და განვიკურნო“ (ფს. 29, 3). შესაძლებელია თუ არა დაავადებათა მართვაში ქრისტიანული ეკლესიის სწავლების ეფექტურად გამოყენება? ქრისტიანთა ცხოვრების პრაქტიკამ აჩვენა, რომ ავადმყოფობა გულისხმის-ფოფის, საკუთარ თავში ჩახედვის და შესაძლებლობებში დარწმუნების, ლოცვის ხარისხის ზრდის და ა.შ. საშუალებაა. განკურვა მორჩილებით, მოთმინებით, დავთისადმის მადლიერებით განწყობით, სიმხეებით, სასოებით, უშიშრიბით... წყალობით მიიღწევა, რომელიც შესაძლებელია მეურნალობის ეფექტური კურსის ჩატარების კვალად. დავთისაკენ სულიერ ხმობასთან ერთად, ადამიანმა უნდა იზრუნოს მის ჯამრთელობაზე, სხეულის სიმრთელეზე, განსხაკუთრებით „ძირითად“ ორგანოებზე. როგორც წმ. ესაია განშორებული გვასწავლის: „.... ვიდრე ჯერ კიდევ შენს სხეულში ხარ, ნუ მოასუსტებ შენს გულს... არც ადამიანს აქვს უფლება მოასუსტოს გული, ვიდრე პირში სული უდგას“ (სათხომოყვარეობა, I ნაწილი, საეკლესიო ბიბლიოთეკა V, თბ., 2006 წ., გვ., 51).

ჩვენდა სასიხარულოდ, მე-20 საუკუნის ბოლოს დაიწყო სოციალურ-ეკონომიკური მოვლენებისა და პროცესების მართვაში ქრისტიანული სწავლების დანერგვა, რაც თანამედროვე პერიოდში და ქართულ სინამდვილეში „ახალი მეცნიერების“ - თეოლოგიური ეკონომიკის - მეცნიერულმა წინსვლებმა გამოიწვია. ამ მხრივ მიმართულმა გამოკვლევებმა მოიცვა საზოგადოების მართვის თითქმის ყველა სფერო. „ბოლო წლებში ეკონომიკის ძირითადი პრინციპების მართმადიდებლური გააზრების კუთხით საქართველოში მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა, გამოიცა ნაშრომები, ჩატარდა სამეცნიერო ფორუმები და ა.შ. თანდათან იკვეთება შედარებით ახალი მიმართულების - თეოლოგიური ეკონომიკის საჭიროება⁷, რომელმაც უდიდესი როლი უნდა ითამაშოს ქართველი ხალხის ცხოვრებაში, საზოგადოების მართვაში და ქართული სახელმწიფოს ეკონომიკურ წინსვლასა და საბოლოო ჩამოყალიბებაში.

„და ვითარცა მოვიდა იგი მიერ კერძო სოფელსა მას გერგესველთასა, შეემთხვინეს მას ორნი ეშმაკეულნი, რომელნი გამოვიდოდეს საფლავებისაგან, ფრიად ბოროტნი, ვიდრედა ვერვის ხელ-ეწიფებოდა წარსლვა მიერ გზით“ (მთ. 8, 28; შედარ.: იობ. 1, 6). ამ მუხლიდან ჩანს მკაფიოდ, რომ ბოროტი სულები ხამდვილად არსებობენ და რომ მათ მიერ შეპყრობილი ადამიანები უკიდურესად ავადდებიან და, არცთუ იშვიათად, ფიზიკური სიკვდილის ხვედრიც ხდებიან. ასეთმა ფაქტებმა შეიძლება მიიღოს ყველაზე ხანგლძლივი და მძიმე სწავლების სახე და, მადლობა ღმერთს, რომ ადამიანთა უმრავლესობას აქვს დავთისადმი მისწრაფება, სხვა პირობებში ყველა ეს შემთხვევა სავალალო შედეგით დამთავრდება.

„.... რომელმან განკურნა უველნი სწავლებანი შენი“ (ფს. 102, 3). ჯანმრთელობაც და ავადმყოფობაც, თუკი მათ სარწმუნოებით მოვიხმართ, დავთის განგებულების ხელში მხოლოდ

6 www.nozologia.ru.

7 ჩიხლაძე ნ., ეკონომიკა და მართმადიდებლური სწავლება, თბ., 2009 წ., გვ. 7

ჩვენი ხსნის საშუალებებია, მაგრამ თუ თვითნებურად მივუდგებით, ჩვენი დაღუპვაც შეუძლია⁸. „ჭეშმარიტად მოაზროვნე ადამიანს ერთი გულმოდგინება აქვს: დაემორჩილოს და სათხო-ეფოს ყოველთა დმერთს, და მხოლოდდა ამისკენ განსწავლოს თავისი სული, თუ როგორ ესათხოოს დმერთს, რომ რაც არ უნდა შეემთხვეს მას ცხოვრებაში, პმადლობდეს უფლის ამგვარ და ესოდენ წინაგანგებასა და ყოვლის წარმმართველობას, რადგან უმართებულოა, რომ, ერთი მხრივ, მადლობას ვუძღვიდეთ ექიმებს მაშინაც კი, როდესაც ისინი მწარე და ჩვენთვის უსიამოვნო წამლებს გვაძლევენ სხეულის გასაჯამრთელებლად, დვთის მიმართ კი, იმათ გამო, რაც სამძიმო ჩანს ჩვენთვის, უმაღურნი ვიყოთ და არ ვიცოდედთ, რომ ყოველივე ჯეროვნად და ჩვენდა სარგებლად ხდება წინაგანგების შესაბამისად, ვინაიდან დვთისმიმართი ცოდნა და რწმენა ცხონებაა და სრულყოფილება სულისა“⁹.

იოანეს სახარებაში მოტანილ ერთ ისტორიაში, განკურნებულს ქრისტე ღმერთი მიმართავს: „... აპა ცოცხალ იქმენ, ნუდარა სცოდავ, რამთა არა უძვირესი რამე გეყოს შენ“ (ინ. 5, 14). ამ სიტყვებიდან ჩანს, რომ ჩვენს ცოდვებს და სნეულებებს შორის ისეთივე კავშირია, როგორც მიზეზსა და შედეგს შორის. მართლაც, ვიდრე პირველმა ადამიანებმა - ადამმა და ევამ - არ შესცოდეს, მანამდე ისინი იყვნენ სრულყოფილი ადამიანები, შესაბამისად, - სრული სულითაც და ხორცითაც. როგორც კი დაარღვიეს უფლის მცნება, გამოავლინეს ურჩობა და შესცოდეს, უმალვე მოჰყვა სალმობა (სნეულობა, ავადობა) და, საბოლოოდ, ფიზიკური სიკავილი. იგივე შეგვიძლია ვთქვათ ყოველდღიურ ცხოვრებაზე. ყველა ცოდვას, განსაკუთრებით კი ხანგრძლივსა და გამუდმებულს, უსათუოდ დაჲყვება თან ბუნებრივი სიმწყობრის დარღვევა და მისი მუდმივი თანმხლები - სნეულებანი და ტანჯვა. როცა გვეცოდინება, თუ საიდან მომდინარეობს ჩვენი სნეულებები, უფრო დაკვირებული და ფრთხილი ვიქნებით საკუთარი თავის მიმართ და ყოველი ღონით ვეცდებით აღარ შევცოდოთ, ან თავიდან ავიცილოთ ცოდვა, როგორც მიზეზი ჩვენი სხეულებრივი და სულიერი სნეულებისა, უძლურებისა... „ჩვენს თავს მოწევნულ სნეულებებში, პირველ ყოვლისა, სულიერი კურნება უნდა ვეძებოთ, - ცოდვათაგან განვიწმიდოთ სული, და მხოლოდ მაშინ, ჩვენი სნეულებების მიზეზის - ცოდვის მოტევებასთან ერთად სრულად გამოჯანსაღება მოგევმადლება“¹⁰.

„რატომ გააკვესებს შენი ჭრილობა, უკურნებელი სატკივარი? შენი დიდი დანაშაულის გამო, ცოდვები რომ გაგიმრავლდა, გიყავი ეს ყველაფერი“ (იერ. 30, 15) აღარ დაობენ, რომ დაავადება წარმოადგენს პირველყოფილი ცოდვის შედეგს. ადამიანური გაგებით, დაავადების გამომწვევი შეიძლება იყოს მრავალი ფიზიოლოგიური მიზეზი, პირველ რიგში კი - მისი ცხოვრების წესი: „გაუმაძლრობით მრავალი აღესრულნენ, თავშეკავებული კი სიცოცხლეს იხანგრძლივებს“ (ზორ. 37, 31). ეკლესიის მამათა სწავლებით¹¹ აქ მხოლოდ ზედმეტი საკვების მიღებაზე არაა საუბარი, არამედ ადამიანის ნებისმიერი, ასევე, სახმარი ნივთების მიმართ უსაზღვრო ლტოლვის მოთოკვაზე, რამეთუ იგი შეიძლება ჩამოყალიბდეს როგორც მანია, ცოდვისკენ მიღრეკილება, რაც აუცილებლად დაღუპავს მას! წმ. ბასილი დიდის თქმით: „... დაავადებები ხშირად წარმოადგენენ ცოდვათა გამო დასჯას, რათა გაიღვიძოს ჩვენში უფლისადმი სიკვარულმა და მორჩილებამ“¹².

8 წმ. თეოფანე დაყუდებული, დარიგებანი სულიერი ცხოვრებისათვის, მ., 1994 წ., გვ., 39

9 წმ. ანტონი დიდი, „სათხომოუცვარება“, I ნაწილი, საეკლესიო ბიბლიოთეკა V, თბ., 2006 წ., გვ., 10-11

10 საქვირაო სახარებათა განმარტება, თბ., 2001 წ., გვ., 49

11 ფეოფან ვაზტვონიკ, სამართლებულის მეცნიერებების მუზეუმის პირველი მდგრადი დეკანი, ეპისტოლის მიმართულების კავშირის მისამართის დეკანი.

12 თვე გეორგი ვაზტვონიკის მუზეუმის მუზეუმის მიმართულების კავშირის მიმართულების მისამართის დეკანი, ეპისტოლის მიმართულების კავშირის მისამართის დეკანი.

„რასა პხმობ შემუსრვასა შენსა ზედა? იძულებით არს ლმობა შენი სიმრავლისათვის უსჯულოებათა შენთასა, რამეთუ განძლიერდეს რა ცოდვანი შენნი, გიყუნეს შენ ესენი“ (იერ. 30, 15). პასუხი ერთია - დაავადების გამომწვევი მნიშვნელოვანი მიზეზი (!) არის ცოდვა. „ნუოუ იტყვი, რომ ყველა დაავადება ცოდვისგანაა? რათქმა უნდა ყველა არა... ზოგიერთი დაავადება ჩვენს გამოსაცდელადაა სიკეთეში“¹³ ან კიდევ: „გვიგზავნის ღმერთი ზოგ დაავადებას სასჯელად, როგორც ეპიტამიას; ზოგს - გამოსაფხიზლებლად, ჰკუაზე რომ მოეგოს ადამიანი; ზოგს - უბედურების ასაცილებლად, რათა არ ჩავარდეს მასში ადამიანი, როცა ჯანმრთელი იქნებოდა; ზოგი - ადამიანმა რომ აჩვენოს მოთმინება და ამით დაიმსახუროს მომავალი ჯილდო; ზოგი ვნებათა განსაწმედად და, საერთოდ, მრავლისათვის...“¹⁴

„რამეთუ მოაკლდა სალმობით ცხორება ჩემი და წელიწადნი ჩემნი სულთქუმით; მოუძლურდა გლახაკებითა ძალი ჩემი და ძუალნი ჩემნი შეძრწუნდეს“ (ფს. 30, 11). სიძაბუნე, უძლურება და ტანჯვა ადამიანს განსაკუთრებულ ვითარებაში აყენებენ. ეს ვითარება ან უნდა გავიგოთ როგორც დვთის მოწოდება, მისკენ მოქცევის შესაძლებლობა, სინანული, ან მოთმინება იმ ცოდვათაგან გასაწმენდელად, რომელთაგან თავის დაღწევას ჩვენით ვერ შევძლებთ, ან როგორც განსაცდელი, ლვაწლი, რომლითაც ადამიანი მოწამის „გვირგვინს მოიხვეჭს“. სწორედ ამაში მდგომარეობს არსი ქრისტიანული შეხედულებებისა ავადმყოფობაზე, როგორც დვთისგან მოწოდებაზე¹⁵: ადამიანი, სადაც არ უნდა იმყოფებოდეს ის, ყოველთვის შფოთავს და ცდილობს იზრუნოს მისი ჯამრთელობის მდგომარეობაზე. ჯამრთელობის დაზიანება, ან დაავადება მთელი ცხოვრება თან გვხდევს და ბოლოს დეგება გარდაცვალება. როგორც დავით მეფსალმუნე მოგვითხრობს: „წელნი ჩუენნი ვითარცა დედაზარდლი იწურთიდეს. დღენი წელიწადთა ჩუენთანი მათ თანა სამეოცდათ წელ... და უმრავლესი მათი შრომა და სალმობა; რამეთუ მოვიდა ჩუენ ზედა სიმშვიდე, და ჩუენ განვისწავლენით“ (ფს. 89, 9-10).

„პრქუა მას იესჲ: აღდეგ, აღიღე ცხედარი შენი და ვიდოდე!“ (ინ. 5, 8. შედარ.: მთ. 9, 6; მარკ. 2, 11). წმ. მამათა სწავლებით სახარების ამ ნაწილებიდან გამოსაყოფია მაცხოვრის სამი სიტყვა: „აღდეგ, აღიღე და ვიდოდე“. ამ სიტყვებში არის უდიდესი და იდუმალი ძალით მოწოდება, ქრისტო:

- აღდეგ! - ცოდვათა მიტევება, პატიება (მიზეზთაგან სნეულებისა);
- აღიღე ცხედარი შენი! - ძალთა დაბრუნება, აღდგენა (განკურნება);
- ვიდოდე! - ჯანმრთელობის სრული დაბრუნება (მომავალში მცნებათა დაცვის პირობით).

ფაქტია, რომ მთელი კაცობრიობა მიისწრაფვის და ეტანება ყველა სახის ცოდვას და შემდეგ განიცდის მის შედეგებს: „შფოთს, წუხილს, განსაცდელს, სიგიროვეს და ყოველგვარ უბედურებას, რომელსაც სიკვდილი მოსდევს. ამ ყოვლადდამდუპველი ცოდვისაგან გამომხსნელი არის უფალი იესო ქრისტე!“¹⁶ დაავადება და ცოდვა ურთიერთდაკავშირებული ცნებებია. რადგანაც ცოდვა მიზეზია ჩვენი დაავადებებისა, ამიტომ მავანთ სურთ, რომ „...ცოდვა ადამიანის ზნეობრივ არასრულფასოვნებად აეხსნათ, გარკვეული მორალური ეტალონიდან გადახრად, გონებასა და გრძნობას შორის დისონანსად... ზოგჯერ კი შემთხვევითობად და შეცდომად, არასწორ გადაწყვეტილებად წარმოედგინათ. ისინი ცოდვის მიზეზებს აღზრდის

13 იოან ვლათისტ, სენი. სახელმწიფო უნივერსიტეტი, მართლიანი ქართველი ეკლესია, თბილისი, 2003 წ. გვ. 38.

14 ფეოფან ვაზიარი, სენი. სახელმწიფო უნივერსიტეტი, მართლიანი ქართველი ეკლესია, თბილისი, 2003 წ. გვ. 42.

15 ზორისი კ. გრიგორიანი, განკურნების განვითარების სამსახური, თბილისი, 2003 წ. გვ. 31.

16 წმ. იოანე ქრისტიანდეტელი, ქრისტიანული ფილოსოფია, თბილისი, 2003 წ. გვ. 59.

ნაკლოვანებაში, არასაკმარის განათლებაში... სოციალურ უსამართლობაში ხედავენ“¹⁷ და არა სულიერი თვალით ხედავენ და ზრახავენ. თუმცა მორწმუნებს, „ქრისტიანის მართებს საკუთარი თავის მიმართ გამუდმებული უურადღება, სინანული, სიმდაბლე, ლოცვა, თავშეკავება; რამეთუ ეშმაკის მოდგმა, რომელიც მუდამ სხვადასხვა ცოდვით გვაშფოთებს, მხოლოდ ლოცვითა და მარხვით განიდევნება“¹⁸.

„ჩვენს სიცოცხლეს ერთი მტერი ჰყავს - ეს ცოდვაა... და რა სიხარბით ჰკრეფს ეს ბატონი თავის დალას!...“¹⁹ როგორ დავიცვათ თავი? „ეკრძალენით თავთა თქუენთა, ნუჟეუე დამძიმებული თქუენთი შუებითა და მთრვალობითა და ზრუნვითა ამის სოფლისათა...“²⁰ (ლკ. 21,34.) „თავშეკავება, ბოროტებათდათმენა, მრთელცნობიერება, გამტანობა, გამძლეობა და სხვა. ამათი მსგავსი, აი, ეს უდიდესი სათხოებითი ძალმოსილებანი გვაქვს მიღებული დვოისგან, რომლებიც, შეგვეწვიან რა, შეებმიან და წინ აღუდგებიან მოპირისპირე სიძნელეებს“²¹.

თავისთავად, ადამიანის სურვილი - გამოჯამრთელდეს არის ბუნებრივი თხოვნა დვთისადმი და ცოდვად არ ითვლება. დაითმინო დაავადება, ქრისტიანის ვალდებულებაა, მაგრამ უნდა „ითხოვო დვთისაგან გამოჯამრთელება იმ მიზნით, რომ მტკიცე გადაწყვეტილებით გამოიყენო დაბრუნებული სიმრთელე და სიძლიერე დვთისადმი მსახურებაში და არა ცოდვისათვის...“²², თუმცა სიცოცხლის მანძილზე არის ისეთი „დაავადებები, როცა უფალი ადამიანს ადებს გამოჯამრთელების აკრძალვას, რადგან ლმერთი ხედავს, რომ დაავადება უფრო ჭირდება მის სულს გადარჩენისათვის, ვიდრე გამოჯამრთელება“²³, ამიტომ ექიმის მიერ დაავადების ზუსტად დადგენისა და სწორი მგურნალობის დანიშვნის პირობებშიც კი თუ არ შეწყდა იგი, ადამიანმა არ უნდა იჩქაროს დაგმოს ესა თუ ის გარემოება, განიკითხოს ექიმი, ან უფრო უარესი, ჩავარდეს უსასოობასა და დვთის გმობაში, არამედ უნდა გაძლიერდეს ლოცვაში და დარწმუნდეს იმ ფაქტში, რომ კოველივე ეს მისთვისაა და მისი ცხონებისათვის.

„შვილო, შენს სნეულებას ნუ მიაყრუებ, არამედ შეევედრე უფალს და განკურნავს...“ (ზირ. 38, 9). წმიდა მამათა განამარტებით: ავადმყოფობის შემთხვევაში წრფელი გულით უნდა შეევედროთ უფალს, რათა შეგვიწყალოს და გაგვწინდოს ჩვენი ცოდვებისაგან, რომლებიც დასნეულების მიზეზია. „ლმერთი უგზავნის ადამიანს სნეულობას, რადგან თუკი ის არ დრტვინვას და პმადლობს უფალს, უმაღლესი დიდების ღირსი ხდება“²⁴. ასე რომ, დაავადების დროს უპირველესად უნდა ვევედროთ ყოვლისშემძლე უფალს, ყოვლადწმიდა დვთისმშობელს, მფარველ ანგელოზებს, მთავარანგალოზებს და წმიდანებს, რათა შეწყალებულ იქნას ჩვენი სული და მოგვანიჭოს ლმერთმა სხეულის სიმრთელე. „მოწყალეო უფალო, აწცა გამოავლინე დიდებული სასწაულენი შენის და დათრგუნები ბოროონტო ძალნი, მოკვდინე უსჯულოებანი, ჭრილობანი განგვიმრთელე, მკურნალ ეყავნ სენთა ჩუენთა და კოველთოთა ბილწებათა, საქმეთა საეშმაკოთა და ბოროტ მეტყველთაგან გვისხენ ჩუენ“²⁵.

17 არქიმანდრიტი რაფაელი (კარელინი), რისთვის გვითმენს უფალი?! თბ., 2006 წ., გვ. 93

18 წმ. ოთანე კონსტანტინელი, ქრისტიანული ფილოსოფია, თბ., 2003 წ., გვ. 55

19 ლაზარეს ადგინება, თბ., 1991 წ., გვ. 176

20 სხვა თარგმანით: „ფრთხილად იყვით, რათა არ დამძიმდეს თქვენი გული განცხოვომით (დრეობით), სიმოვრალითა (ლოთობით) და ამქვეციური საზრუნველოთ“ (სიცოცხლეზე ზრუნვით)... შედარ.: რომ. 13, 13; თეგ. 5, 6 და სხვ.

21 წმ. ანტონი დიდი. სათხომოცვარება, I ნაწილი, საეპლებით ბიბლიოთეკა V, თბ., 2006 წ., გვ. 11

22 იგნატი (Брянчанинов), სვატიტე. ი ცდესა და ცნამენთა. II. სტ. 3

23 ფეოფან ვატვორიკ, სვატიტე. ი ცდესა და ცნამენთა. VI. სტ. 1018

24 ზორინი კანგალის განიკურნო? თბ., 2003 წ. გვ. 30

25 არაკლისი კოველგვარ სნეულებასა ზედა, თბ., 2002 წ. გვ. 17

კიდევ ერთხელ ხილულ ისტორიულ სასწაულებზე, რომლებზეც გვიამბობს წმიდა წერილი. „... აპა კაცი სავსე კეთროვნებითა. ვითარცა იხილა მან იქსუ, დავარდა პირსა ზედა ოვსსა, ევედრებოდა მას და ეტყოდა: უფალო, უკუეთუ გინდეს, ძალ-გიც განკურნებად ჩემდა. და განყო ხელი, შეახო მას და პრქუა: მნებავს, განწმიდენი! და მეყსეულად განეშორა კეთროვნება იგი მისგან.“ (ლპ. 5, 12-13). წმ. თეოფილაქტე (ბულგარელი) ასკენის, რომ „კეთროვანი მივიდა იქსოსთან არა როგორც მხოლოდ ექიმთან, არამედ თვით უფალთან და ღმერთთან, ანუ ყოველთა სულთა და სხეულთა მკურნალთან“²⁶... ამავე დროს, ეს დიდი გაკვეთილია ჩვენთვისაც, რამდენადაც ავადმყოფობის დროს გმართებს მოთმინება, რამეთუ კეთროვანი სწორედ ასე მოიქცა, როცა იქსო კაპერნაუმის გზაზე ქადაგებდა და მან (კეთროვანმა) კი არ შეაწყვეტინა ქადაგება ქრისტეს, არამედ დაიცადა ბოლომდე და როცა იქსო ჩამოვიდა შემაღლებული ადგილიდან, მაშინ ითხოვა განკურნება.²⁷

„და მოჰყურიდეს მას ყოველთა ბოროტად სნეულთა თითო-სახეთაგან სენთა და გუემითა შეპყრობილთა და ეშმაკეულთა და ცისაძ-ცისად გუემულთა და განრღუეულთა, და განკურნა იგინი“ (მთ. 4, 24; მარკ. 6, 55). ეკლესის მამათა სწავლებით „მიყავდათ მასთან შეპყრობილნი ბოროტი ძალებისაგან, დვთის დაშვებით რომ უფლებოდა ხალხს მათი არაწმინდა და ცოდვილი ცხოვრებისათვის“²⁸. როგორც ჩანს, უფალი ყველას კურნავდა არა ადამიანური ძალით, არა რაიმე სამკურნალო ხელოვნებით, არამედ თავისი ყოვლისმომცველი დვთაებრივიდიურებით. ამდენად, ქრისტე ღმერთს მისდევდნენ სასოებით, რომ მას შეეძლო მათვის შეენდო შეცოდებანი და ამის შემდეგ განეცურნა ისინი (შედარ.: მთ. 8, 28-32; მარკ. 1, 24).

„და აპა ესერა კეთროვანი ვინე მოუხდა, თაყუანის-სცემდა მას და ეტყოდა: უფალო, უგუეთუ გინდეს, ძალგიც განწმედა ჩემი. და მიყო ხელი თვისი იქსუ, შეახო მას და პრქუა: მნებავს, განწმიდენი! და მეყსეულად განწმიდნა იგი კეთროვნებისა მისგან“ (მთ. 8, 2-3; მარკ. 1, 40-45; ლპ. 5, 12-14). წმიდა წერილის ამ ნაწილთა განმარტებისას, ეკლესის მამები განმარტავენ, რომ განღვეულმა იმედით შეხედა „თავისი ცოდვების შემცნობს, ეხლა გაუბედავად რომ უმზერდა ყოველივეს მკურნალ იქსოს: ნუ გეშინინ, შვილო! მოგეტევნენ შენ ცოდვანი შენნი“, რომლებიც აშფოთებენ საცოდავ მის სულს.²⁹ ანალოგიური გეხდება მარკოზ მახარებლის თხრობასთან, როცა „... იხილა იქსუ სარწმუნოებად იგი მათი და პრქუა განრღუეულსა მას: შვილო, მიგეტევნენ შენ ცოდვანი შენნი!“ (მარკ. 2, 5), კვლავ მეორდება მთავარი აზრი: ჯერ უნდა განიწმიდოს კაცი ცოდვებისაგან და მათი მიტევების შემდეგ შეუძლია მას სრულიად განიცურნოს!³⁰ საყურადღებოა ერთი ფაქტიც. კერძოდ, მარკოზის სახარების მე-2 თავის დასაწყისში მოთხოვნებილი განღველის განკურნების ისტორიიდან - „და იხილა იქსუ სარწმუნოებად იგი მათი და პრქუა განრღუეულსა მას: შვილო, მიგეტევნენ შენ ცოდვანი შენნი!“ (მარკ. 2, 5) - ყურად უნდა ვიდოთ ერთმანეთის გულისთვის ლოცვა დვთის წინაშე, რამეთუ ქრისტემ სწორედ ასეთი შემწეობისთვის და რწმენისთვის დააჯილდოვა სნეული სრული კურნებით.

„38 წლის განმავლობაში მძიმე უძლეურებაში მყოფი განრღვეული, მისი რწმენა დვთისა და სასოება შეწევნისა, გასაოცარია - 38 წლის ტანჯვამ და წარუმატებლობამ განკურვის მცდელობაში ვერ შეარყია მასში რწმენა და სასოება. ... მისი რწმენა დაჯილდოვდა და ის

²⁶ ნეტარი თეოფილაქტე ბულგარელი, ლუკას სახარების განმარტება, ნაწილი 1, თბ, 2008 წ. გვ. 61. შედარ.: ლპ. 8, 24; მარკ. 1, 40-44

²⁷ www.lopbible.narod.ru

²⁸ მათეს სახარების განმარტება წმ. მამათა სწავლებით, I-XIV თავი, თბ., 1998 წ., გვ., 103

²⁹ იქვე გვ. 289

³⁰ ანალოგიურად, მრავალთა განკურნების ფაქტს ვხდებით წმ. წერილში. შედარ.: მთ. 15, 30; ლპ. 19, 42; ქს. 35, 5-6

ბოლომდე განიკურნა. ადამიანთა უმრავლესობა ისეთი სულმოკლეა, რომ სულ მცირე დაყოვნებაც კი ლოკით თხოვნის შესრულებაში შეუძლია სასოწარკვეთამდე მიიყვანოს ისინი“.³¹

ცხრილი 1

ჯანდაცვაზე გამოყოფილი სახელმწიფო ხარჯების დინამიკა³²

წწ.	სახელმწიფო ხარჯი, ლარი	მოსახლეობის რიცხოვნობა, ააცი	სახელმწიფო ხარჯი, ლარი	საავადმყოფოებში საწოლების რიცხვი, ათასი	ერთი ავადმყოფის საავადმყოფოში ყოფნის ხან- გრძლივობა, დღე	პირველადი სამედიცინო დახმარება გაეტა
2000	-	-	-	21,2	10,1	150645
2001	75289377	4401400	17,11	19,6	9,7	135539
2002	88149076	4371500	20,16	18,3	9,7	162376
2003	108523170	4342600	24,98	18,2	9,2	192641
2004	129918666	4315200	30,11	17,8	8,6	218188
2005	195665836	4321500	45,28	17,1	7,7	453422
2006	254458206	4401300	57,81	16,5	7,4	683003
2007	255481604	4394700	58,13	14,6	7,3	726779
2008	285264100	4382100	65,10	14,1	6,8	796579

როგორ მოქმედებს რწმენა დაავადებაზე? „და ვითარცა მოვიდეს იგინი ერისა მის, მოუ-
ვიდა მას კაცი ერთი, მუხლი დაიდგინა მის წინაშე და ეტყოდა: უფალო, შეიწყალე ქე ჩემი,
რამეთუ ცისად-ცისად ბოროტად იგუემების, რამეთუ მრავალ-გზის შთავარდის იგი ცეცხლსა
და მრავალ-გზის წყალსა. და მოვპარე იგი მოწაფეთა შენთა, და ვერ შეუძლეს განკურნებად
მისა“ (მთ. 17, 14-16). წმ. მამათა განმარტებით ჩანს, რომ ავადმყოფის მამის ურწმუნოება იყო
იმის მიზეზი, რომ „ბოროტი ძალა არ გამოდიოდა მისგან... იგი (იესო ქრისტე) აჩვენებს (მო-
ციქულებს), რომ რწმენით შეუძლიათ მათ განკურნონ ავადმყოფი...“³³ ეს აზრი მტკიცდება სხვა
ადგილზე, კერძოდ: „.... ხოლო თავადმან პრქუა მას: ასულო, სარწმუნოებამან შენმან გაცხოვნა
შენ, წარვედ მშვიდობით და იყავ შენ ცოცხალ გუემულებისაგან შენისა“ (მარკ. 5, 34; შედარ.,
მარკ. 9, 26; მარკ. 11, 46)

ცხრილი 2

მოსახლეობის საშუალო თვიური ხარჯები³⁴ (მლნ. ლარი)

წელი	ქალაქად	სოფელიად	ქვეყანაში
2004	9,0	6,6	15,6
2005	11,8	8,0	19,8
2006	13,7	9,8	23,5
2007	17,1	10,8	27,9
2008	20,8	17,8	38,5

სულიწმიდის ძალით განმტკიცებული და ლვთაებრივ ძალაში (ცოდვათა მიტევებაზე)
დარწმუნებული პეტრე მოციქული პირდაპირ მიმათვას ავადმყოფს, რომ „.... ვეცხლი და ოქრო
არა მაქუს ჩუენ, ხოლო რომელი მაქუს, გცეთ შენ სახელითა იესუ ქრისტე ნაზარეველისათა:
აღდეგ და ვიდოდე!“ (საქმ. 3, 6; შედარ., საქმ. 9, 34). ლეთის შემწეობით, ქრისტიან მოძღვართა

31 საკირაო სახარებათა განმარტება, თბ., 2001 წ., გვ. 48

32 წყრო: www.statistics.ge; www.moh.gov.ge; www.mof.ge


33 გათქს სახარების განმარტება წმ. მამათა ხუაგლებით, I-XIV თავი, თბ., 1998 წ., გვ. 57

34 წყარო: www.statistics.ge; www.moh.gov.ge; www.mof.ge

მიერ ავადმყოფთა მკურნალობის უნარი წმ. წერილში მრავლადაა: „უძლურ თუ ვინმე არს თქუენ შორის, მოუწოდენ ხუცესთა ეკლესიისათა და ილოცონ მის ზედა და სცხონ მას ზეთი სახელითა უფლისამთა. და ლოცვა მან სარწმუნოებისამან აცხოვნოს სწეული იგი და აღადგინოს იგი უფალმან. დადაცათუ ცოდვა რამე ექმნეს, მო-ვე-ეტეოს მას“ (იაკ. 5. 14-15; შედარ.: ფს. 6, 5; 7, 2; 21, 22).

გრაფიკი 1


**ჯანდაცვაზე გამოყოფილი სახელმწიფო ხარჯების მშპ-ს
მოცულობასთან ფარდობის დინამიკა 2004-2008 წწ. (%-ში)**



აქ იაკობ მოციქული აძლევს კურთხევას მორწმუნებს და, მთლიანად, ეკლესიის მსახურებს, რომ დაავადების შემთხვევაში მოუწოდონ არა ყველას „სამკურნალო რიტუალის ჩასატარებლად“ (საიდუმლოების, კერძოდ, ზეთის ცხებისათვის), არამედ მხოლოდ განსაკუთრებულ სასულიერო პირებს, რომლებსაც აქვთ მოციქულთაგან უწმვეტი ხელდასხმა მღვდლობისა³⁵ და ისინი ამ სადუმლეობას (ზეთის ცხებას) ადასრულებენ იქსო ქრისტეს სახელით, რამეთუ „გან-უკუ-იზრახეთ, რომელმან-იგი ესვითარი დაითმინა ცოდვილთაგან მისა მიმართი იგი სიტყვის-გება, რამთა არა დაშურეთ სულითა თქეენითა და მოპედგრდეთ“³⁶ (ებრ. 12, 3)

გრაფიკი 2

მოსახლეობის საშუალო თვიური ხარჯების დინამიკა 2004-2008 წწ. (მლნ. ლარი)



დვთის მიერ დაშვებული სწეულებანი ან ბუნებრივ მიზეზთა სახით წარმოიშვებიან (შედარ.: ტობ. 2, 9-10), ან წმიდა ანგელოზების მოქმედების შედეგად (შედარ.: საქმ. 12, 21-23). საერთოდ კი, ეკლესიის მამათა სწავლებით: „უფალი იყენებებს ავადმყოფობას ყოველთვის თავისი განგებულების აღსრულების იარაღად. მათ შორის:


³⁵ www.lopbible.narod.ru

³⁶ სხვაგან: „... ეშმაკნი მრავალნი განასხნეს და სცხებდეს ზეთსა მრავალთა სწეულთა და განკურნებდეს“ (მარკ. 6, 13)

- დასასჯელად (შედარ.: 1, 27-30)
- გამოსასწორებლად (შედარ.: 1 კორ. 5, 1-5)
- ცოდვის „პრევენციისათვის“ (შედარ.: 2 კორ. 12, 7-16)
- გამოსაცდელად (შედარ.: იობ. 1-2)
- ღვთის დიდების გამოსავლენად (შედარ.: მთ. 8, 2-4; 28-34; 9, 20-24; 27-30; 21, 14... მარკ. 1, 23-25; 2, 3-5; 6, 55-56; 8, 22-23; 9, 9, 17-26; 10, 46-52... ლკ. 5, 12-14; 7, 2-10; 8, 27-32 და 43-48; 9, 38-42; 13, 11-13... ინ. 4, 46-52; 5, 3-9; 9, 1-6...)

გრაფიკი 3


საავადმყოფოებში საწოლების რიცხოვნობის დინამიკა 2000-2008 წწ., (ათ.)



„არამარტო ცალკეულ ცოდვას, არამედ ყოველ ცოდვილ მოქმედებას საკუთარი, მხოლოდ მისთვის განკუთვნილი ავადმყოფობანი უკავშირდება... ვნებები და ცოდვები საუკუნეების მანძილზე მთელ გვარეულობებში ნერგავდნენ სნეულებებს...“³⁷ წმ. იოანე ოქროპირის სიტყვებით: „სულის გარევნა სხეულის დაავადებათა მიზეზია. ამ კავშირში ცოდვას უნდა შევხედოთ, როგორც ანომალური პიროვნული რეაქციების, სტრესების, შიდაპიროვნული კონფლიქტებისა და ზნეობრივად უარყოფითი ემოციების ნიადაგს. ხოლო ამის კვალობაზე, როგორც იმ სომატური და ფსიქიკური სნეულებების საფუძველს, რომლებიც მათთანაა დაკავშირებული“³⁸.

გრაფიკი 4

ერთი ავადმყოფის საავადმყოფოში ყოფნის ხანგრძლივობის დინამიკა 2000-2008 წწ., (დღ.-ში)



ჯანდაცვაზე სახელმწიფო ხარჯების ზოგადი მაჩვენებლების 21-ე საუკუნის დინამიკა მართალია ზრდადია, კერძოდ იზრდება ერთ სულ მოსახლეზე სახელმწიფო ხარჯების


³⁷ Иоаким (Борисов) Архиепископ Херсонский, «О грехе и смерти», М., 1996 г., ст., 86-87

³⁸ ზორინი ა., გნებავსა რათა განიკურნო? თბ. 2003 წ., გვ. 54

დინამიკა და მან 2000-2008 წწ. საშუალო განვითარების მატებამ შეადგინა 21%, თუმცა მოსახლეობის ჯამრთელობის დაცვის სურათი (საერთო ჯამში, ფასების საერთო მატების ფონზე) მაინც არასახარბიელო. ამაზე მეტყველებს ისიც, რომ მოსახლეობამ თავი დაანება საავადმყოფოებში აუცილებელ, მაგრამ „ხანგრძლივ“ მკურნალობას (მოიკლო ერთი ავადმყოფის საავადმყოფოში ყოფნის ხანგრძლივობის დრომ), შესაბამისად, მცირდება სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული საავადმყოფოებში საწოლების რიცხვი, სამაგიეროდ იზრდება უფასო სასაწრაფო დახმარების მომსახურების ბრიგადების გამოძახება და მან მხოლოდ 2004-2008 წწ. შეადგინა 38,2% საშუალო განვითარება (იხილეთ ცხრილი №1 და გრაფიკი №1). არადა, პრაქტიკაში, დავთის შემწეობით, ექიმთან კონსულტაციის და მკურნალობის სრული კურსის ჩატარების გარეშე სრული განკურნება შეუძლებელია.

გრაფიკი 5


ჯანდაცვაზე გამოყოფილი სახელმწიფო ხარჯების დინამიკა 2001-2008 წწ. (ერთ სულზე, ლარი)



ცხრილი №1 და №2-ს შედეგებიდან გამოდინარე, ნათელია ეროვნული შემოსავლის რა დანაკარგებობა გვაქვს საქმე, ამიტომ ხელისუფლება უპირველესად უნდა ზრუნავდეს საკუთარი მოსახლეობის „ჯამრთელ ცხოვრებაზე“. როგორც პრაქტიკამ აჩვენა, სახელმწიფოს მზრუნველობა მოსახლეობის ასეთი ყოფისადმი უმნიშვნელოა (გარკვეული პირობების გამო). ამ მიზე მდგომარეობიდან გამოსავლის რაიმე განსაკუთრებული გზის ძებნაც არაა საჭირო. აქ უალტერნატივი თითოეული ჩვენეთაგანის ქრისტიანული ცხოვრების წესით ცხოვრებაა!

გრაფიკი 6

პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევის დინამიკა 2000-2008 წწ.




სოციალურ-ეკონომიკური მიმართულებების დონისძიებების დაგვიანების ფონზე, აუცილებელია თვითონ ინდივიდებმა, მოქალაქეებმა იზრუნონ თავიანთ ჯამრთელობაზე, მაგრამ

ეს პროცესი მოსახლეობის შემოსავლების ასეთ პირობებში შესაძლებელია? (იხ. ცხრილი №2 და გრაფიკი №2).

გრაფიკი 7

მოსახლეობის ავადობის მაჩვენებლის დინამიკა 2003-2008 წწ. (%-ში)



გრაფიკი №2 ით ჩანს, რომ როგორც ქალაქები, ისე სოფლად შემოსავლები მუდმივად იზრდება, მაგრამ მისი ზრდის ტემპი ვერ უზრუნველყოფს ხანგრძლივ მკურნალობის ხარჯებს (იხ. გრაფიკი №3 და №4), მიუხედავად ჯანდაცვაზე გამოყოფილი სახელმწიფო ხარჯების ზრდისა (იხ. გრაფიკი №5). საბოლოო ჯამში, ყოველივე ეს აისახა სასწრაფო დახმარების ბრიგადების გამოძახების მკვეთრ ზრდაში, რადგან უფასოა! (იხ. გრაფიკი №6)

მკვეთრად განსხვავებული დიფერენციაცია ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის საშუალოთვიურ შემოსავლებსა და ხარჯებს შორის (იხ. ცხრილი №2) ნიშანია სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაურესებასა. რეგისტრირებულ დაგვადებათა რიცხოვნობის კლებადი დინამიკა (იხ. გრაფიკი №7) მეტყველებს არა ჯანმრთელობის დონის გაუმჯობესობაზე, არამედ სააფთიაქო და სტაციონარული ხარჯების მკვეთრ ზრდაზე, შესაბამისად, სრული სამედიცინო ხარჯების მიუწვდომელობაზე.

კრიზისულმა სიტუაციებმა, უმუშევრობამ, ფასების ზრდამ თავის კვალი დააჩნია მოსახლეობის უდიდესი ნაწილის არასრულფაოვან კვებასა და ჯანმრთელობას, ამიტომ მოსახლეობამ დაიწყო „დამოუკიდებელი მკურნალობა“ და ავიწყდებათ, რომ „ჯანმრთელობაც და ავადმყოფობაც, თუკი მათ სარწმუნეობით მოვიხმართ, დავთის განგებულების ხელში მხოლოდ ჩვენი სხინის საშუალებებია, მაგრამ თუ თვითნებურად მივუდგებით, ჩვენი დაყუპვაც შეუძლია“³⁹. როგორც ჩანს, დაავადებათა ფიზიკური მკურნალობა ადამიანებს ნამდვილად უჭირთ, სამაგიეროდ პიროვნული მონდომებით მათ შეუძლიათ სულიერად გაძლიერდნენ და ასე ძლიონ მათ. რამდენადაც თანამედროვე მეცნიერთა მნიშვნელოვანი ნაწილი თვლის, რომ სხეულს აქვს სულიერი წყარო და არსებობს მისი მიუწვდომელი საწყისი, ამიტომ ყველა დაგვადება ამ უხილავი საწყისის დაზიანებიდან იღებს სათავეს, ვიდრე ის მთელი და დაუზიანებელია. შესაბამისად, აუცილებელია ჩაგრვდეთ იმ აზრს, რომ სხეულობას აქვს სულიერი მხარე და მისი სწრაფად „მოგვარება“ პირდაპირი წამალია.

სწორები და უძლეურობი განკურვნის სახარებისეული ყველა ფაქტი მეტყველებს, პირველ რიგში, ერთ ფაქტზე - უფალი ოდენ ერთი სიტყვით, ხელის შეხებით... კურნავს და აღადგენს მათ, დავთისადმი მდაღადებლებს და მორწმუნებს, ანუ მოწმობს იქსო ქრისტეს ღვთაებრიობაზე! „როგორი მძიმე არ უნდა იყოს ჩვენი მდგომარეობა სულის, სხეულისა თუ ცხოვრე-

39 ზორინი კ, გნებავს რათა განიკურნო? თბ., 2003 წ., 29

ბის გარემოებათა მიხედვით, ჩვენ უნდა შეგნებული გვქონდეს ჩვენი მძიმე მდგომარეობა, მაგრამ არ უნდა ვსულმოკლეობდეთ, არ ვჭმუნვარებდეთ და სასოს არ წარვიკეთდეთ, არმედ უფრორე შევიგრძნობდეთ საკუთარი უღირსობის, უძლურებასა და არარაობას, და ამის გამო მით უფრო გულმოდგინეთ ვლოცულობდეთ უფლის წინაშე და შეწევნას ვევედრებოდეთ მას... თუკი ჩვენ ამის ღირსნი ვიქნებით და ყოვლადმდლიერი ინბებს, მას თავისი ნების ერთი მცირე მოძრაობით ძალუმს განკურნოს ჩვენი უმძაფრესი სნეულება, ნუგეში მოანიჭოს დამწუხერებულთ, მძიმე მდგომარეობათაგან. მას ყოველივე ძალუმს მისთვის არაფერია საძნელო თუ შეუსრულებელი“⁴⁰.

„ჯამრთელი სული იცავს და იფარავს თავის სხეულს, მაგრამ, როგორც კი უფალთან მისი კავშირი შეირყევა, როგორც ცუდად დაცულ ციხე-სიმაგრეში, დამანგრეველი ძალები შეიჭრებიან. ამიტომ, ბუნებრივია, ვიდრე სხეულს კურნევას მიმადლებდა, იესო ქრისტე მუდამ შეასხენებდა მას ავადმყოფობის მიზეზს, რომ მან საკუთარ სხეულში ავადმყოფობის საწყისი თავად შეიტანა, როდესაც სული ცოდვით დაიზიანა“⁴¹. წმიდა წერილში მოტანილი სნეულთა კურნების ეპიზოდების განხილვით კრწმუნდებით, რომ უფალი კურნავს მხოლოდ ერთი პირობით - ადამიანი კვლავ უნდა აღორძინდეს რწმენაში და ეს ჩვენთვის ჭეშმარიტი მაგალითი და სწავლება უნდა იყოს!

„უფალო ღმერთო, ჩვენო მაცხოვარო! ჩვენ ყველანი ცოდვილები ვართ შენს წინაშე; ჩვენც მოგეხედე შენი მოწყალე თვალით! მოანიჭე ჩვენს გულებს სალმობიერობა და შემუსრვილობა ცოდვათა გამო! ჩვენს უძლურ სულებსაც მომართე შენი ყოვლადმდლიერი სიტყვებით და ჩვენც გვარქვი: „აღდექ!“ რათა დაუბრკოლებლად ვიდოდეთ შენი მცნებების ნათელში.“
მდვდ. გრიგოლ დიახენკო

40 საკურაო სახარებათა განმარტება, თბ., 2001 წ., გვ., 50

41 ოჯახის ექიმი-2, მოძღვრის რჩევა-დარიგებანი და პრაქტიკოსი ექიმის რჩევები, თბ. 2009 წ., გვ. 5

ეთიკა პიზნაში

XXI საუკუნე საქართველოს წინაშე აყენებს მრავალ გამოწვევას, რომელთაგან უმნიშვნელოვანესია ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის შექმნა და განვითარება. დღეისათვის საქართველოს ეკონომიკაში სატაროდ მოიკიდა ფეხი ბიზნესმა, უფრო მეტად მცირე ბუზნესმა. მიზანშეწონილად მიმაჩნია სტუდენტი კარგად უნდა ერკვეოდეს ბიზნესის, ეთიკისა და ბიზნესის ეთიკის არსეში.

სამეცნიერო და სხვა საცნობარო წყაროებში „ბიზნესი“ ინგლისური წარმოშობის სიტყვაა (business) და ნიშნავს საქმიანობას, როგორც პირადი გამდიდრების წყაროს, აქედან „ბიზნესმენი“ (businessman) – პირი, რომელიც ბიზნესს მისდევს.

დღეს სამამულო და საზღვარგარეთულ ლიტერატურაში ცნობილია ბიზნესის სხვადასხვაგვარი განმარტება:

- ბიზნესი – ეს ადამიანის საქმიანობა, რომლის მიზანია შემოსავლის მიღება თავისი ცოდნის, გამოცდილების, თავისი კაპიტალის გამოყენების დახმარებით, ეს არის ადამიანის პოტენციალის რეალიზაცია ეკონომიკურ ასპექტში, ბიზნესმენის საქმიანობის შეფასების ერთ-ერთი მთავარი კრიტერიუმი არის მოგების მიღება. ეს იმას ნიშნავს, რომ მოგების მიღება შეიძლება დაკავშირებული იყოს მომსახურების გაწევასთან. მოგება გვიჩვენებს ბიზნესმენის საქმიანობის ეფექტიანობას;
- ბიზნესი – ეს საქმის გაძლილის სისტემა და ადამიანებისათვის საჭირო პროდუქციის, მომსახურების წარმოებაა;
- ბიზნესი – ეს არის წარმოების სისტემა, რომელიც ჩვენ შევქმნით ჩვენი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად;
- ბიზნესი – ეს არის ფულისაგან ფულის კეთების უნარი, მაგრამ აუცილებლად სასარგებლო მწარმოებლური გამოყენების მეშვეობით;
- ბიზნესი – სხვა არაფერია, თუ არა სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო, ვაჭრობის, საყოფასცოვრებო მომსახურების, ბანკის, იურიდიული კონსულტაციის, სამეცნიერო კვლევით და საცდელ-საკონსტრუქციო დაწესებულების, საგამომცემლო, სასწავლო-სააღმზრდელო და სხვა საწარმოების თუ დაწესებულების შექმნა.

პროფ. ს. ყამარაულის განმარტებით „ბიზნესი (ინგლ. - business) – საქმე, საქმიანობა, არის საკუთარი ან ნასესხები საშუალებების ხარჯზე განხორციელებული ინიციატივიანი, დამოუკიდებელი ეკონომიკური საქმიანობა, დაწესებული რისკისა და ქონებრივი პასუხისმგებლობის საფუძველზე, რომლის მთავარი მიზანია მოგების მიღება, საკუთარი საქმიანობის განვითარება, აგრეთვე საქონლის გასაღება, სამუშაოს შესრულება მომსახურების გაწევა. მეწარმის ძირითადი ნიშან-თვისებები, რომლებითაც იგი განსხვავდება ეკონომიკური საქმიანობის სხვა ფორმებისაგან, არის:

1. დამოუკიდებლობა, პასუხისმგებლობა, ინიციატივა, რისკი, დინამიკურობა;

2. საწარმოები, ფირმა ან საწარმოთა ერთობლიობა, რომელთა განსაზღვრული სახის საქმიანობის განხორციელების შედეგად დებულობენ მოგებას.

ჩვეულებრივ ისინი განცალკევებული მცირე და საშუალო ზომის საწარმოებია, რომლებიც ადმინისტრაციულად არ არის დამოკიდებული სახელმწიფო ან სხვა უწყებებზე და ორიენტირებულია ბაზარზე“.

მას შემდეგ, როდესაც სტუდენტებს გავაცნობთ ბიზნესის მცნებათა ნაირსახეობას ცუდი არ იქნება, გავარკვიოთ, რა არის ეთიკა და არის თუ არა ის შესაბამისობაში ბიზნესთან.

ეთიკასთან პირდაპირ კავშირშია მრავალი სიტყვა, მათ შორის მორალი, პიროვნების მთლიანობა, პატიოსნება, ჭეშმარიტება, რწმენა, მოვალეობა, კეთილშობილება, ზრდილობა, პატივისცემა, უშიშრობა, სიმამაცე, სიფრთხილე, ლოიალობა, სიკეთე, ერთგულება, ცნობიერება . . . მაგრამ ამ სიტყვების უმრავლესობა აღწერითი ხასიათისაა. ეს სიტყვები სწორია, ლამაზია, მაგრამ კონკრეტული დეფინიციის გარეშე. იმიტომ საჭიროა ეთიკის „სამუშაო“ განმარტება, რომელიც მოგვეხმარება ამ სიტყვებს შორის განსხვავების გამოვლენაში.

ეთიკა ჩვენი პატიოსნების და ფასეულობების უმაღლესი სტანდარტია; ეს სტანდარტი ჩვენს მორალზე, პერსონალურ ფილოსოფიაზე დაფუძნებული. ეთიკა ჩვენი მოღვაწეობისა და ცხოვრების ძირითადი სამუშაო პრინციპია. როგორ ვიქცევით, რას ვაკეთებთ, როგორ მეთოდებს და მიღეომებს ვხმარობთ, პრაქტიკაში როგორ ვიყენებთ ჩვენს მორალს – ეს ყველაფერი ჩვენს ეთიკურ ქცევას განაპირობებს. ამგვარად, ეთიკა მორალის აპლიკაციაა. რამდენადაც მაღალია ბიზნეშინის ეთიკური ქცევა, მით უფრო ძლიერია ის. პარი გრეი, გაერთიანებული ტექნოლოგიების პრეზიდენტი ამბობს: „ცალკეული ინდივიდუუმების საქციელი განსაზღვრავს ერთს საქციელს და სახელს“.

შემ კიდევ სოკრატემ „დიალოგებში“ ყურადღება მიაქცია იმ ფაქტს, რომ ეთიკა თავისი არ სით პარადოქსულია. ეთიკის ფილოსფიური საფუძველი არის კეთილისა და ბოროტის გაყოფა.

სოკრატეს იდეის სიღრმე იმაში მდგომარეობს, რომ ეთიკის სწავლება არ შეიძლება. არ შეიძლება მისით, როგორც აბსტრაქტული სისტემით ხელმძღვანელობა. შესაძლებელია მისი მხოლოდ განცდა. ეთიკა მხოლოდ იმის კოლექტიური „გამოსახულებაა“, რაც ჩვენ განვიცავთ. შესაბამისად საკუთარი მორალური პრინციპები რომ შეიმუშაოს, საზოგადოებამ ბევრი ცუდი და კარგი სიტყაცია უნდა გადალახოს. ცხადია ეს მტკიცება ეხბა ბიზნესსაც, როგორც საზოგადოების ნაწილს.

ის, რაც გუშინ იყო ეთიკური, ხვალ შეიძლება უკვე აღარ იყოს ეთიკური. ნორმებზე დაფუძნებული ეთიკის შექმნის მცდელობები ახლაც მიმდინარეობს, მაგრამ კაცობრიობის მთელი გამოცდილება ადასტურებს, რომ ასეთი რაციონალური კონსტრუქცია ამჟერუჟებს საზოგადოების განვითარებას და ახლის დაბადებას ხელს უშლის.

საქმის მთელი არსი ის არის, რომ ამა თუ იმ მოვლენისათვის მორალური შესვასების მიცემისას, ჩვენ მივდივართ სქემამდე - „სიკეთე-ბოროტება“, ანუ შავ-თეთრ აზროვნებამდე. ცხოვრება კი ადგილებზე არ დგას, ის მუდამ იცვლება და შედეგად, კონსტრუქცია „სიკეთე-ბოროტება“ სამკუთხედად - „სიკეთე-ბოროტება-თავისუფელება“ იქცევა. თავისუფლება კი ყოველთვის ეწინააღმდეგება ნორმებს, მათ შორის ეთიკას, როგორც ნორმის დაფიქსირების მცდელობას. ეს ეთიკის პარადოქსია.

ამასთან, ეთიკა იხრება ირაციონალურისაკენ, რადგან ეს არამატერიალური სუბსტანციაა. ჩემი მორალური ალლო მკარანახობს: უსამართლობაა ბონუსების მიცემა მათოვის ვინც კომპანია დაშალა. მაგრამ ეს არარაციონალური შემადგენელია. გონება კი ამბობს: არის კი ეს კანონის დარღვევა? გამოდის, რომ ერთი მხრივ, ეთიკა ეს ჩვენი ემოციებია მეორე მხრივ კი, რადაც რაციონალური წყობა. ამ სისტემის გაერთიანება არ შეგვიძლია. რა გამოდის? ჩვენ ვცდილობთ „შევამოწმოთ“ ესა თუ ის მოვლენა მოძველებული მორალური კოდექსებით, მათი ბრძანი მიმდევრობა კი ხელს გვიშლის განვითარებაში.

მაშინ როგორ გაგიგოთ სინამდვილეში რა არის ეთიკური და რა არა? კრიზისმა ბევრი რამე გადაგვაფასებინა. გადაფასდება ეთიკის გაგებაც. თუმცა რომელი მიმართულებით – უცნობია, მაგრამ არის პოზოტიური ტრენდი: მეწარმეების თვითშეგნების გაძლიერება. კორპორაციული კოდექსები ეს არის მორალურ-ზენობრივი დილემის გადაჭრის მცდელობა, რომლებიც კანონის მიღმა გადის. ამ თვალსაზრისით ეთიკა არის ბიზნესის უნარი, საკუთარი თავი აღიქვას მის ახლანდელ მდგომარეობაში და საკუთარი განვითარების ვექტორი განსაზღვროს.

ეთიკის კოდექსი გამოიყენება სხვადასხვა პროფესიულ საქმიანობაში შიდა რეგულაციისათვის, როგორც კანონის ალტერნატიული მექანიზმი – სახელმძღვანელო. მას არ გააჩნაა კანონის ძალა და ემყარება ადამიანთა ჯგუფის მიერ დადგენილ წესებს, რომელებიც თავის მხრივ ითვალისწინებენ საზოგადოებაში დადგენილ წესებს და საერთაშორისოდ აღიარებულ ნორმებს ამა თუ იმ სფეროში.

ნიუ-იორკის ბირჟაზე კრიზისის დაწყების შემდეგ ამერიკელები კანონის, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, დოგმების სრულყოფის გზას დაადგნენ. ბრიტანელებმა კი ეთიკურ ნორმებზე მუშაობა დაიწყეს. რა თქმა უნდა, მათ არ აქვთ იურიდიული ძალა და არვინაა ვალდებული მათ დაემორჩილოს, მაგრამ დამრღვევებმა უნდა ახსნას თავისი საქციელი.

თუ ამ ლოგიკას გავყვებით, მაშინ ბიზნესში ეთიკა წარმოჩინდება, როგორც კოლექტიური თვითშეგნების ფორმა და ბიზნესი ეთიკური იქნება ზუსტად იმდენად, რამდენადაც მისი თვითშეგნებაა განვითარებული. ასეთი ეთიკური სისტემა გახდება მუდმივად ცვალებადი კოორდინაცია სისტემა, რომელსაც თავად ბიზნესი დაარეგულირებს.

ბიზნესში ბევრი არაეთიკური პიროვნება მოღვაწეობს, მაგრამ არ შეიძლება ამის გამო გავაკრიტიკოთ უპირობო ყველა ბიზნესმენი. მცირე და მსხვილ ბიზნესში გაცილებით მეტნი არიან მაღალეთიკური ბიზნესმენები.

ქვეყანაში, რომელიც ამაყობს თავისუფალი ბაზრით, თავისუფალი მრეწველობით, თავისუფალი შემოქმედებით, არ შეიძლება იცხოვროს ისე, რომ ბიზნესის ეთიკა მერყეობდეს ფარგლებში - სწორი და არასწორი. ბიზნესს და ერს, ორივეს პქმნის ინდივიდები, რომლებმაც ყველთვის უნდა იხელმძღვანელონ ეთიკური წესებით: როგორ იცხოვრონ და როგორ აკეთონ ბიზნესი?

პეტერ დრაკერი, თანამედროვე ბიზნესის მენეჯმენტის ერთ-ერთი ფუძემდებელი, ამბობს: „თუ გარემოული მოქმედება დეგალურია, ეს კიდევ არ ნიშნავს, რომ ის ეთიკურია“. ეს ძალიან გავრცელებულ გამოთქმად იქცა. რა თქმნა უნდა, არ უნდა არსებობდეს განსხვავება ეთიკურსა და ლეგალურს შორის: ყველაფერი ლეგალური იმავდროულად ეთიკური უნდა იყოს. მაგრამ ასეთი განსხვავება მართლაც არსებობს. როცა ბიზნესი შეჯიბრის გარემოში კეთდება,

წარმატების მისაღწევად, ხშირია მოწინააღმდეგის დაჯაბვნა. ეს ხდება დიდი მოგების მიღების მიზნით. მაგალითად, ერთი მილიონი დოლარიდან ხუთი მილიონი დოლარის მისაღებად. ასეთ პირობებში ძალიან ძნელია მაღალ ეთიკაზე საუბარი და ეთიკის მაღალი ნორმების დაცვა.

როგორ უნდა გავიგოთ: არის გარკვეული საქციელი სწორი, ტაქტიკური ნაბიჯი, თუ მის უკან სკურპულოზურად გათვლილი, მხოლოდ მოგებაზე ორიენტირებული, კომერციული წინა-დადება?

ერთ-ერთი გზა, სწორი პასუხის მისაღებად, არის ვკითხოთ საკუთარ თავს: შეიძლება, რომ ეს ნაბიჯი წამგებიანი აღმოჩნდეს ბიზნესისთვის, რომელიმე ინდივიდუულისთვის? როგორ შეხედავენ ამ საქციელს ჩვენი მეგობრები, ჩვენი გუნდის წევრები? ჩათვლიან, რომ რასაც ჩვენ ვაკეთებთ, ეთიკურია? შეაფასებს ჩვენი ოპიზიცია ამ საქციელს, როგორც ეთიკურს? არის კი ჩვენს საქციელში ჯანსაღი შეჯიბრების სული?

„შეიცან თავი“ - ძველი წელთაღრიცხვის VII-VI საუკუნეების სპარტაში ბრძენი ქილონის ეს ქადაგებანი ყველა ეპოქის ადამიანის სახელმძღვანელო დევიზია. მისი მნიშვნელობა განსაკუთრებით დიდია თანამედროვე პირობებში. სწორედ რომ ბიზნესის დამწყები პიროვნების უპირველესი ამოცანაა, ვიდრე ბიზნესს მოკიდებს ხელს, შეიცნოს საკუთარი თავი. საკუთარი „მე“-ს შეცნობა, კრიტიკული შეფასება და მის საფუძველზე გონივრული გადაწყვეტილების მიღება წარმატებული ბიზნესის ამოსავალი წერტილის საწყისი ეტაპია. დამწყები ბიზნესმენი იძულებულია თვითონ შეაფასოს საკუთარი უნარ-ჩვევები.

ბიზნესის ძირითადი მიზანი მოგების (სარგებელის) მიღებაა. მაგრამ, როცა მოგება წარმატების ერთადერთი საზომი ხდება, ჩვენ ვკარგავთ მორალურ ფასეულობებს. თუ არაეთიკური ბიზნესის შედეგად იქმნება არასწორი სიტუაციები, რომლებიც სცილდება ჯანმრთელ შეჯიბრების, ჩვენ ჩაგუიქრდებით, დრმა განცდა გაუუფლება. ჩვენს თვალწინაა უზარმაზარი ეკონომიკური მონსტრები, რომლებიც მომავალშიც იარსებებს. ასეთ მონსტრებს შორის პირველია: ეროვნული ვალი და ვაჭრობის დეფიციტი. როდესაც ვეცნობით ეკონომიკურ და სოციალურ პრობლემებს, გვიჭირს შევიქმნათ მათზე სწორი შეხედულება, სწორი აზრი. მნელია წარმოიდგინო მილიონი ან, მითუმეტეს, ტრილიონი დოლარი. მაგრამ არ შეიძლება დაგხუჭოთ თვალი იმ ფაქტზე, რომ ამ ეკონომიკურ და სოციალურ პრობლემებში ჩართულია უამრავი ადამიანი, და, ამგვარად, ეკონომიკური და სოციალური პრობლემები რეალურად ადამიანის პრობლემებია. ამ პრობლემების გადაჭრა ადამიანების ღირებულებაზეა დამოკიდებული, ხოლო ასეთ ღირებულებებს ვქმნით ჩვენ, თქვენ. ჩვენი ეკონომიკური პრობლემები მემკვიდრეობით გადავა ჩვენს შვილებზე, გავლენას მოახდენს მათ მომავალზე, მათ სურვილზე ისტავლონ კარგ უნივერსიტეტებში ან იყიდონ სახლი; ისინი იმოქმედებენ ჩვენი მშობლების ჯანმრთელობაზე, ჩვენს შესაძლებლობაზე კარგად მოუკაროთ მათ. ამიტომ რიცხვები არ არის მხოლოდ გამოსახულება ქაღალდზე, მათ უკან ადამიანებია.

კარგია, თუ მოგება თანაარსებობს სოციალურ პასუხისმგებლობასთან. მეტიც, ასეთი თანაარსებობა აუცილებელია. მაგრამ ეს თანაარსებობა განსაბუთრებით იგებს, თუ მას თან ერთვის ეთიკის მომენტი და თანაგრძნობა. არ არის ადვილი იყო მაღალეთიკური. ძალიან ძნელია ყოველთვის იცხოვრო მაღალი სტანდარტებით. გარემოებები ყოველდღე გვაყენებს არჩევანის წინაშე: ავირჩიოთ მაღალი ეთიკა და როგორ გზა, ან შედარებით მარტივი და ნაკლებად

ეთიკური გზა, ან გადავუხვიოთ სწორი გზიდან, ან დავხუჭოთ თვალი ეთიკურ საკითხზე თუნდაც ერთი წუთით. არაეთიკური ქცევა ვლინდება ყოველდღე, სხვადასხვა სახით. ჩვენ ვხედავთ ასეთ ქცევას, შეგვიძლია მასზე მსჯელობა, უარყოფითი აზრის გამოთქმნა, დაგმობა. მაგრამ მხოლოდ აღნიშნო, რომ ეს საქციელი არაეთიკურია და არ შეეწინააღმდეგო მას – ასევე არაეთიკურია: არანაკლები და ხანდახან უფრო დესტრუქციული, ვიდრე თვით არაეთიკური საქციელი.

ნებისმიერი ეთიკური საქციელი ყოველთვის კარგი მაგალითია. ერს ექნება ბრწყინვალე მომავალი, თუ ჩვენ გმეოფა ძალა და გამბედაობა ადგზარდოთ ბიზნესმენები, რომლებიც ეთიკას პირველ ადგილზე დააყენებენ. თუ ეთიკური პიროვენა ხართ, თქვენ ყოველთვის მიიზიდავთ სხვა პიროვენებებს და ვინაიდან გამორჩეულობა უშუალო კავშირშია ეთიკასთან, თქვენ იქნებით ერთ-ერთი, ვინც გვიხელმძღვანელებს და ვისაც ეყოლება მიმდევრები.

გამოყენებული ლიტერატურა ტყაროვანი:

1. თეორუაშვილი მ., თეორუაშვილი ზ., თეორუაშვილი ი. საკუთარი ბიზნესი: პირველი ნაბიჯები. გორი, 2008 წ.
2. ქვანია ი., კიქნაძე გ., ლიდერი და ლიდერობა, თბ., 2008 წ.
3. ქამარაული ს. უნივერსალური ბიზნეს-ლექსიკონი; „მეცნიერება“ თბ., 2001 წ.
4. ხიზანიშვილი ს., ყულიჯანიშვილი ა., წიქაძე ლ. საქმიანი ურთიერთობის კულტურა; საქ. ტექნიკური უნივერსიტეტი, თბ. 2007 წ.
5. ჭიაბრიშვილი თ, პატიოსანი ბიზნესისაკენ, თბ. თსუ-ს გამოცემა, 2003 წ.
6. Петрунин Ю. Ю., Борисов В.К. Этика бизнеса. М. 2007 г.

ნახა ლუზტაშვილი


ტექნიკის აკადემიური დოქტორი
ქუთაისის უნივერსიტეტის მასწავლებელი

რეკლამა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებები

რეკლამა პასუხისმგებელი პირის მიერ მიზნობრივი აუდიტორიისათვის პროდუქტის, მომსახურების ფასიანი წარდგენა და მისი გასაღების სტიმულირებაა.

რეკლამა სათავებს შორეულ წარსულში იდებს. ერთ-ერთმა ფრანგმა კრიტიკოსმა შენიშნა რომ რეკლამის მსგავსი პირველი სცენა, როგორც ჩანს ჯერ კიდევ სამოთხეში გათამაშდა და მასში სამი პერსონაჟი მონაწილეობდა: ადამი-კლიენტი, ევა-გამყიდველი და გველი-სარეკლამო აგენტი.

რეკლამა ლათინური წარმოშობის სიტყვაა და „წამოყვირებას“ ნიშნავს. ხშირად მას სავაჭრო ძრავასაც უწოდებენ.



სპეციალისტების აზრით, თანამედროვე რეკლამა XV-XVI საუკუნის მიჯნაზე წარმოიშვა. ერთ-ერთმა ვენეციელმა გამომცემელმა მანუციმ წიგნების სათაურების ბეჭდვა და მაღაზიის შესასვლელებში თავფურცელების გამოფენა დაიწყო. ბეჭდვის შემოღებამ და წერა კითხვის გავრცელებამ რეკლამის განვითარებას დიდი სამსახური გაუწია. დაარსდა ჟურნალები, გაზეობი და მათმა მფლობელებმა განცხადებისათვის საგაზეო „მინდვრების“ გაყიდვა დაიწყეს.

სავაჭრო რეკლამის განვითარება ბაზრის მზარდი კონკურენციით არის გამოწვეული. აქ შექმნილია სპეციალური ფირმები და სააგენტოები, რომლებიც სინდიკატებს, ტრესტებსა და სავაჭრო საწარმოებს ემსახურებიან. ამ ქვეყანაში სავაჭრო რეკლამაზე უზარმაზარი თანხები იხარჯება, რაც შემდგომში რეპ-ლამის მიმცემს უდიდეს შემოსავალს აძლევს. „კოკა-კოკა“ და „პეპსი-კოკა“ შორის მსოფლიო ბაზრის დაპყრობისათვის მრავალი ათეული წლის განმავლობაში გაჩაღებული ომი „კოკა-კოკა“-ს სრული გამარჯვებით დამთავრდა, რადგან ფირმამ მოების თითქმის 95 პროცენტი რეკლამას მოახმარა. მიუხედავად იმისა, რომ ეს სასმელი არც გემოვნებით და არც ჭურჭლის დიზაინით დიდად არ გამოირჩევა, მას მსოფლიო ბაზარზე მნიშვნელოვანი ადგილი უკავია.

სარეკლამო საგნის დახასიათება მომხმარებლის პოზიციიდან უნდა ხდებოდეს, რეკლამაში უნდა აისახოს პროდუქტის სამომხმარებლო თვისებები და არა მისი დამზადების ტექნილოგია ან სხვა მაჩვენებლები.

სარეკლამო ინფორმაცია მომხმარებლისათვის მარტივი და გასაგები უნდა იყოს. მხედველობაში ყოველთვის უნდა გვქონდეს ის, რომ მომხმარებელი არ არის სპეციალისტი, მისთვის სულერთია მეწარმის თვალსაზრისით ნაკეთობის ისეთი მნიშვნელოვანი თვისებები, როგორიცაა შრომატევადობა, მასალატევადობა, ნაკეთობის დამზადების ტექნილოგია და ა.შ.

რეკლამის ერთ-ერთი სპეციალისტის აზრით რეკლამა ეფექტურია მაშინ, თუ მისი ნახვის შემდეგ ადამიანი რეკლამირებულ საქონელზე საუბრობს. რეკლამის ძალასა და ეფექტიანო-

ბას, ასევე რეკლამის ელემენტების (სარეკლამო ტექსტი, გრაფიკული გამოსახულება, სლოგანი და ა.შ.) ერთმანეთთან კარგი შეთანაწყობა განსაზღვრავს.

რეკლამა მიზნის მისაღწევ ყველა ხერხს შეიძლება იყენებდეს. მან შეიძლება ადამიანი შეაშინოს და ამა თუ იმ ნივთის შეძენა აიძულოს, მაგრამ რეკლამა ზნეობრივ და ეთიკურ მოთხოვნას უნდა პასუხობდეს. გასათვალისწინებელია მიზნობრივი აუდიტორია, ქვეყნის და მხრის სამართლებრივი, რელიგიური, პოლიტიკური, ყოფითი ტრადიციები. მასში დაცული უნდა იყოს კონკურენტებისადმი პატივისცემა.

რეკლამა მიზანს მიაღწევს ასევე იმ შემთხვევაშიც, თუკი მისი შექმნისას გათვალისწინებული იქნება ადამიანის ფსიქიკის განსაკუთრებულობები. რეკლამის აღქმის ყოვლად აღიარებულ მოდელად მიღებულია AIDMA model-ი, რომელიც გულისხმობს შემდეგ ჯაჭვს: „ყურადღება-ინტერესი-სურვილი-მოტივი-მოქმედება“.

რეკლამის საშუალებებს ან მის მატარებლებს წარმოადგენს: მასობრივი ინფორმაციის საშუალებები-ტელევიზია, რადიო, პრესა, საფოსტო-რეკლამა, გარე რეკლამა და ა.შ.

რეკლამა დღევანდელი ცხოვრების განუყოფელ ნაწილად იქცა. მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით მომხმარებელი ყოველდღიურად აწყდება სამასამდე სარეკლამო განცხადებას, უყურებს ასზე მეტ სარეკლამო რგოლს, ხოლო ფოსტის დახმარებით ყოველწლიურად იღებს ათასამდე სარეკლამო-საინფორმაციო მასალას.

ჩვენს მიერ დასავლეთ საქართველოში (ქუთაისი, ბათუმი, ხონი, წყალტუბო, სამტრედია) ჩატარებულ იქნა გამოკითხვა (გამოიკითხა 480 ადამიანი) იმის შესახებ თუ რეკლამის რომელი სახე ახდენს ძირითად ზეგავლენას მომხმარებელზე საქონლის არჩევისას. ისე როგორც მთელს მსოფლიოში, საქართველოს მოსახლეობის უმეტეს ნაწილს იზიდავს სატელევიზიო რეკლამა (46%), მოსახლეობის მეხუთედზე ნაკლები (თითქმის 15 %) საერთოდ არ აქცევს ყურადღებას რეკლამის არცერთ სახეს, უურნალ-გაზეთების რეკლამა იზიდავს რესპონდენტების 6%-ს, ინტერნეტის რეკლამა-12%-ს, რადიო რეკლამა-11%-ს, ხოლო რეკლამის სხვა სახეები იქცევს გამოკითხულთა ნაკლებ ყურადღებას: ბილბორდი-4%, რეკლამა ფოსტით დაახლოებით 4%, რეკლამა ტრანსპორტზე-2%.

როგორც გამოკითხვის მონაცემებით ირკვევა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში-რადიო+ტელევიზია+ურნალ-გაზეთები+ინტერნეტი განთავსებული რეკლამები წარმოადგენს უფრო ეფექტური რამდენადაც იზიდავენ პოტენციური მომხმარებლების მნიშვნელოვან რაოდენობას.

გოდერმი შანიძე

ბიზნესისა და მართვის დოქტორი,
ქუთაისის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

საქონლის გაყიდვის სტრატეგია

დღევანდელ პირობებში ძალზე მნელია იყო წარმატებული ფირმა და შენი პროდუქცია იყოს ლიდერი კონკურენციის პროდუქციასთან შედარებით, ვინაიდან კონკურენცია საკმაოდ დიდია. სწორედ მენეჯერები ცდილობენ შეიმუშაონ საქონლის გაყიდვის ისეთი სტრატეგია, რომელიც მათ პროდუქციას გამოარჩევს სხვებისაგან.

საქონლის გაყიდვის სტრატეგიას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ფირმაში და ყოველ კომპანიას უნდა გააჩნდეს თავისი მისია, რომელიც გაგვცემს პასუხს კითხვებზე, თუ რატომ შეიქმნა კომპანია და რის გაკეთებას აპირებს ის მომავალში.

მისიაში იგულისხმება კომპანიის განვითარების სტრატეგია. პირველ რიგში, განვითარების სტრატეგიაში უნდა შევიდეს პასუხი კითხვებზე: რა მიზნებს ისახავს კომპანია და როგორ აპირებს იგი ამ მიზნების მიღწევას.

განვითარების სტრატეგიაზე დაყრდნობით, მუშავდება მარკეტინგის სტრატეგია. მარკეტინგის სტრატეგია გვიჩვენებს, თუ რას აწარმოებს კომპანია მომავალში, ვის და როგორი ხერხით მიყიდის პროდუქტს და რაც მთავარია როგორი იქნება საქონლის ფასი. მხოლოდ და მხოლოდ განვითარების სტრატეგიაზე დაყრდნობით გამომუშავდება საქონლის გაყიდვის სტრატეგია. გაყიდვის სტრატეგია არის ის, თუ როგორ მოვაგვაროთ ურთიერთობა კლიენტებთან, იმისათვის რომ ისინი გახდნენ ამ საქონლის მომხმარებლები.

საქონლის გაყიდვის სტრატეგიის მნიშვნელოვანი პრინციპებია:

1. მიზნობრივი აუდიტორია (ანუ ვინ არის მომხმარებელი, სად არის განლაგებული მაღაზია და რამდენს გადაიხდიან კლიენტები);
2. მიწოდების არხები (პირდაპირი, შუამავლებით თუ სხვა);
3. საქონლის გაყიდვის ბიუჯეტი (რამდენის დახარჯვას აპირებს კომპანია გეგმის განსახორციელებლად).

საქონლის გაყიდვის სტრატეგიის ჩამოყალიბებაზე მთელი რიგი ფაქტორები მოქმედებს. ის იმყოფება მარკეტინგული გაყიდვების მიზნების გავლენის ქვეშ. მენეჯერმა უნდა დაგვარწმუნოს, რომ მომავალ წელს გაყიდვები გაიზრდება. მან უნდა წარმოადგინოს ასევე გეგმა იმისა, თუ როგორ შეძლებს იგი ამ მიზნის განხორციელებას. ერთ-ერთი დამხმარე ფაქტორი ამ გეგმის რეალიზაციისა, შეიძლება იყოს ახალი კლიენტების მოქებნა და მოზიდვა.

შეიძლება ითქვას, რომ საქონლის გაყიდვის მიზნები და ამოცანები გამომდინარებს დაგეგმვის პროცესის, იმ მომსახურე პერსონალთან შეთანხმებით ან, რომლებიც ამ საკითხთან უშუალო კავშირში არიან. სასურველია, გაყიდვების მენეჯერმა განსაზღვროს ის კონკრეტული მოქმედებები, რომლებიც აუცილებელია გაყიდვის მიზნის და ტაქტიკის მისაღწევად.

საქონლის გაყიდვის სტრატეგიის ფორმირებისას, ყოველთვის ყურადღება ექცევა ორ მხარეს. ესენია: პირველი კლიენტთან უნდა იყო ლმობიერი და ნელ-ნელა, საკუთარი აზრის

თავზე მოხვევის გარეშე მიყვანო ის მიზნამდე და მეორე, კლიენტი უნდა მიიზიდო და არ უნდა გაუშვა ხელიდან, სანამ რაიმეს არ შეიძენს.

გამომდინარე ადამიანთა ბუნებიდან, ყველასადმი განსხვავებული მიღებომაა საჭირო, მაგრამ ეს უნდა მოხდეს, ისე რომ არ გავაღიზიანოთ მომხმარებელი, არ მოვახდინოთ მის გადაწყვეტილებაზე ძალდატანება.

მეცნიერები განსხვავებულ აზრს გამოთქვამდნენ იმის შესახებ, თუ როგორ ჩამოვაყალიბოთ საქონლის ეფექტური გაყიდვის სტრატეგია. მათ შორის აღსანიშვანია ფრანგი მეცნიერების ლაპასტერისა და სანდეზონის შემდეგი რჩევები:

გაყიდვის საფეხურები - გაყიდვა-ეს არის გარიგება ადამიანებს შორის და ამ გარიგების დროს თითოეულ წევრს ეკისრება გარკვეული ამოცანა და ისახავს გარკვეულ მიზანს. ამ გაგებით საქონლის გაყიდვის სტრატეგია შეიძლება განვიხილოთ, როგორც მოლაპარაკება, რადგან მხარეების აზრი ხშირ შემთხვევაში არ ემთხვევა ერთმანეთს.

კონტაქტების დამყარება და მოთხოვნილების განსაზღვრა - ყველა მოყვანილი მომენტი მნიშვნელოვანი ფაქტორია კარგი ურთიერთობის დასამყარებლად და რაც მთავარია საქონლის ეფექტურად გაყიდვისათვის. სხვადასხვა მეცნიერის აზრით არსებობს რამდენიმე მეთოდი თუ მისია, რომელიც აიოლებს კონტაქტის დამყარებას.

საქონლის დასაბუთება და წარდგენა - საქონლის წარდგენა და მომსახურება ხშირად ხორციელდება ერთადერთი ხერხით, მაგრამ მეთოდური თვალსაზრისით ის იყოფა ორ ეტაპად. კლიენტი იჯერებს არა იმას, რასაც ჩვენ ვეუბნებით, არამედ იმას, რაც მას უნდა რომ გაიგოს.

მყიდველების წინააღმდეგობასთან მუშაობა - გამყიდველის მცდელობა, რომ ზემოქმედება მოახდინოს მყიდველის არჩევანზე, იწვევს მყიდველის გაღიზიანებას და შესაბამისად თავდაცვის რეაქციას. სწორედ ეს რეაქცია მხედველობაში მისაღები და გასათვალისწინებელი.

საქონლის გაყიდვის ხელშეკრულების გაფორმება - ხელშეკრულების გაფორმების ბოლო ეტაპი გამოიყერება როგორც ურთიერთობის გავრცელება, რომელიც შეესაბამება აღწერილ გეგმას. თუ ყველაფერი დარღვევებისა და გართულებების გარეშე განხორციელდება, ამ საქმეს ესმება წერტილი და მთავრდება პროცესი, რომელიც დაწყებულია ამ მიზნის მისაღწევად. ეს ყველაზე საპასუხისმგებლო ეტაპია და მის განსახორციელებლად საჭიროა გარკვეული ცოდნა.

სხვადასხვა ტიპის მყიდველისათვის არსებობს შესაბამისი გაყიდვის მეთოდები, რომელიც მეტნაკლებად პასუხობს მომხმარებლის მოთხოვნებს. ასე, რომ მყიდველი, რომელიც ორიენტირებულია საქონლის სუფთა დირექტულებაზე, მოთხოვს გამყიდველისაგან მარტივი და ეცნომიური გაყიდვის ოპერაციებს.

ოპერატიული გაყიდვა - ეს არის ჩვევების სტრატეგიის და გაყიდვის პროცესის კომპლექტი, რომელიც შედარებით სრულად აკმაყოფილებს მყიდველის მოთხოვნებს. ასეთი მყიდველები თვლიან, რომ მიწოდებული ადგილად შეიძლება შეიცვალოს და დაინტერესებულნი არიან მინიმალური ფასით და საქონლის შექმნის ხელსაყრელობით. ასეთ კლიენტს არ აქვს დამატებით სარგებლის სურვილი, რომელიც შეიძლება შეიქმნას გამყიდველმა, თვით საქონლისა და მისი შექმნის დროს მინიმალური ხარჯების გარდა.

მყიდველი, რომელიც თავის პრობლემას წევეტს გამყიდველის- კონსულტანტის დახმარებით მომწოდებლებისაგან მოითხოვს გაყიდვაზე კომპლექსურ მიღვოძას, რომლის დროსაც საქონელი არის შეთავაზებული - ეს არის კომპლექსური გაყიდვები.

კომპლექსური გაყიდვები ეს არის ჩვევების, სტრატეგიების და გაყიდვის პროცესის კომპლექსი, რომელიც ყველაზე უკეთესია იმ კლიენტთან მუშაობის დროს, რომლებიც ორიენტირებულნი არიან საქონლის კომპლექსურ დირექტულებაზე, ასეთი კლიენტები მოითხოვენ გამყიდველის მაღალ პროფესიონალიზმს.


საქონლის გაყიდვა შეიძლება განხილული იქნას, როგორც მოლაპარაკება, რადგან მხარეთა ინტერესები ხშირად არ ემთხვევა ერთმანეთს. მაგრამ, თუ გაყიდვა, ეს არის მოლაპარაკება, ეს არის ასევე შეხვედრა, ურთიერთობა, კავშირი მონაწილეთა შორის. ეს არის შეხვედრა ორ ინდივიდს შორის, რომლებიც დაკავშირებულნი არიან განსაზღვრული მიზნით, რომელთაგან თითოეული ხასიათება საკუთარი სტატუსით, როლით, მოტივაციით, რეალური და წარმოსახვითი სურვილებით. ამიტომ გაყიდვის პროცესში, როგორც თითოეული შეხვედრისას, აღმოცენდება ნდობა ან უნდობლობა და შეუმჩნევლად შეიკვრება ან დაიმსხვევა ემოციური კავშირები.

როგორც აღვნიშნეთ, საქონლის გაყიდვა ეს არის მოლაპარაკებები ორ მხარეს შორის, რომლებიც ეჯახებიან ერთმანეთს, მაგრამ როგორდაც რიგდებიან კიდეც. იმისათვის, რომ საქონელი გაყიდვადი იყოს კონკურენციულ გარემოში, ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს, თუ საქონლის გაყიდვის როგორ ეფექტიან სტრატეგიას აირჩევს გამყიდველი.

KUTAISI UNIVERSITY

ECONOMICS

PROFILE



ქუთაისის უნივერსიტეტი

UDC 33 SCIENTIFIC-PRACTICAL MAGAZINE
e - 491

№ 9, 2011
MAY

REVIEW: SCIENCE INFORMATION INSTITUTE (SOCIAL SCIENCES),
RUSSIAN SCIENCES ACADEMY (www.rim.inion.ru)

ABSTRACTS:

GLOBALIZATION AND INTEGRATIVE
PROCESSES

FINANCES AND ACCOUNTING

MANAGEMENT AND SECTOR ECONOMICS

ORTHODOXY AND ETHICAL PRINCIPLES IN
ECONOMICS

MARKETING

ECONOMIC PROFILE

SCIENTIFIC EDITORIAL BOARD:

EDITOR: Doctor of Economic Sciences (D.E.S.), Member of Georgian Economic Sciences Academy (GESA)
Professor **REVAZ KAKULIA**
RESPONSIBLE EDITOR:
D.E.S., Prof. **NIKO CHIKHLADZE**

MEMBER OF EDITORIAL BOARD:

D.E.S., The vice-president of the GESA
Prof. **JAKOB MESKHIA**
D.E.S., The Georgian Academy of Sciences prof.
AVTANDIL SILAGADZE

DOCTORS OF ECONOMIC SCIENCES:

Prof. **EVGENIY BARATASHVILI**
Prof. **REVAZ BASARIA**
Prof. **GIVI GAMSAKHURDIA**
Prof. **GEORGE GHAVTADZE**
Prof. **GEDEVAN KHELAIA**
Prof. **REVAZ MANVELIDZE**
Prof. **ELGUJA MEKVABISHVILI**

ACADEMIC DOCTORS OF ECONOMICS, ASSOCIATE PROFESSORS:

LELA BAKHTADZE
AKAKI BAKURADZE
KAKHA GABELASHVILI
NAIRA VIRSALADZE
KHATUNA SHALAMBERIDZE
GURAM UPLISASHVILI
GODERDZI SHANIDZE

MEMBER OF THE DAYSIDE:

Prof. **SERGEI LUKIN** (Belarus)
Prof. **TIMO LINKOLA** (Finland)
Prof. **PIOTR MASHEGOV** (Russia)
Prof. **MILAN MIKULASTIK** (Czech Republic)
Prof. **MARYA TURYANSKAIA** (Ukraine)

FOUNDER: KUTAISI UNIVERSITY Rector: Prof. **LELA KELBAKIANI**

13, Tsereteli, str., Kutaisi
Georgia, 4601
Tel: (+995 431) 42373, 51273.
www.unic.edu.ge; chixi@mail.ru

Printting by
LTD "MBM-POLIGRAPHY"
186 Tsereteli St. Kutaisi, Georgia
Tel.: 8 431 3 45 54

MAY

Globalization and integrative processes

1. **Iasha Meskhia, Kakhaber Gabelashvili** (3)

Place of Georgia in world competition ranking

2. **Revaz Kakulia** (13)

Globalization of economy and several problems of public finance development in Georgia

3. **Khatuna Shalamberidze** (21)

General aspect of financial market in condition of world economic Globalization

Finances and accounting

4. **Desdemona Maglakelidze, Mavrina Kipiani, Natela Vashakidze** (25)

Analysis of Evaluation Index of the Company's Financial Stability

5. **Lela Bakhtadze** (31)

Some Theoretical and Methodological Aspects of Ensuring the Stability of the Banking System

6. **Elguja Konjaria** (35)

Audit Economics and its Improvement questions

7. **Tinatin Gugeshashvili, Nana Benidze** (38)

Functions and economy of activity broker companies

Management and sector economics

8. **Vazha Gurabaniidze** (43)

Planning of Human Resources and Method of Determining its Quantity

9. **Eliso Gvelesiani** (48)

